საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
26 ივნისი - 2 ივლისი, 2019
№23 (494)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## გავაუქმოთ საეჭვო სპეცრაზმი და პოლიცია, შემდეგ კი პარლამენტის შენობაში რიგრიგობით შევვარდეთ!
14

# პროვოკატორები



2-3-10

## მაშინ «გაისროლეს», როცა რუსეთისგან შექმნილი მტრის ხატი ნელ-ნელა იმსხვრეოდა
7

## «ზურაბიშვილი არ იყო ადეკვატური. თავისი განცხადებით ანტირუსული ძალებისთვის უნდოდა თავის მოწონება»
6

## «სწორედ ივანიშვილმა მოახერხა ის, რომ თითქმის ყველა მედიასაშუალება (1-2 გამონაკლისის გარდა) რუსეთის გინების პოლიგონად აქცია»
9



## როგორ დააზარალებს საქართველოს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობის გაწყვეტა
4-8



## «დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა!»
11



15



დავით იაკობიძე:

## ჩილეს პარლამენტში მეც ჩავჯექი პინოჩეტის სავარძელში, ამიტომ უნდა ესროლათ ჩემთვის?!



ამბები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გენერალური ასამბლეის მუშაობა ყველასთვის ცნობილია, მათ შორის საქართველოს პარლამენტისთვის, მის მუშაობას ყოველთვის ხელმძღვანელობს რუსი თავმჯდომარე, ეს, კიდევ ვიმეორებ, ცნობილი იყო საქართველოს პარლამენტისა და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის“**

# მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის გენერალურმა მდივანმა საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, პასუხისმგებლობა აიღოს რფ-ის დელეგაციის მიმართ მომხდარ ინციდენტზე



**„საქართველოს ხელისუფლებამ პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის სხდომის ჩაშლასა და თბილისში საპროტესტო აქციების გამო“,** — განაცხადა მართლმადიდებლობის პარლამენტშორისი ასამბლეის გენერალურმა მდივანმა ანდრეას მიხაილიდისმა. მისი თქმით, ღონისძიებების ჩატარების რეგლამენტი დეტალურად იყო ცნობილი საქართველოს ხელისუფლებისთვის, კერძოდ, პარლამენტისთვის.

„გენერალური ასამბლეის მუშაობა ყველასთვის ცნობილია, მათ შორის საქართველოს პარლამენტისთვის, მის მუშაობას ყოველთვის ხელმძღვანელობს რუსი თავმჯდომარე, ეს, კიდევ ვიმეორებ, ცნობილი იყო საქართველოს პარლამენტისა და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის“, — განაცხადა მიხაილიდისმა.

მან პროვოკაციული და წინასწარ დაგეგმილი უწოდა იმ დეპუტატების ჯგუფისა და რადიკალურად განწყობილი მოქალაქეების საქციელს, რომლებმაც ჩაშალეს გენერალური ასამბლეის მუშაობა. მიხაილიდისის თქმით, ეს სიტუაცია გამოცდად იქცა საქართველოსთვის.

„რადიკალურმა ელემენტებმა და რადიკალურმა ადამიანებმა შექმნეს მიუღებელი მდგომარეობა პარლამენტში, რომელმაც გამოიწვია, ვიმეორებ, მიუღებელი ვითარება პარლამენტთაშორისი კავშირებისთვის. ეს ჩემი ოფიციალური განცხადებაა, მე ამას ვაცხადებ, როგორც ორგანიზაციის გენერალური მდივანი“, — დასძინა გენმდივანმა.

მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის შემდეგი სხდომა სანქტ-პეტერბურგში გაიმართება.

# ლუკა კურტანიძე: თუ ირაკლი კობახიძეს მოვთხოვეთ პასუხი, ვინ მიგდია მელია, უგულავა, ოქრუაშვილი და ვირთხა «კა-გე-ბე-შნიკი» ვაშაძე?!



**„ინტერნეტსივრცეში და, საერთოდ, ისმის კითხვა: გადადგეს თუ არა შსს ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი მინისტრი გიორგი გახარია?**

სიტყვა, რომელიც თქვა, უნდა შეასრულოს: ყველა, ვინც სახელმწიფო ინსტიტუტებზე აწია ხელი და მოუწოდა დამხობისკენ, უმკაცრესად დაისჯება! თუ ჩვენ პარლამენტის თავჯდომარეს (ირაკლი კობახიძე), ასევე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელსა და ერთ-ერთ ლიდერ დეპუტატს მოვთხოვეთ პასუხი ხალხის წინაშე და არ ვაპატიეთ შეცდომა, ვინ მიგდია ინტრიგანი სისხლისმსმელი წურბელები: მელია, უგულავა, ოქრუაშვილი, ვირთხა „კა-გე-ბე-შნიკი“ ვაშაძე, რომლებიც ღიად მოუწოდებდნენ აღელვებულ ხალხს სახელმწიფო გადატრიალებისკენ, სახელმწიფო ინსტიტუტის შტურმით აღებისკენ? ასევე უნდა აგონ მთელი სიმკაცრით პასუხი იმაზე, რომ მოღალატეობრივი მოწოდებებით პოლიციელებს სცემეს, დაამცირეს და დაასისხლიანეს! აი ამას თუ არ შეასრულებენ, მაშინ მართლაც უარესის ღირსი ვყოფილვართ“.

**P.S. პროკურატურამ ნიკა მელიას მიმართ გამოიტანა ბრალდების დადგენილება ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობისთვის. მან საკანონმდებლო ორგანოს უკვე აცნობა პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მიმართა პატიმრობის გამოსაყენებლად თანხმობის მისაღებად.**

# «როსპოტრებნადზორი»: ქართული ღვინოების ხარისხი გაუარესდა

**რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზედამხედველო ფედერალურმა სამსახურმა განაცხადა, რომ ქართული ღვინოების ხარისხი გაუარესდა.**

კერძოდ, ფედერალურ სამსახურში განაცხადეს, რომ შარშან გამოვლენილი იყო 203 ათასი ლიტრი ღვინოებისა, რომლებიც არ შეესაბამებოდა აუცილებელ მოთხოვნებს.

**„2014-დან 2018 წლის ჩათვლით იმ ალკოჰოლური პროდუქციის რაოდენობამ, რომლებიც არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, 2,9-ჯერ მოიმატა და შეადგინა 203 ათასი ლიტრი“,** — ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

რუსეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზედამხედველო ფედერალურმა სამსახურმა ჩამოთვალა ის ქართული კომპანიები, რომელთა პროდუქციის შეტანაც აიკრძალა რუსეთის ბაზარზე. ესენია: **„ბაგრატიონი — 1882“, „ბოლერო ენდ კომპანი“, „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა“, „ბადაგონი“, „ქართული ღვინის სახლი“, „კორპორაცია ქართული ღვინო“, „ქართული ღვინოებისა და ალკოჰოლური სასმელების კორპორაცია“, „ბატონო“.**



„როსპოტრებნადზორმა“ განაცხადა, რომ აძლიერებს კონტროლს საქართველოში წარმოებული და რუსეთში შეტანილი ალკოჰოლური პროდუქციის ხარისხზე.

საქართველოს მსოფლიოს 53 ქვეყანაში ყოველწლიურად გააქვს დაახლოებით 150 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო. ამ ღვინოების 60%-ის ექსპორტი მოდის რუსეთზე. მხოლოდ 2018 წელს რუსეთში ექსპორტირებული იქნა 53,6 მლნ ბოთლი ღვინო.

როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლებამ მიმდინარე წლის 8 ივლისიდან აკრძალა ფრენები საქართველოს მიმართულებით. აკრძალვა იმოქმედებს მანამ, სანამ იარსებებს ნებისმიერი მუქარა რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების მიმართ.

# «ქართული ოცნების» ინიციატივა: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პროპორციული სისტემით ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში გაიმართოს



**„ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს ყველაფერში და პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი მმართველი პოლიტიკური ძალის ვალია, იყოს ადეკვატური ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და, რაც მთავარია, ესმოდეს საზოგადოების მაჯისცემა,“ — განაცხადა პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა 24 ივნისს გამართულ ბრიფინგზე.**

როგორც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება პროპორციული სისტემით, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში.

„პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“ ფართომასშტაბიანი პოლიტიკური რეფორმის ინიციატივით გამოდის: 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს პროპორციული სისტემით, ნულოვანი, ვიმეორებ, ნულოვანი საარჩევნო ბარიერის პირობებში. საზოგადოებას მოეხსენება, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ იყო იმ საკონსტიტუციო რეფორმის ინიციატორი, რომლის ფარგლებშიც გადაწყდა, რომ საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში, არჩევნების პროპორციული სისტემა უკეთ პასუხობს ხელისუფლებაში მრავალპარტიული და შესაბამისად, პლურალისტური პოლიტიკური წარმომადგენლობის ევროპულ სტანდარტს. იქვე დადგინდა, რომ ამ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა უფრო სწორი 2024 წელს იქნებოდა, რადგან პარტიების გაძლიერებას, მათ კრისტალიზაციას ღირებულებების გარშემო, მეტ კონსოლიდაციასა და კონკურენტუნარიანობის გაზრდას გარკვეული წლები კიდევ სჭირდება. სწორედ ამიტომ განისაზღვრა კონსტიტუციით გარანტირებული საარჩევნო რეფორმის ოპტიმალურ ვადად 2024 წელი, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც დღეს მოქმედი შერეული საარჩევნო სისტემა არის აბსოლუტურად დემოკრატიული, გამართული და აპრობირებულია არაერთ ტრადიციული დემოკრატიის ქვეყანაში; მაგრამ ცხოვრებას თავისი კორექტივები შეაქვს ყველაფერში და პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი მმართველი პოლიტიკური ძალის ვალია, იყოს ადეკვატური ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევებისა და, რაც მთავარია, ესმოდეს საზოგადოების მაჯისცემა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

# გიორგი გახარია პარლამენტში პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოსვლას ითხოვს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია წერილობით მიმართავს პარლამენტს და 20-21 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებული მოვლენების შესახებ პლენარულ სესიაზე გამოსვლას ითხოვს.**

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 154-ე მუხლის საფუძველზე მოგმართავთ თხოვნით, კომპეტენციის ფარგლებში, წარვდგე პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, 2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით,“ — აღნიშნულია წერილში, რომელსაც შს მინისტრი აწერს ხელს.

# ამერიკის საელჩო საპროტესტო აქციას გამოეხმაურა

**ამერიკის საელჩო პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებსა და აქციის დაშლას გამოეხმაურა: განაცხადა, რომ ესმის ტკივილი, რომელსაც დღეს უამრავი ადამიანი განიცდის.** „მოვუწოდებთ ყველა მხარეს, შეინარჩუნონ სიმშვიდე, თავშეკავება და იმოქმედონ კონსტიტუციის ფარგლებში“, — წერია საელჩოს განცხადებაში.

აშშ-ის საელჩომ ყველას მოუწოდა, თავშეკავებით იმოქმედონ და არ დაარღვიონ საქართველოს კონსტიტუცია.



„საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა და გენპროკურატურამ აუცილებლად უნდა განსაზღვრონ ამ ექსტრემისტების პასუხისმგებლობა; მათ შორის, სავარაუდოდ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისაც, რომლებიც ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრებოდნენ მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის დელეგაციის წევრებს. პარლამენტის ტრიბუნიდან კი ამბობდნენ, რომ ჩვენ გვკლავდნენ და მომავალშიც მოგვკლავდნენ“.

ჩას წერენ ჩვენზე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა მოხდა 20 ივნისს საქართველოს პარლამენტის შენობაში

გთავაზობთ ინტერვიუს რუსეთის პარლამენტის დეპუტატ სერგეი გავრილოვთან, რომლის გამოც დაიწყო არეულობები თბილისში. გავრილოვს ინტერვიუ (ვბეჭდავთ შემოკლებულ ვერსიას) ჩამოართვა გამოცემა „კომერსანტმა“.



**„20 ივნისს თბილისში დაიწყო არეულობები — რამდენიმე ათასი ადამიანი საქართველოს პარლამენტის შტურმით აღებას შეეცადა, ისინი რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას მოითხოვდნენ. მიტინგისა და საპროტესტო აქციის საბაბი იყო ინციდენტი, რომელიც შეემთხვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სამოქალაქო განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეს მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის სხდომაზე. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა შეურაცხყოფად ჩათვალეს ის, რომ რუსი დეპუტატი საქართველოს პარლამენტის სპიკერის სავარძელში ჩაჯდა. ამას გარდა, ზოგიერთმა ქართულმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სერგეი გავრილოვი აფხაზეთში იბრძოდა.**

**— რა ღონისძიება ტარდებოდა თბილისში?**

— საქართველოს პარლამენტი 2 წლის განმავლობაში მოითხოვდა მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის ფორუმის ჩატარებას საქართველოში. და ჩვენც, ბოლოს და ბოლოს, ჩავედით საქართველოში, თანაც, წერილობითი გარანტიები მივიღეთ ყველა მონაწილის უსაფრთხოებაზე. ჩვენი ამოცანა საჯაროდ იყო გაცხადებული: ქვეყნებს შორის მართლმადიდებლობისა და ჩვენი ტრადიციული ფასეულობების საფუძველზე ურთიერთობის განმტკიცება განათლების, კულტურის, ჯანდაცვის საკითხებში. გახსნის ცერემონიაზე მადლობა გადავუხადეთ საქართველოს — ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას — სტუმართმოყვარეობისთვის, ღონისძიების მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის. ჩვენ მიგვიწვიეს საქართველოს პარლამენტში. ქართულმა მხარემ შემომთავაზა, დამეკავებინა ადგილი პრეზიდიუმში.

**— საპროტესტო აქციების საბაბი იყო განცხადება, რომ სახელდობრ, თქვენ იმ ადგილას არ დაჯექით, სადაც საჭირო იყო. იქნებ დეტალურად მოყვეთ ამის შესახებ.**

— სადაც მეუბნება მასპინძელი მხარე, იქ ვჯდები. პროტოკოლის მიხედვით ეს საპატიო ადგილი ეკუთვნის მას, ვინც გენერალურ ასამბლეას თავმჯდომარეობს. გენერალური ასამბლეა კი მიჰყავს მხოლოდ მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის პრეზიდენტს — მოცემულ მომენტში მე. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: ასეთივე საპატიო ადგილიდან მიმყავდა სხდომა საბერძნეთის პარლამენტში, ლიბანის პარლამენტში, სხვაგანაც. პრობლემა არსად შექმნილა... და მე პარლამენტთაშორისი ასამბლეის გენერალურ მდივანთან, საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატთან ერთად დავიკავე ადგილი პრეზიდიუმში. მე კვლავ გადავუხადე მადლობა ქართულ მხარეს სხდომის ორგანიზებისთვის და სტუმართმოყვარეობისთვის. საჩუქრებიც მივართვით და დავიწყეთ საკითხების განხილვა. პრობლემა არ ყოფილა.

შესვენებისას დარბაზში მოულოდნელად შემოცვივდნენ ექსტრემისტები, დაიკავეს პრეზიდიუმი, გაანადგურეს დოკუმენტები.

აქ აუცილებლად უნდა აღვნიშნო შემდეგი: ბევრმა მედიასაშუალებამ დაუშვა სერიოზული შეცდომა, როდესაც განაცხადა, რომ მე ვმონაწილეობდი საომარ მოქმედებებში აფხაზეთში. ეს არის ექსტრემისტების მიერ, მათ შორის, ოპოზიციის რიგებიდანაც გავრცელებული ფეიკ-ნიუსი, რათა მოეწყოთ პროვოკაცია და ხელში ჩაეგდოთ პარლამენტი.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ არ ვმონაწილეობდი აფხაზეთის ან სხვა ქვეყნის საომარ მოქმედებებში. არასოდეს მიტარებია იარაღი. მე ვყოფილვარ ცხელ წერტილებში — სირიაში, კოსოვოში, სხვა ადგილებში, მაგრამ მხოლოდ ლოკალური კონფლიქტის მსხვერპლთა დასახმარებლად, უწინარესად, ქრისტიანების.

**— თქვენ გადანაშაულებენ, რომ იყავით აფხაზეთში.**

— მე არ ვყოფილვარ აფხაზეთში მის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან. არასოდეს ვმონაწილეობდი მის ტერიტორიაზე გამართულ საბრძოლო მოქმედებებში. ეს სიცრუე და პროვოკაციაა და ძალიან სამწუხაროა, რომ ქართულმა მედიამ აიტაცა.

სხვათა შორის, **ჩვენმა დეპუტატებმა დაინახეს, როგორ აძლევდნენ მითითებებს ქართველ ჟურნალისტებს კურატორები, რომლებიც ამერიკული ვერსიის ინგლისურით ლაპარაკობდნენ.**

**— რა მოხდა თავდასხმის შემდეგ?**

— ჩვენ იძულებული შევიქენით, დაგვეტოვებინა პარლამენტი და გადავსულიყავით სასტუმროში, სადაც დავასრულეთ სხდომა. ასამბლეამ მიიღო კოლექტიური განცხადება, რომ უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო, ვწყვეტთ სესიას. ჩვენ მივიღეთ ბოდიშები, რომლებიც რამდენიმე ქართველმა დეპუტატმა გამოთქვა...

**როცა სასტუმროში პრესის წინაშე წარვდექით, ჩვენზე განხორციელდა ფიზიკური თავდასხმა. სამწუხაროდ, უსაფრთხოების სამსახურმა ეს თავიდან ვერ აიცილა.**

— **დაზარალდით?**

— არც ისე...

— **დაგარტყეს?**

— დიახ. **საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა და გენპროკურატურამ აუცილებლად უნდა განსაზღვრონ ამ ექსტრემისტების პასუხისმგებლობა. მათ შორის, სავარაუდოდ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისაც, რომლებიც ფიზიკური ანგარიშსწორებით გვემუქრებოდნენ. ისინი გვემუქრებოდნენ, რომ ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის დელეგაციის წევრებს. პარლამენტის ტრიბუნიდან კი ამბობდნენ, რომ ჩვენ გვკლავდნენ და მომავალშიც მოგვკლავდნენ.**

**— გინდათ, ამ ისტორიის გამო ქართველი ხალხისთვის რამის თქმა?**

— მე მიყვარს საქართველო, მიყვარს ქართველი ხალხი და მისი კულტურა. ბაბუაჩემი საქართველოშია დაკრძალული და ძალიან ვწუხვარ, რომ ამ პროვოკაციის გამო ვერ შევძელი მის საფლავზე მისვლა. მე კვლავ მიმაჩნია, რომ მომავალში ჩვენ შევძლებთ ურთიერთობების გაუმჯობესებას. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი საზოგადოება, შიდაპოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, საკადრის პასუხს გასცემს ექსტრემისტებს, რომლებიც ცდილობენ თქვენი ქვეყნის იზოლაციასა და დისკრედიტაციას“.

**„კომერსანტი“**



# თბილისის სირცხვილი

**თუ პირდაპირ გამოვხატავ აზრს იმის შესახებ, რაც მოხდა თბილისში, ეს, უწინარესად, არის ველურობა, მეორე მხრივ — უბრალოდ, სირცხვილი, თავის მოჭრა.**

აქ „ველურობაში“ ნაგულისხმევია ის, რასაც ეს სიტყვა თავდაპირველად გულისხმობდა — ცივილიზებულობის საწინააღმდეგო.

ცივილიზებულობა — ეს, უწინარესად, რეალობის აღქმის უნარია, მეორე მხრივ, ეს არის უნარი, შეასრულო ქცევის დადგენილი წესები და მიღწეული შეთანხმების პირობები; მესამე — ეს არის ემოციური და რაციონალური სფეროების ერთმანეთისგან გარჩევის უნარი.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი მეზობელი თავისი მითოსის ინტერესებიდან გამომდინარე საგარეო დონეზე რეალობის ორმაგი სურათის დახატვას ცდილობს — რუსეთთან ავითარებს სავაჭრო ურთიერთობებსა და ტურიზმს; მოითხოვს, არ გამკაცრდეს საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი და ა.შ., პარალელურად ჩადის დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში და მოითხოვს რუსეთის მიმართ სანქციებით ზემოქმედების გაძლიერებას. შიგნით კი, თავისი ქვეყნის სივრცეში, ქრონიკულად ავრცელებენ თეზისებს რუსეთზე, როგორც მტერზე, აგრესორზე, ოკუპანტზე, როგორც იმპერიაზე, რომელსაც სურს დაიმონოს.

ასეთი მიდგომა უფრო მეტად თვითონ ორმაგი სურათის შემქმნელებს ვნებს. ამიტომ რუსეთი, თანამედროვეობისთვის უნიკალური დელიკატურობით ეკიდება უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებს, გარკვეული დროის განმავლობაში იჩეჩავს მხრებს, როცა უყურებს ამ დაკანონებულ შიზოფრენიას, მაგრამ **თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ შიზოფრენიის დაკანონება ნიშნავს მის წახალისებას და მისთვის ახალი ტრიუმფის მომზადებას. და, ადრე თუ გვიან, „საშინაო ბაზარზე აღზრდილი“ და დაინტერესებული მხარეების მიერ აქტიურად ნაკვები შიზოფრენიული რეალობა კონფლიქტში შევა ნამდვილ რეალობასთან.**

ასეა თუ ისე:

* პარლამენტთაშორისი დელეგაცია მიიწვიეს საქართველოს დედაქალაქში ოფიციალურ, თანაც ჰუმანიტარულ ღონისძიებაზე.

* თვით მიმწვევთა მიერ ველურობის ორგანიზებული წნეხის ქვეშ ეს დელეგაცია შეურაცხყოფილი და გაძევებული იქნა.

* დელეგაციის გაძევებას მოჰყვა არა ბოდიშები, არამედ განცხადებები საქართველოს სახელმწიფოს ფორმალური მეთაურისგან, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი — „მტერი და ოკუპანტი“.

**თუ მომხდარს ჩავთვლით გამოცდად სახელმწიფოებრიობაზე, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცდა საქართველომ ვერ ჩააბარა. და ის ფაქტი, რომ ჩაფლავება, შესაძლოა, უკვე გამოცხადებულია ეროვნული სიამაყის გამარჯვებად, კიდევ უფრო ზრდის შინაგანი კატაკლიზმის მასშტაბს.**

აქ უნდა აღინიშნოს ერთი რამ: ადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ უძველეს კანონად სტუმარმასპინძლობის კანონი ითვლება. ამ კანონის მიხედვით, მასპინძელი მიწვეულ სტუმარს იცავს ყველა შესაძლებლობის გამოყენებით და სწორედ მასპინძელს ეკისრება პასუხისმგებლობა სტუმრის ღირსების დაცვაზე. ხოლო შემთხვევები, როცა მასპინძელი უცებ იწყებს სტუმრის (რომელსაც სამარცხვინო არაფერი ჩაუდენია) შეურაცხყოფას, დამცირებას, აძევებს მას და ამბობს, რომ ასე იყო საჭირო, ისტორიის ანალებში შეტანილია, როგორც საშინელი სირცხვილი და თავის მოჭრა. ზოგიერთი შერცხვენილი ხალხები და სამეფოები უკვე აღარ არსებობს, სირცხვილი კი დარჩა.

ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი მეზობლის უუნარობა დაკისრებული მოვალეობების შესრულებასა და საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე მართლწესრიგის დაცვის მიმართ მათი პრობლემაა.

**ვიქტორ მარახოვსკი**
**Ria.ru**

# რა არის მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეა

**შეიქმნა 1993 წელს საბერძნეთის პარლამენტის ინიციატივით. ასამბლეის შტაბ-ბინა არის ათენში.**

მართლმადიდებლობის პარლამენტშორისი ასამბლეის მუშაობაში ამჟამად მონაწილეობს საპარლამენტო დელეგაციები 25 ქვეყნიდან. ეს ქვეყნებია: **ალბანეთი, სომხეთი, ბელარუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, იორდანია, ყაზახეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ლიბანი, მოლდოვა, პალესტინა, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი, სერბეთი, სირია, ფინეთი, ხორვატია, ჩერნოგორია, ესტონეთი,** აგრეთვე, სადეპუტატო ჯგუფები და დეპუტატები **ავსტრალიიდან, არგენტინიდან, ეგვიპტიდან, კანადიდან, კონგოდან, მოზამბიკიდან, სუდანიდან, აშშ-დან, უგანდიდან, ჩილედან** და **ეთიოპიიდან.**

ორგანიზაცია თავის მთავარ ამოცანად ისახავს „მსოფლიოში ხელშეწყობას იმ კანონებისა, რომლებიც პასუხობს მართლმადიდებლობის ინტერესებს საზოგადოებაში“.

მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის უმაღლესი ორგანოს, გენერალური ასამბლეის, სხდომა იმართება წელიწადში ერთხელ — ივნისში. მის მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევს გენერალური ასამბლეის პლენუმი.




2018 წლის ივნისში მართლმადიდებლობის პარლამენტშორისი ასამბლეის ახალ ხელმძღვანელად აირჩიეს რუსეთის პარლამენტის დეპუტატი **სერგეი გავრილოვი.**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აქციების შედეგი**

**მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ყველაზე მეტი ფული გადმოირიცხა რუსეთიდან, სადაც დაახლოებით 800 ათასი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი რუსეთი გადაწყვეტს მათ დეპორტაციას და ამით უამრავ ოჯახს საქართველოში საარსებო წყაროს გადაუკეტავს.**

# როგორ დააზარალებს საქართველოს რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობის გაწყვეტა

**თბილისში გამართული ანტირუსული აქციების საპასუხოდ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 21 ივნისს ხელი მოაწერა განკარგულებას საქართველოში რუსეთის მოქალაქეების თვითმფრინავებით გადაყვანის შესახებ. რუსეთის ხელისუფლება ტუროპერატორებსა და ტურაგენტებს ურჩევს, არ დაგეგმონ ტურები საქართველოში. ბრძანებულება ამოქმედდება 8 ივლისიდან. ამასთანავე, რუსეთის კავშირგაბმულობის სამინისტრომ დავალიანების გამო ფრენა აუკრძალა ქართული ავიაკომპანიების თვითმფრინავებს. ამრიგად, საქართველოს უნიათო ხელისუფლებამ და პროვოკატორმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამერიკელი პატრონების წაქეზებით საფრთხის წინაშე დააყენეს ქვეყანა, რომ რუსეთთან სრულად გაწყდეს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები. შეძლებს კი საქართველოს ეკონომიკა ფეხზე მყარად დგომას რუსი ტურისტების გარეშე, ქართველი მეღვინეები კი — რუსი მყიდველების გარეშე?**

20 ივნისს საქართველოს პარლამენტში რუსეთის პარლამენტის დეპუტატ სერგეი გავრილოვის გამოჩენისა და პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩაჯდომის გამო დაწყებული საზოგადოებრივი მღელვარება არეულობებში გადაიზარდა. სამართალდამცველებთან მომიტინგეების შეტაკების შედეგად დაშავდა 240 ადამიანი, მათ შორის — 80 პოლიციელი. დაკავებულ 121 პირს შეეფარდა ადმინისტრაციული სასჯელი.

**„ეს იყო ძალიან არასასიამოვნო ისტორია, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის ცუდი კუთხით წარმოჩენას. რადიკალებს, რა თქმა უნდა, სურდათ საქართველოს დისკრედიტაცია, მისი იზოლირება საერთაშორისო თანამეგობრობისგან, მისი, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნის, დისკრედიტაცია. მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეა რუსი დეპუტატების მონაწილეობით, უბრალოდ, საბაბი იყო სახელმწიფო გადატრიალებისა. ეს არ იყო სპონტანური პროტესტი. ყველა აქტივისტი წინასწარ ჰყავდა მომზადებული, მათ მართავდნენ კოორდინატორები, რომლებიც ამერიკული ინგლისურით ლაპარაკობდნენ. ყველა ანტირუსული შინაარსის პლაკატი წინასწარ დაბეჭდეს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებასაც ეკისრება პასუხისმგებლობა მომხდარზე“,** — განაცხადა რუსეთის პარლამენტის დეპუტატმა **სერგეი გავრილოვმა** Riafan.ru-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ურჩია რუსეთის მოქალაქეებს, თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან რუსოფობიური საპროტესტო აქციების გამო. როგორც ჩანს, ვითარება განვითარდება ყველაზე ცუდი სცენარით და საქმე მივა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების სრულ გაწყვეტამდე, როგორც ეს იყო 2000-იანი წლების ბოლოს.

**2018 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის 1,4 მლნ მოქალაქე (25%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს) და წელს ტურისტების რაოდენობა კვლავ იმატებდა სარეკორდო ტემპით. მიმდინარე წლის მაისში საქართველო პირველად შევიდა რუსებისთვის ყველაზე პოპულარული მიმართულების სამეულში. 2018 წელს საქართველოს სულ 4,8 მლნ ტურისტი ეწვია, გამოდის, ყოველი მესამე ტურისტი რუსეთის მოქალაქეა.** საინტერესოა, რომ საქართველოში ჩამოსულ უცხოელთა რაოდენობა ორჯერ მეტია — 8,7 მლნ კაცი. ეს აიხსნება იმით, რომ მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები ხშირად ჩამოდიან საქართველოში დღისით ღამის გაუთევლად, ტურისტად კი ითვლება ის, ვინც უცხო ქვეყანაში ერთი ღამეს მაინც გაათევს.

საქართველოში მოგზაურობაზე საშუალო დანახარჯი 440 დოლარია, რუსები კი საქართველოში ტოვებენ 530 დოლარს. ამრიგად, თუკი საქართველოში აღარ ჩამოვლენ რუსი ტურისტები, ქვეყანა ყოველწლიურად დაკარგავს 750 მლნ-დან მილიარდ დოლარმდე. ეს კოლოსალური დანაკარგი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის, ქვეყნისთვის, რომელმაც შარშან ტურიზმიდან 3,2 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო (ქვეყნის მშპ-ს 9%) და რომლის 2019 წლის ბიუჯეტი 12,7 მლრდ ლარს შეადგენს.

არანაკლებ მტკივნეული დარტყმა შეიძლება მიიღონ ქართული ღვინის, კონიაკისა და მინერალური წყლების მწარმოებლებმა. რადგან საქართველომ ვერ შეძლო ამ საექსპორტო პროდუქტების მიწოდების დივერსიფიკაცია. რუსეთისა და ყოფილი სსრკ-ის რამდენიმე ქვეყნის გარდა, ქართული ღვინო არავის უნდა.



**2018 წელს საქართველოში ჩამოვიდა რუსეთის 1,4 მლნ მოქალაქე (25%-ით მეტი, ვიდრე 2017 წელს) და წელს ტურისტების რაოდენობა კვლავ იმატებდა სარეკორდო ტემპით. მიმდინარე წლის მაისში საქართველო პირველად შევიდა რუსებისთვის ყველაზე პოპულარული მიმართულების სამეულში. 2018 წელს საქართველოს სულ 4,8 მლნ ტურისტი ეწვია, გამოდის, ყოველი მესამე ტურისტი რუსეთის მოქალაქეა**



2013 წელს, როდესაც ქართული ღვინო კვლავ შეუშვეს რუსეთის ბაზარზე, ასეთ წარმატებას არავინ ელოდა. ამჟამად ქართველ მეღვინეებს თავიანთი ნაწარმის 65% რუსეთში გააქვთ. თუ რუსეთი თავის ბაზარს დახურავს ქართული ღვინისთვის, ეს შეიძლება ძალიან მტკივნეული დარტყმა აღმოჩნდეს ქართული მევენახეობისა და მეღვინეობისთვის.

2019 წლის იანვარ-მაისის პერიოდში საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ **თურქეთი** (702 მლნ დოლარი), **რუსეთი** (568 მლნ დოლარი) და **აზერბაიჯანი** (236 მლნ დოლარი). საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოსთვის თავისი პროდუქციის გასაღების მთავარი საგარეო ბაზარი კვლავ რუსეთია. ამასთანავე, საქართველოს უფრო სჭირდება რუსული საქონელი, ვიდრე რუსეთს — ქართული. „ქინძმარაულისა“ და „ბორჯომის“ ადგილს რუსული ან ყოფილი სსრკ-ის ქვეყნების ბრენდები დაიკავებენ, **საქართველოსთვის კი რუსეთი მთავარი მიმწოდებელია ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, აგრეთვე, ხორბლის.**

აი, ჩამონათვალი იმ 5 პროდუქტისა, რომლებსაც ყველაზე დიდი რაოდენობით ვყიდდით რუსეთში 2019 წლის 4 თვის განმავლობაში:

*** ფეროშენადნობები — 51,048 მლნ დოლარი;**

*** ღვინოები — 40,266 მლნ დოლარი;**

*** მინერალური და მტკნარი წყლები — 19,873 მლნ დოლარი;**

*** ცენტრიფუგები, სითხის გასაფილტრი აგრეგატები — 13,244 მლნ.**

*** მედიკამენტები — 9,920 მლნ დოლარი;**

ისიც აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში ყველაზე მეტი ფული გადმოირიცხა რუსეთიდან, სადაც დაახლოებით 800 ათასი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი რუსეთი გადაწყვეტს მათ დეპორტაციას და ამით უამრავ ოჯახს საქართველოში საარსებო წყაროს გადაუკეტავს.

მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

**საქართველოში მოგზაურობაზე საშუალო დანახარჯი 440 დოლარია, რუსები კი საქართველოში ტოვებენ 530 დოლარს. ამრიგად, თუკი საქართველოში აღარ ჩამოვლენ რუსი ტურისტები, ქვეყანა ყოველწლიურად დაკარგავს 750 მლნ-დან მილიარდ დოლარამდე. ეს კოლოსალური დანაკარგი იქნება საქართველოს ეკონომიკისთვის, ქვეყნისთვის, რომელმაც შარშან ტურიზმიდან 3,2 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო (ქვეყნის მშპ-ის 9%) და რომლის 2019 წლის ბიუჯეტი 12,7 მლრდ ლარს შეადგენს**



**„იმის გამოსასწორებლად, რაც ამ მამაძაღლებმა თავიანთი ვირიშვილური საქციელით გააფუჭეს, სრულიად საქართველო უნდა დავირაზმოთ, გავგზავნოთ თხოვნა, ავუხსნათ რუსეთს, რომ საქართველო მხოლოდ ამ ვირიშვილებისგან არ შედგება, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც უფლებები აქვს წართმეული, რომელიც იმართება ხუთი ამერიკული კომპონენტით. ესენია: საქართველოს ხელისუფლება, ე.წ. ოპოზიცია, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეცსამსახურები“.**

თვალსაზრისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ვალერი კვარაცხელია: პომპეომ პირდაპირ დაავალა ბახტაძეს ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა რუსეთსა და ჩინეთთან

**20 ივნისს თბილისში მართლმადიდებლობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეა რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე ჯდომის გამო ჩაიშალა, სხდომის ჩაშლას ხმაური და შეხლა-შემოხლა მოჰყვა პარლამენტშივე, რის შემდეგაც ე.წ. ოპოზიციის პროტესტმა ქუჩაში გადაინაცვლა „რუსეთი ოკუპანტია“-ს შეძახილებითა და რუსეთის პრეზიდენტის მისამართით უწმაწური გინებით. მეორე დღეს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოსცა განკარგულება 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთის ავიაკომპანიებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა საჰაერო გადაყვანის (მათ შორის — კომერციული) აკრძალვის შესახებ. გარდა ამისა, ტუროპერატორებსა და ტურისტულ სააგენტოებს ურჩიეს, აკრძალვის მოქმედების პერიოდში თავი შეიკავონ საქართველოში ტურების გაყიდვისგან. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება ანალიტიკოსი, პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი ვალერი კვარაცხელია:**

— არ ვიცი, ციფრებში როგორ გამოიხატება ზარალი, რომელიც რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოთი მოგვადგება, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ დამანგრეველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. რუსეთს შეუძლია საქართველო დაანგრიოს არა მხოლოდ ეკონომიკურად, არამედ ფიზიკურადაც, თანაც ისე, რომ არ გამოჩნდეს. რუსეთთან ომი და მტრობა კი არა, სამეზობლოენის გამონახვაა საჭირო, რაც, თუ მოვინდომებთ, ადვილია. ადვილია იმიტომ, რომ ძალიან ბევრ რამეში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები ჩვენსას ემთხვევა. რუსეთი დაინტერესებულია, საქართველო იყოს წელგამართული სახელმწიფო, ოღონდ, მის მიმართ კეთილგანწყობილი.

**ქვეყანა, რომელიც მუდმივად ნატოსკენ გარბის, ქვეყანა, რომელიც ამერიკის რაკეტებს ეპატიჟება, რათა ისინი რუსეთის სტრატეგიულ ობიექტებს დაუმიზნონ, ანუ ქვეყანა, რომელიც მტერია, ცხადია, რუსეთს არ სჭირდება და იძულებულია, უმტროს.** ასეთი მდგომარეობა გვაქვს: თუ რუსეთს სამეგობროდ მომართავ, მეგობარი იქნება, თუ სამტროდ მომართავ — მტერი. არჩევანი ჩვენზეა. რუსეთთან მეგობრობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც. რუსეთის მტრობა საქართველოსთვის დამანგრეველია.

სამწუხაროდ, ხალხს არჩევანის საშუალება წართმეული აქვს. **საქართველოს ხელისუფლება 1990 წლიდან უზურპირებულია ამერიკელების მიერ.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ყველა ხელისუფლება რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილი იყო. რუსეთთან 30-წლიანმა მტრობამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა — საქართველო დაშლილია სამ ნაწილად, ეკონომიკურად განადგურებულია, მოსახლეობა — განახევრებული. **საქართველოს დღევანდელი მძიმე მდგომარეობა რუსეთთან მტრობისა და დასავლეთთან მეგობრობის შედეგია. დასავლეთს საქართველო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის საწინააღმდეგო პროვოკაციების მოწყობის ინსტრუმენტად სჭირდება.**

20 ივნისს საქართველოში ამერიკის „მეხუთე კოლონის“ მიერ დადგმული სპექტაკლი გაიმართა და, ამას რაც მოჰყვა, ვიცით — ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ქართულ პროდუქციაზე ემბარგო დაწესდა, შეწყდა ფრენები, რის გამოც შეწყდება ტურისტული ნაკადი, რაც კატასტროფულად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე...

**— ქართველი ლიბერალები ამბობენ, რომ რუსებმა დაიმსახურეს ის, რაც ამ დღეებში მოხდა და ახლა რუსეთში მცხოვრები მილიონამდე ქართველი, თუ საქართველოში არ ჩამოვა, ქვეყნის მტრებად გამოცხადდება...**

— მილიონი ქართველი აქ ვერ დაბრუნდება, რადგან იქ ოჯახებით ცხოვრობენ, სამსახურები აქვთ, მიზნები აქვთ, მოქალაქეები არიან და პერსპექტივა აქვთ. თუ ვინმე არალეგალურად არის წასული და ასეთებიც იქნებიან, ისინი, შესაძლოა, გამოყარონ, მაგრამ რუსეთი, იმედია, ამას არ გააკეთებს. აქ მთავარია შუღლის ჩამოგდება, მომხდარი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო დაძაბვას ემსახურება. როდესაც ადამიანს მტრის ხატს უხატავენ, ამ „მტრისგან“ თუნდაც უამრავ სარგებელს იღებდეს, მის მიმართ მაინც უარყოფითად განეწყობა.

ვიცი, იკითხავთ: არ არის რუსეთი მტერი, აბა, ოსეთი და აფხაზეთი ვინ წაგვართვა? იცით, ყველაფერი გლობალურად უნდა დავინახოთ. უნდა ვიფიქროთ, რამ მიიყვანა რუსეთი ასეთ გადაწყვეტილებამდე. საქართველოს მტრობის სურვილმა? არა, საქართველო რუსეთისთვის გახდა უაღრესად საშიში ქვეყანა მის სამხრეთ საზღვართან და ეს გადაწყვეტილება რუსეთის ხელმძღვანელებმა თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიიღეს. როდესაც დადგა საკითხი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისა, პუტინმა დასავლეთი გააფრთხილა, რომ ეს ძალიან ცუდი პრეცენდენტი იქნებოდა, მაგრამ მას ყური არ ათხოვეს. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა ცხინვალში ომი დაიწყო და რუსი სამშვიდობოები დახოცა, რუსეთს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისთვის ხელ-ფეხი გაუხსნა. მათ კი არ მიიერთეს ეს ტერიტორიები, ანუ მათი ოკუპირება კი არ მოახდინეს, არამედ აღიარეს მათი დამოუკიდებლობა და მათთან სამხედრო-სტრატეგიული თანამშრომლობა გააფორმეს. ამ საფუძვლით აღნიშნულ ტერიტორიებზე დღეს რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული, რომლებიც რუსეთის უსაფრთხოებას იცავს. იურიდიულად ყველაფერი სწორია. ეს არის რეალობა და ამ რეალობაზე საქართველომ თვითონ აიძულა რუსეთი.

**«ქვეყანა, რომელიც მუდმივად ნატოსკენ გარბის, ქვეყანა, რომელიც ამერიკის რაკეტებს ეპატიჟება, რათა ისინი რუსეთის სტრატეგიულ ობიექტებს დაუმიზნონ, ანუ ქვეყანა, რომელიც მტერია, ცხადია, რუსეთს არ სჭირდება და იძულებულია, უმტროს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს: თუ რუსეთს სამეგობროდ მომართავ — მეგობარი იქნება, თუ სამტროდ მომართავ — მტერი. არჩევანი ჩვენზეა. რუსეთთან მეგობრობა ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც. რუსეთის მტრობა საქართველოსთვის დამანგრეველია»**

**— ძალიან ცუდი რამ მოხდა საქართველოში, რუსეთის პრეზიდენტის რეაქციაც ადეკვატური იყო, მაგრამ როგორ ფიქრობთ, იტოვებს ვლადიმერ პუტინი უკანდასახევ გზას?**

— „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა, ვერ დაიწყო დიალოგი რუსეთთან, ვერ გაიმართა რუსეთ-საქართველოს შორის უმაღლესი დონის შეხვედრა, მიუხედავად რუსეთის პრეზიდენტის მიერ არაერთხელ გამოხატული მზადყოფნისა. აქვე უნდა ითქვას, რომ რაღაც ნაბიჯები ურთიერთობის დასარეგულირებლად მაინც გადაიდგა, თუნდაც აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატი, აღდგა სატრანსპორტო მიმოსვლა, ქართული პროდუქცია შევიდა რუსეთის ბაზარზე... **აი, ეს წინ გადადგმული ნაბიჯები რომ აღარ ყოფილიყო, ეს ვიწრო ბილიკიც რომ წაშლილიყო, ამისთვის მოხდა ის ყველაფერი, რასაც ამ დღეებში ვუყურებთ.**

ამ პროვოკაციას, რომლის მომსწრენიც ვართ, წინ უძღვოდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის — **პომპეოსა** და საქართველოს პრემიერმინისტრის — **ბახტაძის** შეხვედრა. **პომპეომ პირდაპირ უთხრა, უფრო ზუსტად, დაავალა ბახტაძეს, ეკონომიკური კავშირების გაწყვეტა რუსეთთან და ჩინეთთან... ეს პატარა კავშირებიც კი, რომლებიც რუსეთთან გვქონდა, აღიზიანებდა ამერიკას და დაანგრიეს ყველაფერი, მოაწყვეს საშინელი პროვოკაცია.**

საქართველოში ჩამოვიდა მართლმადიდებელთა საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეა, რომლის ხელმძღვანელიც არის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი **გავრილოვი.** მას შესთავაზეს პარლამენტის დარბაზი და, როგორ ფიქრობთ, რა მოხდებოდა? გავრილოვი, როგორც თავმჯდომარე, აღმოჩნდა იმ დარბაზში და იმ სავარძელში, რომელიც შესთავაზეს. „პარლამენტის მთავარ სავარძელში ოკუპანტი ზის“, — იხუვლა დასავლეთის „მეხუთე კოლონამ“. ჯერ ერთი, ის აქ არ იმყოფებოდა, როგორც რუსეთის დუმის დეპუტატი, იგი მართლმადიდებლობის ასამბლეის თავმჯდომარე იყო. ბოლოს და ბოლოს, ის იყო ადამიანი, რომელიც მოიწვია ქართულმა მხარემ, რომელსაც დახვდნენ ოფიციალურად და... შემდეგ გააგდეს. ასე ცხოველებიც არ იქცევიან, არათუ ვაჟა-ფშაველასეული ფილოსოფიის ქვეყანაში. სირცხვილია, მაგრამ სირცხვილს თავი დაანებეთ, ეკონომიკურად დამანგრეველია.

**— სოციალურ ქსელში წერენ, რომ რუსეთის პრეზიდენტი მხოლოდ ამ სანქციებით არ შემოიფარგლება და მისი და რუსეთის შეურაცხყოფა მარტივად არ ჩაივლის. უნდა ველოდოთ თუ არა რუსეთისგან უფრო მძაფრ რეაქციას?**

— **იმის გამოსასწორებლად, რაც ამ მამაძაღლებმა თავისი ვირიშვილური საქციელით გააფუჭეს, სრულიად საქართველო უნდა დავირაზმოთ, გავგზავნოთ თხოვნა, ავუხსნათ რუსეთს, რომ საქართველო მხოლოდ ამ ვირიშვილებისგან არ შედგება, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც უფლებები აქვს წართმეული, რომელიც იმართება ხუთი ამერიკული კომპონენტით. ესენია: საქართველოს ხელისუფლება, ე.წ. ოპოზიცია, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სპეცსამსახურები.** უნდა ავუხსნათ რუსეთს, რომ ქართველ ხალხს აღარ აქვს უფლება და გამოხატვის საშუალება, თორემ ქართველი ხალხი პოზიტიურად არის განწყობილი რუსი ხალხის მიმართ და ეს თუნდაც იმაში ჩანს, რომ ყოველწლიურად მილიონობით ტურისტს ვმასპინძლობთ და თითოეულ მათგანს ვეფერებით. სამწუხაროდ, უკვე ისე ღრმად შეგვატოპინეს, რომ მხოლოდ ახსნა არ იკმარებს. აუცილებლად უნდა გადადგეს საქართველოს პრეზიდენტი, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ ვითარება შეერბილებინა, სრულიად არადიპლომატიური და წინდაუხედავი განცხადებით ცეცხლზე ნავთი დაასხა, უნდა დაიწყოს მისი იმპიჩმენტის პროცედურა. ასეთ შემთხვევაში, რუსეთში შეიძლება დარწმუნდნენ, რომ ჩვენ რაღაცას ვაცნობიერებთ და ვინანიებთ.

**— თუკი არაფერი შეცვალა რუსეთის პრეზიდენტმა და დარჩა ასეთი ვითარება, ვგულისხმობ სანქციებსა და ემბარგოს, დიდი ხნით დავკარგეთ პერსპექტივა იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები აღდგეს?**

— „ქართულმა ოცნებამ“ შვიდი წლის განმავლობაში, მართალია, ძალიან მცირე, მაგრამ რაღაც მაინც მოახერხა რუსეთთან ურთიერთობის დასათბობად. ამ მამაძაღლებმა ეს ყველაფერი შვიდ წუთში გაანიავეს, იმის აღსადგენად კი, რაც მათ შვიდ წუთში გააფუჭეს, შვიდი წელიწადიც არ გვეყოფა. ეს არის რეალობა. ქართველ ხალხს უნდა ეყოს გონიერება და მიხვდეს, რომ პლაკატები, ის თავხედური და უზრდელური პლაკატები, რომლებითაც რუსეთის პრეზიდენტს შეურაცხყოფენ, მიმართულია არა რუსეთის წინააღმდეგ, არამედ საკუთარი სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. ყველაფერი, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ბუმერანგივით დაგვიბრუნდება. **ეს ვირიშვილები პროვოკაციების მოსაწყობად ამერიკისგან თანხებს იღებენ, ხალხი კი იჭყლიტება.**

**— ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2020 წლის არჩევნებში ნულოვანი ბარიერით ჩატარდეს პროპორციული არჩევნები. ასე არჩეული პარლამენტი ჩვენ უკვე გვყავდა. ეს კარგია თუ ცუდი?**

— ძალიან ძლიერი გადაწყვეტილებაა. მე ვიყავი იმ პარლამენტის წევრი, რომელიც თქვენ ახსენეთ და ვიცი, ეს რასაც ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსება. იგი აღმასრულებელი ხელისუფლების ნება-სურვილის გამომხატველი ორგანოდან გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ გადაიქცევა. ვფიქრობ, იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შორის, რომლებიც ბიძინა ივანიშვილს ოდესმე მიუღია, ეს ყველაზე გონივრულია.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოცნება“ არ არის ღირსი, იყოს სახელისუფლო პარტია, რადგან, სპიკერის სკამზე გავრილოვის დაჯდომას რაც მოჰყვებოდა, ძალიან მარტივად გასაანალიზებელი იყო. „ქართულ ოცნებაში“ დილეტანტები არიან. თვითონ ბიძინა ივანიშვილი კი პოლიტიკოსი არ არის“.**



## სოსო ცინცაძე:

# ასამბლეის თავმჯდომარეს ვერ აუკრძალავ ღონისძიების გახსნას, ეს დიპლომატიის დაუწერელი კანონია

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის ჩატარებას იხვეწებოდა და ერთი წლის წინათ მიიღო კიდეც თანხმობა, 17 ივნისს ევროპული საქართველოს წევრმა გიორგი კანდელაკმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოში 19 ივნისს იგეგმებოდა მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის ჩატარება, რომელსაც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს რამდენიმე დეპუტატი დაესწრებოდა. კანდელაკი ამბობდა, რომ დუმის დეპუტატების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა შელახავდა საქართველოს ავტორიტეტს.**

მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის ხელმძღვანელმა, რუსეთის დუმის წევრმა სერგეი გავრილოვმა ასამბლეის სხდომის გახსნისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელი დაიკავა. ამ ფაქტმა ოპოზიციის დეპუტატები და ქართველი საზოგადოების ნაწილი აღაშფოთა. საპროტესტო აქციებს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის გადადგომა მოჰყვა; შემდეგ — „ოცნების“ ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საპარლამენტო არჩევნები მხოლოდ პროპორციული სისტემითა და ნულოვანი ბარიერით ჩატარდება. ამ გადაწყვეტილებით შესრულდა აქციის მონაწილეთა ერთ-ერთი მოთხოვნა, მაგრამ აქციები მაინც გრძელდება.

**ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასება ვთხოვეთ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს:**

— საქართველოს ხელისუფლებას შეცდომა არ დაუშვია, ეს იყო დაუდევრობა, მაგრამ, თუ შეცდომაზე ვილაპარაკებთ, აღნიშნული ღონისძიების საქართველოში ჩატარება იყო შეცდომა, თანაც ამ ღონისძიების ჩატარებას ქართული მხარე ითხოვდა და ასამბლეა ერთი წლის წინათ დათანხმდა ჩვენი ხელისუფლების თხოვნას, აი ეს იყო შეცდომა.

ამ ღონისძიების თავიდან აცილება ბევრი მიზეზით შეიძლებოდა, რადგან ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი რუსეთის წარმომადგენელია. საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს. დიპლომატიის დაწერილი თუ დაუწერელი კანონი არ ითვალისწინებს იმ ქვეყნების ურთიერთობას, რომლებსაც გაწყვეტილი აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა, თანაც, როდესაც ეს ურთიერთობები გაწყვეტილია არა დროშის დაწვის ან მსგავსი რამის გამო, არამედ ომის გამო. **ასეთ შემთხვევაში, თბილისში არ უნდა დაგეგმილიყო ღონისძიება ორგანიზაციისა, რომლის თავმჯდომარეც რუსეთის წარმომადგენელია. მას ვერ აუკრძალავ ღონისძიების გახსნას — ესეც დიპლომატიის დაუწერელი კანონია.**

ქართულ მხარეს შეეძლო აპელირება საერთაშორისო ურთიერთობების ნორმებზე, დიპლომატიურ პრაქტიკაზე და მაგალითად მოეყვანა ვენის კონგრესი, რომელიც ავსტრიაში ჩატარდა და რომლის თავმჯდომარეც იყო ავსტრიის წარმომადგენელი; იყო ბერლინის კონგრესი, რომელსაც თავმჯდომარეობდა გერმანელი **ბისმარკი;** როცა კონგრესი ჩატარდა საფრანგეთში, თავმჯდომარე იყო ფრანგი — ეს დიპლომატიური პრაქტიკაა და ამის გაკეთება ქართულ მხარესაც შეეძლო. ასამბლეა თვითდინებაზე იყო მიშვებული, ამიტომაც აღმოვჩნდით გაუგებრობაში.

ასეთი ფაქიზი საკითხების ორგანიზება მიანდეს **ზაქარია ქუცნაშვილს**, რომელსაც საკმარისი გამოცდილება და განათლება არ აქვს, ის კარგი იურისტიც კი არ არის. ერთი წლის წინათ მიიღეს გადაწყვეტილება, ჰქონდათ გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო ყველაფერი. დარწმუნებული ვარ, რუსები იტყოდნენ: ჩვენ გავხსნით ღონისძიებასო, რადგან თავმჯდომარე რუსული მხარეა, მაგრამ ქართულ მხარეს საპასუხოდ არ უთქვამს, რომ მასპინძლები არიან და უფლება აქვთ, თვითონ გახსნან ღონისძიება.

ისე, ქართული მხარე ცუდად მოექცა სტუმრებს. ისინი დაპატიჟეს, ჩამოიყვანეს და მერე ობსტრუქცია მოუწყვეს და გაყარეს. ეს დიპლომატიაში მიუტევებელი შეცდომაა. ქართულმა მხარემ ყველა დეტალი ვერ გაითვალისწინა, რასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა გამოეხმაურება. ზოგიერთი ადამიანი დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გლობალურ პოლიტიკას უკავშირებს, ვერსია ბევრია და ვარაუდიც კი შეიძლება სიმართლე გამოდგეს. **არ გამოვრიცხავ ვერსიას, რომ ეს, შესაძლოა, ამერიკელების მოწყობილი იყოს ქართველი პოლიტიკოსების ხელით, რათა აქ სიტუაციის დაწყნარების მიზნით ჯარი შემოიყვანონ, რაც კიდევ უფრო დიდი დანაშაულია ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან...**

**— რუს დეპუტატს, სერგეი გავრილოვს მას შემდეგ, რაც პარლამენტიდან გაიყვანეს, სასტუმროშიც მიუვცივდნენ და ხელითაც შეეხნენ, ამის შესახებ თვით აცხადებს რუსულ მედიასთან. არის თუ არა ეს საერთაშორისო სკანდალი და რა სანქციებია ასეთი ქცევის გამო დიპლომატიაში?**

— რუსეთის პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული, რას მოიმოქმედებს, მას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. შესაძლოა გვიჩივლონ, მაგრამ ხელით შეხების ფაქტი არ დასტურდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესები სხვაგვარად წარიმართებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა იმავე ღამეს მოიწვია უშიშროების საბჭო და სანქციები დაგვიწესა, ვფიქრობ, ბოლომდე არ გაგვწირავს. საქართველოში მომხდარი ფაქტი არის მსუყე ნიადაგი იმისა, რომ პოლიტიკური სკანდალი მოხდეს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რუსეთი გვინდობს. მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ავიამიმოსვლა დროებით შეწყდა, ვიდრე საქართველოში სიტუაცია არ დაწყნარდება. პუტინს არ უთქვამს, რომ საქართველომ ბოდიში უნდა მოიხადოს. ეს არ უთქვამს არც ლავროვს და არც პესკოვს. მოკლედ, ვლადიმერ პუტინის ნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული, მაგრამ ფაქტია, ის არ გვწირავს.

მწვავე განცხადებები არ გაუკეთებიათ არც იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც ასამბლეას ესწრებოდნენ, მხოლოდ გერმანიამ მისცა მწვავე შეფასება.

**— რამდენად ადეკვატური იყო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადება, მომხდართან დაკავშირებით მან რუსეთს მტერი და ოკუპანტი უწოდა...**

— საერთოდ არ იყო ზურაბიშვილი ადეკვატური, აბსოლუტურად ზედმეტი იყო მისი განცხადება, მაგრამ ვფიქრობ, ის თავის იმიჯზე ზრუნავს. მან თავისი განცხადებით, რუსების გინებით, ცეცხლზე ნავთი დაასხა ჩვენთვის, სამაგიეროდ, თავი მოაწონა ანტირუსულ ძალებს ევროპაში.

**— სოციალურ ქსელებში წერენ, რომ ხელისუფლების ლიბერალურმა ფრთამ და ნაციონალებმა ერთად დაგეგმეს ყველაფერი...**

— თუ ეს მართალია, მაშინ საბავშვო ბაღის აღსაზრდელებივით გაუბრიყვებია „ნაცმოძრაობას“ „ოცნება“. **თუ ეს ასეა, მაშინ „ოცნება“ არ არის ღირსი, იყოს სახელისუფლო პარტია. გავრილოვის დაჯდომას სპიკერის სკამზე რა მოჰყვებოდა, ძალიან მარტივი გასაანალიზებელი იყო. „ქართულ ოცნებაში“ დილეტანტები არიან. თავად ბიძინა ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი.**

**— ამბობთ, რომ ივანიშვილი არ არის პოლიტიკოსი, ხალხი ეჭვობს, რომ შესაძლოა, მას სურს, ხელისუფლება ნაცებს გადააბაროს...**

— გამორიცხულია. ბიძინამ მშვენივრად იცის, რომ, მიუხედავად იმისა, ნაცები გულში მჯიღს იცემენ, — შურისძიება არ იქნებაო, — სწორედ ეს მოხდება.

ბიძინამ არ იცის, რა ხდება ქვეყანაში? გაწირა კობახიძე და ახლა აღარ იცის, რა ქნას?! **გახარიას გაწირვა დაღუპავს ივანიშვილს, ამ კაცის გაწირვის შემდეგ ოპოზიციას მადა გაეხსნება და უფრო მეტს მოითხოვს. მოხდება რევანში, თანაც სასტიკი ფორმით. „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ ის შეძლო, რომ არჩევნებში გამარჯვების ხერხს მიაგნო, აგინებს „ნაცებს“, არიგებს კარტოფილს და ეუთოს დადებით დასკვნას ელოდება. არადა, იმ ეუთომ, რომელიც არჩევნებს „გვიპრავებს“, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რუსეთი ევროპარლამენტში დაებრუნებინა...**

ბიძინა არ დათმობს ხელისუფლებას, მან კარგად იცის, რომ მხოლოდ რამდენიმე დღე იქნება კრიტიკული, მობეზრდება მიტინგები ხალხს... ან თუნდაც იყოს მიტინგები, მერე რა?! თანაც, ახლა პარლამენტიც არდადეგებს გამოაცხადებს და ქვეყანაში მკვდარი სეზონი დაიწყება.

ბიძინა ჭკვიანურად მოიქცევა, თუკი სამთავრობო ცვლილებებს განახორციელებს და რაც შეიძლება ნაკლებ ხალხს შეიყვანს მთავრობაში ახლო გარემოცვიდან. ჩვენ უკვე საპარლამენტო რესპუბლიკა გვაქვს, პარლამენტს ეკისრება ყველანაირი პასუხისმგებლობა, მმართველი პარტიის როლი ასჯერ და ათასჯერ მეტია, ვიდრე საპრეზიდენტო რესპუბლიკაში.

ბიძინამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საპარლამენტო არჩევნებში, რათა პროფესიონალებით დააკომპლექტოს მმართველი პარტია. შეძლებს ის ამას?

**არჩილ თალაკვაძე** არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რთულ ვითარებაში შეძლებს საქმისთვის თავის გართმევას. ეს დასაფიქრებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითონ ბიძინას არ აინტერესებს პოლიტიკა. ის წავიდა პოლიტიკიდან და ნახევრად დაბრუნდა უკან, მხოლოდ საკადრო საკითხებს ხელმძღვანელობს. ასეთი პარტია თვითონ ივანიშვილს უქმნის ბევრ პრობლემას, ქვეყანაზე რომ არ ვილაპარაკოთ.

20 ივნისს მოხდა ლუსტრაცია — მეათეხარისხოვან ღონისძიებას გადააყოლა ქვეყანა „ქართულმა ოცნებამ“, რასაც კრეატიული, ნამდვილი პოლიტიკოსები არ ჩაიდენდნენ, ღონისძიება ისე ჩატარდებოდა, ვერავინ გაიგებდა.

**— ბიძინა ივანიშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, 2020 წელს არჩევნები ჩაატაროს ნულოვანი ბარიერით პროპორციული სისტემით, ასეთი არჩევნები თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ ჩაატარა 1992 წელს. როგორ ფიქრობთ, მიზანშეწონილია დღეს მსგავსი არჩევნების ჩატარება, როდესაც პარლამენტში 150 დეპუტატია, ხოლო ქვეყანაში 250 პარტიაზე მეტი?**

— დიახ, შევარდნაძემ ჩაატარა ასეთი არჩევნები და მაშინ ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო — **ირაკლი წერეთელი** და ვილაცები ქუჩიდან დარბაზში შეიყვანა. დღეს სულ სხვა ვითარებაა, საფრთხეებიც არის, მაგრამ ჯერჯერობით თეორიული. გადაწყვეტილება მიმზიდველია, ბევრ პარტიას მოსწონს ეს, რადგან, სიზმარშიც რომ ვერ ნახავდა თავს პარლამენტში, უკვე შანსი ეძლევათ, რომ მოხვდნენ იქ. ივანიშვილმა ყველას გაუხსნა კარი.

საფრთხე არსებობს და რაში მდგომარეობს ის: საქართველოში ძალიან ბევრი პარტიაა, როგორც თქვენც თქვით, მაგრამ წლის ბოლომდე ეს რაოდენობა ორჯერ მოიმატებს, პარლამენტში კი ამდენი ადგილი არ არის. სელექცია ამ პარტიებისა ცესკოს ხელში რჩება, ორგანიზაციის, რომელსაც საზოგადოების ნდობა არ აქვს. მოკლედ, როგორც იტყვიან, ეშმაკი დეტალებშია. დეტალები კი ისაა, რომ პარლამენტმა დაკარგოს საპარლამენტო რესპუბლიკის ორგანოს ფუნქცია.

**— გამოდის, ბიძინა ივანიშვილი ფეოდალად იქცევა?**

— თუ არჩევნები ისე ჩატარდება, როგორც ივანიშვილმა განაცხადა, ჩათვალეთ, რომ ყიდვა-გაყიდვა გაჩაღდება, მყიდველს კი კონკურენტი არ ეყოლება და ასეთ ვითარებაში ჩემი შვილიშვილების ბედი მაწუხებს. იმედი მაქვს, არჩევნებამდე ბევრი რამ შეიცვლება და ეს იდეაც მოკვდება. ბიძინას თავი ერის გადამრჩენი ჰგონია, რადგან მიშა გააგდო. მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, როგორი იქნება პარლამენტი, ის მართავს ქვეყანას ისე, როგორც თვითონ სურს. ის იბრძვის ხელისუფლებისთვის, მაგრამ მაინც მგონია, რომ არჩევნებამდე დიდი დროა და ეს აგონია გადაივლის.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ისე, ქართული მხარე ცუდად მოექცა სტუმრებს. ისინი დაპატიჟეს, ჩამოიყვანეს და მერე ობსტრუქცია მოუწყვეს და გაყარეს. ეს დიპლომატიაში მიუტევებელი შეცდომაა. ქართულმა მხარემ ყველა დეტალი ვერ გაითვალისწინა, რასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა გამოეხმაურება»**

**«საერთოდ არ იყო ზურაბიშვილი ადეკვატური, აბსოლუტურად ზედმეტი იყო მისი განცხადება, მაგრამ ვფიქრობ, ის თავის იმიჯზე ზრუნავს. მან თავისი განცხადებით, რუსების გინებით, ცეცხლზე ნავთი დაასხა ჩვენთვის, სამაგიეროდ, თავი მოაწონა ანტირუსულ ძალებს ევროპაში»**

ჩაკურსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსი ტურისტების არყოფნის ხარჯზე საქართველოში უცხოური ვალუტის მილიარდიანი დეფიციტი შეიქმნება, რომელიც ლარზე უარყოფითად იმოქმედებს და ისედაც შავ დღეში მყოფი ვალუტა უფრო გაუფასურდება, პროდუქტებიც გაძვირდება და, როგორ გააძლებს მშიერ კუჭს „რუსეთი ოკუპანტია“ -ს ძახილი, ერთად ვნახავთ.**

# მაშინ «გაისროლეს», როცა რუსეთისგან შექმნილი მტრის ხატი ნელ-ნელა იმსხვრეოდა

**ისევ დატრიალდა კარუსელი, ისევ იმ წრეზე წავიდა, რომელზეც რამდენიმე ათეული წლის წინათ ტრიალებდა. მერე კიდევ, როცა გვეგონა, რომ კარუსელის ტრიალსა და თავბრუსხვევას მოვრჩით, ისევ მოვახერხეთ და იმავე გზაზე წავედით — ჩაკეტილ წრეზე, რომელსაც აღარც თავი უჩანს და აღარც ბოლო. მრავლისმნახველი რუსთაველის გამზირი კიდევ ერთ საპროტესტო ტალღას „მასპინძლობს“, თუმცა ეს ის შემთხვევაა, რომელიც თვითონ მოვიგონეთ, თვითონ შევქმენით, გამოვჩხრიკეთ. ახლა ის არის საინტერესო, რა მოგვიტანა ამ პროტესტმა და რა „სიკეთეს“ უნდა ველოდოთ სამომავლოდ.**

შარშანდელი, შარშანწინდელი და წლევანდელი მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი ტურისტი რუსეთიდან შემოვიდა. მხოლოდ რუსეთიდან შემოსულ ტურისტებზე წლიურად დაახლოებით 1,2-1,3 მლრდ დოლარის შემოსავალს ანგარიშობდა ჩვენი ხელისუფლება და, რაც მთავარია, ეს თანხა მიდიოდა პირდაპირ ხალხის ჯიბეში, ანუ იმ ადამიანების ჯიბეში, რომლებიც ტურისტებს მასპინძლობდნენ, საცხოვრებლით უზრუნველყოფდნენ, ასმევდნენ, აჭმევდნენ. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, ექსპერტების იმ განცხადებას გაგახსენებთ, რომელიც ცოტა ხნის წინათ სარეკორდოდ გაუფასურებული ეროვნული ვალუტის მიმართ გააკეთეს.

**„არსებობდა მოლოდინი, რომ გაზაფხულზე საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხვედრითი წილი გაიზრდებოდა, მაგრამ ამგვარი არაფერი მომხდარა — ინვესტიციები არ განხორციელდა, შეიქმნა უცხოური ვალუტის დეფიციტი და ლარიც გაუფასურდა. ახლა მხოლოდ ტურისტული სეზონი თუ გვიხსნის, რადგან ტურისტები საქართველოში სწორედ უცხოურ ვალუტას ხარჯავენ, ეს თანხა გადის ხალხში და პრაქტიკულად უცხოური ინვესტიციაა...“**

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მთლიანობაში ტურისტულ სეზონზე ხელისუფლება შვიდი მილიარდის ბრუნვას აღრიცხავდა ხოლმე და ამით ძალიან ბედნიერი იყო. ამ შვიდ მილიარდში კი ლომის წილი სწორედ რუს ტურისტებს ედოთ...

აქციებისა და რუსეთის ლანძღვა-გინების შემდეგ ვლადიმერ პუტინმა ტუროპერატორებს მოუწოდა, აღარ გაყიდონ საქართველოს მიმართულებით ტურპაკეტები, 8 ივლისიდან ფრენაც აკრძალა და, რაც მთავარია, საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდა, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, რადგან საქართველოში ისინი უსაფრთხოდ არ იყვნენ. პრეზიდენტის მოწოდებას ერთ დღეში საქართველოში მყოფი 28 ათასი რუსი ტურისტი გამოეხმაურა, მათი მცირე ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, **დიდმა ნაწილმა კი სარფის საბაჟოს გავლით თურქეთისკენ აიღო გეზი და დასვენება ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში გააგრძელა. ჰო, იმ მეზობელ სახელმწიფოში, რომელსაც დალაგებული ურთიერთობა ვერ აქვს რუსეთთან, მაგრამ ჭკუა ჰყოფნის და იმ დონეზე არ აღიზიანებს, რომ საკუთარ ეკონომიკას დაარტყას. ამას გარდა, საქართველოს მასშტაბით ერთ დღეში გაუქმდა 80 ათასი ჯავშანი სასტუმროებსა და სანატორიუმებში...**

ამის მიუხედავად, ქართველმა პოლიტიკოსებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და განაცხადეს: წელს საზღვარგარეთ ვაპირებდით დასვენებას, მაგრამ ახლა აქ დავისვენებთ, აქ დავხარჯავთ ფულს და ქვეყანას რუსი ტურისტების არყოფნას არ ვაგრძნობინებთო. ერთ-ერთი პარლამენტარი ამბობდა: მესტიაში იაფად ვიშოვე სასტუმრო, ორი ნომერი ავიღე და ათი დღით მიმყავს ცოლ-შვილიო. სიიაფეში კი იმ 219 ლარს გულისხმობდა, რომელიც თითო ნომერში ერთ ღამეში უნდა გადაეხადა, ანუ 10 დღით ცოლ-შვილის დასვენება 4380 ლარი დაუჯდება, ამას კვება დაუმატეთ, გზის ხარჯი, იქ ტურები და თანხა, სულ ცოტა, 6000 ლარი იქნება. ახლა ის მითხარით, **რამდენი ქართული ოჯახი მისცემს თავს უფლებას, რომ ათდღიან დასვენებაში საქართველოში 6000 ლარი გადაიხადოს. არის საქართველოში თუნდაც 28 ათასი ასეთი ოჯახი? 28 ათასი იმიტომ, რომ ერთ დღეში სწორედ ამდენი ტურისტი წავიდა საქართველოდან და გვერწმუნეთ, ისინი ამ თანხას დახარჯავდნენ. შევთანხმდეთ, რომ ქართული რესურსით ამ დანაკარგს ვერ აღმოვფხვრით. ჰოდა, მზერა დასავლელი პარტნიორებისკენ მივაპყროთ.**

ამ ფონზე ძალიან არაადეკვატური იყო საქართველოს პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** განცხადება.

„ჩემი პასუხია, რომ რუსმა ტურისტებმა უნდა განაგრძონ აქ ჩამოსვლა, იმიტომ, რომ მათ საქართველო უყვართ“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

**ქალბატონო სალომე, რა გამოდის? რუსი ტურისტები უნდა ჩამოვიდნენ საქართველოში, უნდა დახარჯონ ფული და პარალელურად უნდა უყურონ, როგორ ვლანძღავთ მათი ქვეყნის ლიდერს, როგორ აგინებს გამვლელი მათ, როგორ ეძახის ოკუპანტებს და ეს ყველაფერი აიტანონ. ამასთან არც ის დაგვავიწყდეს, რომ რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეები ლეგალურად თუ არალეგალურად იქ უნდა იყვნენ, უნდა იმუშაონ, აქეთ ოჯახები არჩინონ და ბუზიც არავინ აუფრინოს.** ეს ყველაფერი რომელ ლოგიკაში ჯდება, ვერ გეტყვით, მაგრამ მერე, როცა ჩვენი პრეზიდენტის განცხადებებს რუსეთში უპასუხისმგებლოსა და დაუფიქრებელს უწოდებენ, გაოცებული ვკითხულობთ: რატომ? რა ვერ გაიგეს?!



**ბოლო წლების ტენდენციას თუ გადავხედავთ, ევროპა-ამერიკიდან ფულადი გზავნილებიც შემცირდა და ტურისტების ნაკადიც, პარალელურ რეჟიმში იზრდებოდა როგორც ტურისტების, ისე ფულადი გზავნილების რაოდენობა რუსეთიდან. ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობა სტაბილურდებოდა, ცივილურ ჩარჩოებში ექცეოდა და სწორედ ეს არ აძლევდათ ხელს დასავლელ პარტნიორებს. რუსეთისგან შექმნილი მტრის ხატი ნელ-ნელა იმსხვრეოდა და სწორედ მაშინ «გაისროლეს»**

ისე, **ბოლო წლების ტენდენციას თუ გადავხედავთ, ევროპა-ამერიკიდან ფულადი გზავნილებიც შემცირდა და ტურისტების ნაკადიც, პარალელურად იზრდებოდა როგორც ტურისტების, ისე ფულადი გზავნილების რაოდენობა რუსეთიდან. ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობა სტაბილურდებოდა, ცივილურ ჩარჩოებში ექცეოდა და სწორედ ეს არ აძლევდათ ხელს დასავლელ “პარტნიორებს”. რუსეთისგან შექმნილი მტრის ხატი ნელ-ნელა იმსხვრეოდა და სწორედ მაშინ „გაისროლეს“.** და ახლა ვითომც არაფერი — **დასავლეთი მშვიდად ადევნებს თვალს უკვე მერამდენედ არეულ საქართველოს და არც იმას ამბობენ, — ჩვენი ქვეყნიდან წამოვლენ ტურისტებიო, არც იმას, — აქეთ ლეგალურ დასაქმებას შემოგთავაზებთო, პირიქით, რამდენიმე ასეული ადამიანი საქართველოში დეპორტაციას ელოდება. სხვათა შორის, თუ რუსეთიდან განხორციელდა დეპორტაცია, მაშინვე გულზე მჯიღის ცემით გამოვდივართ ქუჩაში, „რუსეთი ოკუპანტია“, „რუსეთი მტერია“-ს შეძახილებით, მაგრამ, თუ ევროპიდან ან ამერიკიდან გამოაძევეს ვინმე, ხმასაც არ ვიღებთ, იმიტომ, რომ ისინი თურმე ჩვენი მეგობრები არიან. მაგრამ რაში გამოიხატება ეს მეგობრობა, ვერ გეტყვით. ერთი რამ ფაქტია: მათ მივუტევებთ იმაზე მეტს, რასაც არ მივუტევებთ რუსეთს.**

იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ თუ პენსიონერ ოჯახს სოფელი არ აქვს, დასასვენებლად, ჰაერის გამოსაცვლელად (რაც ასე საჭიროა ხანდაზმულ ასაკში) ვერსად ვერ მიდიან? მიზეზი კი ის არის, რომ მათ ფული, დასასვენებლად კი არა, თვიდან თვემდე საკვებად არ ჰყოფნით. ჰო, არ ჰყოფნით, არ იკვებებიან სრულფასოვნად და შესაბამისად, ფრაზა „დასასვენებლად წასვლა“ მათთვის, უბრალოდ, აღარ არსებობს. და ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და, რამდენიც უნდა ვიძახოთ, რომ ყველაფერი სხვაგვარად არის, არაფერი გამოვა. მეტიც, სწორედ **რუსი ტურისტების არყოფნის ხარჯზე საქართველოში უცხოური ვალუტის მილიარდიანი დეფიციტი შეიქმნება, რომელიც ლარზე უარყოფითად იმოქმედებს და ისედაც შავ დღეში მყოფი ვალუტა უფრო გაუფასურდება, პროდუქტებიც გაძვირდება და, რამდენად გააძლებს მშიერ კუჭს „რუსეთი ოკუპანტია“ -ს ძახილი, ერთად ვნახავთ.**

ისე, გასულ ზამთარს პრემიერმა საქართველოში ლამის მილიარდიანი უცხოური ინვესტიციის შემოსვლა დააანონსა, მაგრამ რეალურად 300 მილიონის ინვესტიცია შემოვიდა და ისიც, იცით, როგორ? **კომპანია „აჭარაბეთი“ გაიყიდა და ის ირლანდიურმა ჯგუფმა იყიდა 112 მილიონად (ამას უცხოური ინვესტიცია დაერქვა) და დამატებით 150-მილიონიანი ინვესტიცია ოფშორში დარეგისტრირებულმა პანამურმა კომპანიამ განახორციელა და ეს კომპანია... ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა.** რეალურად, უცხოური ინვესტიცია არ განხორციელებულა, უცხოური ვალუტა არ შემოსულა და მართლაც ტურისტების იმედად ვიყავით. მოხერხება ხომ უნდა, ბოლო იმედს, ბოლო შანსს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, წითელი ბარათი ავუფრიალეთ და, თანაც ნამოქმედარით კმაყოფილნი ვართ. **ის გვახსენდება, რუსეთს ბლოკადა რომ გამოვუცხადეთ და რკინიგზის მაგისტრალი რომ გადავკეტეთ, აქაოდა, ეკონომიკური კრიზისი უნდა შევქმნათ რუსეთშიო? ერთ კვირაში კი 7 მილიარდი მანეთი იზარალა საქართველომ.** იმავეს ვაკეთებთ ახლაც და, როგორც თავში ვთქვით, იმავე კარუსელს ვატრიალებთ, მოჯადოებულ წრეზე ვბრუნავთ და აქციაზე „ჯოს, ჯოს“ ძახილით **ქვეყანას კვლავ იმ უფსკრულისკენ მივაქანებთ, რომლიდანაც ამოსვლა თითქოს დავიწყეთ, თუმცა არ დაგვანებეს. არ დაგვანებეს სწორედ დასავლელმა “პარტნიორებმა” და ისევ ბედის ანაბარა დაგვტოვეს.**

რაც მთავარია, ჯერჯერობით დასრულებული არაფერია და იმის მიუხედავად, რომ ექსპერტები მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე უკვე საუბრობენ, მათ ყურს არავინ უგდებს. პრაქტიკულად, უფასოდ ვეპატიჟებით სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს საქართველოში, ჩარტერებსაც კი ვთავაზობთ როგორმე აქ ჩამოსატყუებლად, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, რომ რუსი ტურისტების გასვლა აქედან მსოფლიო მასშტაბით არასტაბილურობის განცდას შექმნის. არც იმას ფიქრობს არავინ, რომ ტელევიზიით ნაჩვენები აქციის დასისხლიანებული მონაწილეები და პოლიციელებზე გადამტვრეული ხელჯოხები ნებისმიერ ტურისტს საქართველოს მიმართ გეგმებს შეაცვლევინებს და აქ აღარ ჩამოვა. ჰო, მერე, ყველაფერი რომ დასრულდება, გაჩანაგებული ეკონომიკის, გაუფასურებული ლარისა და გაძვირებული პროდუქტის გამო ქუჩაში გამოსვლა არ დაგავიწყდეთ.

**ბესო ბარბაქაძე**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს პროცესები განპირობებული იყო იმით, რომ ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაში გარკვეული აღმავლობა დაიწყო. ეს ეხება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, დიალოგებს ექსპერტებს შორის, პერმანენტულ შეხვედრებს და ა.შ. რაც, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულად აშფოთებდათ მსოფლიო „ლიბერალური“ დღის წესრიგის მესვეურებს“.**



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# თუ ამ ეკონომიკურ ხაზებს ჩაგვიჭრიან, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს გადაუჭრიან სასიცოცხლო არტერიას

**20 ივნისს სააკაშვილის პოლიტიკური ხროვის მიერ ივანიშვილის პოლიტიკური ნახირისთვის „ნაცზონდერ“ ნიკა მელიას მთავარსარდლობით მოწყობილ სამარცხვინო მასკარადს, რომელიც მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის რიგით 26-ე სესიის თბილისში ჩატარებამ და მასში რუსი დეპუტატების მონაწილეობამ გამოიწვია, ოფიციალური მოსკოვის მხრიდან რეაგირება უკვე მოჰყვა. 21 ივნისს რუსეთის პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულების თანახმად, 8 ივლისიდან რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლა ოფიციალურად შეწყდება, აიკრძალება ყველა სახის კომერციული გადაზიდვა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღარ ჩამოვლენ ტურისტები, რომელთა რაოდენობაც წლიდან წლამდე მატულობდა...**

## «ამ ყველაფერს საბოლოოდ შეიძლება მშიერი ბუნტი მოჰყვეს»

**«ეს იყო დასავლეთის გლობალისტური ძალების მიერ ორგანიზებული და თანმიმდევრულად განხორციელებული ერთგვარი კომპლექსური პოლიტიკური ობსტრუქცია, რომელიც, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოპოლიტიკური ჭიდილის გამოვლინება დასავლეთსა და რუსეთს შორის; ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკრეტული კონსერვატიული ძალების განეიტრალების მცდელობა საქართველოში»**

თავისი გადაწყვეტილება **ვლადიმერ პუტინმა** იმით ახსნა, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები (ცხადია, „ნაცმოძრაობა“ იგულისხმება) მიზანმიმართულად აღვივებენ მოსახლეობაში ანტირუსულ განწყობებს, რის გამოც ორ ქვეყანას შორის არსებული ისედაც დაძაბული ურთიერთობა კიდევ უფრო იძაბება. ამასთანავე, მისი შეფასებით, მსგავსმა პოლიტიკურმა რიტორიკამ და მოწოდებებმა შესაძლოა, გარკვეული საფრთხე შეუქმნას საქართველოში ტურისტად მყოფ რუსეთის მოქალაქეებს, რაც სახელმწიფოებს შორის უფრო დიდ გართულებებს გამოიწვევს...

რაც შეეხება საქართველოსა და ქართულ ეკონომიკას, წინასწარი გათვლებით, რომელსაც ეკონომიკის ცნობილი ექსპერტები აკეთებენ, რუსეთის პირველი პირის მიერ დაწესებული აკრძალვა ქვეყნას უმძიმეს ტვირთად დააწვება და ახლო მომავალში სერიოზულ რყევებს გამოიწვევს. კერძოდ, საუბარია დაახლოებით მილიარდი დოლარის ზარალზე, რომელიც პროდუქციის გასატანად ალტერნატიული ბაზრის არარსებობის პირობებში გარდაუვალია. იმავე ექსპერტების შეფასებით, თუკი მიმოსვლა დიდი ხნით შეჩერდება და ქართულ პროდუქციას რუსულ ბაზარს ხანგრძლივად დაუხურავენ, ზარალი შესაძლოა, გაცილებით მეტი აღმოჩნდეს...

**რა ელის ისედაც უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს რუსული ბაზრის დაკარგვის კვალდაკვალ ახლო მომავალში და რას მოუტანს ქვეყანას „ნაცმოძრაობის“ მიერ ძალაუფლების ხელახლა მოსაპოვებლად მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ინსპირირებული ურაპატრიოტიზმი? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, 20 ივნისს „ნაცმოძრაობის“ და მისი განაყოფი პოლიტიკური სუბიექტების მიერ პარლამენტის შენობასთან მოწყობილმა პროვოკაციამ ოფიციალური მოსკოვის მხრიდან შესაბამისი რეაგირება უკვე გამოიწვია. პრეზიდენტ პუტინის ბრძანებულებით, 8 ივლისიდან რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლა შეწყდება და ტურისტებიც აღარ შემოვლენ. თქვენი აზრით, რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ამ ყველაფერმა ქართულ ეკონომიკაში?**

— მოდი, პირდაპირ, ყოველგვარი ქვეტექსტებისა და მინიშნებების გარეშე ვთქვათ სიმართლე. იმას, რაც მოხდა, უკვე ფარდა აეხადა და ხელისუგულზე დევს ყველაფერი. **ეს იყო დასავლეთის გლობალისტური ძალების მიერ ორგანიზებული და თანმიმდევრულად განხორციელებული ერთგვარი კომპლექსური პოლიტიკური ობსტრუქცია, რომელიც, ერთი მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც გეოპოლიტიკური ჭიდილის გამოვლინება დასავლეთსა და რუსეთს შორის; ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკრეტული კონსერვატიული ძალების განეიტრალების მცდელობა საქართველოში.** ეს პროცესები განპირობებული იყო იმით, რომ **ბოლო პერიოდში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაში გარკვეული აღმავლობა დაიწყო. ეს ეხება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, დიალოგებს ექსპერტებს შორის, პერმანენტულ შეხვედრებს და ა.შ. რაც, როგორც ჩანს, უკვე სერიოზულად აშფოთებდათ მსოფლიო „ლიბერალური“ დღის წესრიგის მესვეურებს.**

რაც შეეხება მოსალოდნელ ნეგატიურ პროცესებს ჩვენს ეკონომიკაში, რომელიც რუსეთის მხრიდან ავიამიმოსვლის შეწყვეტას მოჰყვება. უკვე არავინ მალავს და ეს არის ყველა ექსპერტის მიერ დათვლილი მოკრძალებული რიცხვი — **ამ აკრძალვის შედეგად ქვეყანას წლის ბოლომდე მილიარდი დოლარის ზარალი მიადგება.** შეგახსენებთ, რომ მხოლოდ **სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვა რუსეთ-საქართველოს შორის ამ მომენტისთვის შეადგენს მილიარდ 350 მილიონ აშშ დოლარს და 16% ჩვენი ექსპორტისა მოდის სწორედ რუსეთის ფედერაციაზე. ეს მნიშვნელოვანი ფუნდამენტია ქართული ეკონომიკისთვის. აი, ამ ყველაფერს ემუქრება ჩამოშლა და, რა თქმა უნდა, უახლოეს მომავალში ეს ყველაფერი უმძიმეს ტვირთად დააწვება ჩვენს ქვეყანას. ოღონდ დააწვება არა ხელისუფლებას ან სხვა რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც დღეს დასავლეთიდან ნაკარნახევი ამ ანტირუსული ისტერიკის ავანგარდშია, არამედ რიგით მოქალაქეებს;** განსაკუთრებით

— სოფლად მცხოვრებ ადამიანებს და სოფლის მეურნეობას, რომელიც დღევანდელ ვითარებაში ისედაც სულს ღაფავს...

**— ამ ეკონომიკურმა სიძნელეებმა რა პროცესები შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანაში?**

— არსებული ხელისუფლებისთვის კარგი არაფერი... კიდევ ვიმეორებ: ეს პროცესები — ხალხის გამოყვანა ქუჩაში, მუხტის აწევა, მოწოდებები — გათვლილი იყო იმაზე, რომ საზოგადოება აეფეთქებინათ, თუმცა არავის ადარდებს, რომ ამ ყველაფრის შედეგად, ასედაც და ისედაც, დაზარალდა ისევ ხალხი. ისე, მაინტერესებს, **თუ რუსული ბაზარი დიდი ხნით დაიხურება და ექსპორტი შეგვეზღუდება, ვინ გასცემს პასუხს, მაგალითად, კახელ გლეხს, რომელსაც, შესაძლოა, სახლში დაულპეს ნაშრომი და ნაოფლარი? ვინ გასცემს პასუხს სოფლად მცხოვრებ (და არა მხოლოდ სოფლად მცხოვრებ) ადამიანებს, რომლებიც ზოგი ტურიზმზეა მატერიალურად დამოკიდებული, ზოგს რაღაც მოჰყავს და რუსულ ბაზარზე გააქვს?.. ნიკა მელიას** და მისნაირებს რა ადარდებთ — კაბინეტებში სხედან კომფორტულად და არაფერი აკლიათ, მაგრამ ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს, რომელსაც სხვა საარსებო, გარდა მიწის დამუშავების შედეგად მოყვანილი პროდუქციისა, არ აქვს, ვინ მიხედავს? ეს ერთი. და მეორე — ეს ჩვენი პრემიერი ზღაპრებს რომ ყვება ხოლმე, — ამხელა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ექსპორტი ამდენით გავზარდეთ და მომავალში კიდევ უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდებაო, — რის ხარჯზე ხდება ეს ყველაფერი? რით ჩაანაცვლებენ ახლა რუსულ ბაზარს?

**— ზემოთ თქვით, რომ 20 ივნისის ღამის აქცია გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ ინსპირირებული პროვოკაცია იყო. მიაღწიეს ამ ძალებმა თავიანთ მიზანს?**

— ამ ეტაპზე ყველაფერი დამოკიდებულია ხელისუფლების მოქმედებაზე. ვფიქრობ, რომ **გიორგი გახარია არ უნდა გადადგეს, მაგრამ, თუ გადადგება, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ყველა შეკითხვას პასუხი გაეცემა. პირველ რიგში, უნდა გამოვლინდნენ პროვოკაციის ორგანიზატორები და თითოეულმა ადამიანმა, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს ეს ბარბაროსობა, კანონის შესაბამისად პასუხი უნდა აგოს. მათთან ერთად პასუხი უნდა აგონ შემსრულებლებმაც, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლიციის სპეციალურ ძალებს.**

რაც შეეხება შეკითხვას, მიაღწიეს თუ არა პროვოკაციის დამგეგმავებმა დასახულ მიზანს, ვისაც სურდა, გადაეფარა ყველა აქტუალური საკითხი ქვეყანაში, ვისაც სურდა ჩაეშალა და კიდევ უფრო გაემწვავებინა წლების განმავლობაში ისედაც ჩიხში შესული რუსულ-ქართული ურთიერთობები, მათ, რა თქმა უნდა, მიზანს მიაღწიეს. თუმცა, თუ საზოგადოება იქნება პრინციპული და არ აჰყვება ამ მავნე პოლიტიკური ძალების სახიფათო თამაშს, რომელიც მხოლოდ მათ პოლიტიკურ ზრახვებსა და ინტერესებსაა მორგებული, მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია. ახლა დავუბრუნდეთ ისევ ეკონომიკას. ის, რომ ტერიტორიების 20 პროცენტს ვერ ვაკონტროლებთ და ამაში, რა თქმა უნდა, რუსეთის როლი დიდია, ის, რომ ასიათასობით ჩვენი მოქალაქე იძულებით გადაადგილებულია და საკუთარ სახლში ვერ ბრუნდება, დასაგმობია და გასაპროტესტებელი, მაგრამ რა მოცემულობაც უნდა იყოს, სახელმწიფო პოლიტიკა ხომ არ შეიძლება რაციონალიზმის ჩარჩოებს გასცდეს?! დღეს საქართველოს ეკონომიკა დგას რუსულ კაპიტალზე და, რომ არა ეს კაპიტალი, ის უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდაც, რომლითაც ხელისუფლება ასე ამაყობს, სანატრელი გვექნებოდა...

**— იქნებ დავაკონკრეტოთ, რა კაპიტალზეა საუბარი?**

— ყველა მსხვილი გადამხდელი დღეს, იქნება ეს „აზოტი“, „კვარციტი“, „ჯორჯიან მანგანეზი“, საქენერგოგენერაციის ობიექტები თუ სხვა, საუბარია დაახლოებით 92%-ზე, დაფუძნებულია რუსულ კაპიტალზე. არაფერს ვამბობ აგრარულ სფეროში მოღვაწე კომპანიებზე, რომელთა შორის ექვსი ძირითადი ქარხანა ასევე დგას რუსულ ფულზე. ახლა ამ ყველაფერს დაუმატეთ ტურისტები, რომლებიც ყოველწლიურად სტუმრობენ ჩვენს ქვეყანას და მიხვდებით, რამხელა მასშტაბებზეა საუბარი. ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **როგორც მუცლად მყოფი ბავშვი დამოკიდებულია პლაცენტაზე, დაახლოებით ასეთივე საარსებო გარემოა დღეს ჩვენი ეკონომიკისთვის რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ კვლავ ვხედავთ სისტემატურ მიზანმიმართულ მცდელობებს, რომ ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგოს ეს ურთიერთობები და მოსწყდეს თავის ჩრდილოელ მეზობელს, რომელსაც ამ თვალსაზრისით ალტერნატივა არ აქვს.** ეს არის უნიკალური და შეუცვლელი ბაზარი ჩვენთვის იმ კუთხით, რომ განსხვავებით ევროკავშირის ქვეყნებისგან აქ გაცილებით მარტივად და ყოველგვარი გართულების გარეშე შეიძლება მოხვდეს ქართული პროდუქცია. გამომდინარე აქედან, თუ ჩვენ ამ ეკონომიკურ ხაზებს ჩაგვიჭრიან, ეს ნიშნავს, რომ საქართველოს გადაუჭრიან სასიცოცხლო არტერიას.

**— თქვენი აზრით, რამ შეიძლება შემოაბრუნოს ეს პროცესი?**

— მხოლოდ ძირეულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა, იმიტომ, რომ აშკარაა, არსებულ ხელისუფლებას რუსეთთან დიალოგი და ურთიერთობების მოგვარება არ შეუძლია. არ შეუძლია, უწინარესად, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ანგარიშვალდებულია მხოლოდ დასავლური ინსტიტუტების, დასავლური სტრუქტურების მიმართ და, ცხადია, ეს დღის წესრიგი, მას რომც უნდოდეს, არასოდეს მისცემს უფლებას, ურთიერთობების მოგვარებაზე ორიენტირებული დიალოგი აწარმოოს მოსკოვთან. კიდევ ვიმეორებ: **20 ივნისს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა პროვოკაცია, რომლის მწვავე შედეგებსაც მომავალში მოვიმკით; და ამ ყველაფერს საბოლოოდ შეიძლება მოჰყვეს მშიერი ბუნტი. არც ერთ შემთხვევაში არეულობას, გადატრიალებას და მით უფრო სამოქალაქო დაპირისპირებას ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება. ამას შეიძლება შედეგი მოჰყვეს მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფებისთვის, რომლებიც დიდი ხანია, ჩასაფრებულები არიან და კბილებს ილესავენ არეულობაზე. აი, ამ ძალების გაძლიერება არ უნდა დაუშვას საზოგადოებამ და არ უნდა გამოვიდეს მათ დაძახილზე,** მიუხედავად იმისა, თუ რა საკითხზე დაუძახებენ ისინი მოსახლეობას და რაზე დაიწყებენ საპროტესტო გამოსვლებს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ივანიშვილმა რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლების შემდეგ აქტივები დასავლურ ბანკებში წაიღო, დასავლური გიგანტების აქციები შეიძინა და ახლა სწორედ ამ აქტივების ტყვეა. ივანიშვილმა ზუსტად იცის, რომ დასავლეთის საამებელს თუ არ გააკეთებს, მის აქტივებს გაანულებენ და მას ზუსტად ისეთივე ფასი და გავლენა ექნება საქართველოში, როგორიც დღეს ქუმსიშვილსა და ალავიძეს აქვთ. ანუ, ივანიშვილი თავიდან ბოლომდე ფულზე დგას და ზუსტად იცის, რომ ფულის გარეშე არაფერს წარმოადგენს. შესაბამისად, ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს გავლენა და ფული გაზარდოს, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენოს არასდროს საკუთარი ბიუჯეტი და მერე რა, თუ ერთი კაცის ამბიციებს ერი და ქვეყანა ეწირება.**

კოაბიტაციის შედეგი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საპრეზიდენტო არჩევნები არც ისე დიდი ხნის წინათ ჩატარდა და, ალბათ, გახსოვთ, პირველი ტურის შემდეგ როგორი პანიკა დაიწყო მმართველ გუნდში. ბიძინა ივანიშვილი იძულებული შეიქნა, წაშლილი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) სახით დამდგარიყო კამერების წინ და მხარდაჭერა ეთხოვა. მიმართვაში ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ მიხვდა თავის შეცდომებს: ეს რა დამემართა და როგორ დამემართა, ყველაფერს გამოვასწორებ, პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებო. ამომრჩეველმაც სწორედ ივანიშვილს დაუჯერა, თორემ რეალურად, სალომე ზურაბიშვილი 5%-იან ბარიერსაც რომ ვერ გადასცდებოდა, ყველაზე კარგად სწორედ მან უნდა იცოდეს. დაუჯერა და სათვალავიც აგვერია, მერამდენედ მოგვატყუეს.**

# ამჯერად კოაბიტაცია არ მოხდება, ნაციონალები დაუნდობლად გაუსწორდებიან «ოცნებას» და, პირველ რიგში, ივანიშვილს

დავიწყოთ იმით, რომ მოსვლის დღიდან ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტის ძირითადი ნაწილი უმაქნისი ტიპებით არის დაკავებული. ისინი, უბრალოდ, კაიტიპობენ და მეტს არაფერს არ აკეთებენ. მარტივ კითხვას დავსვამთ — სად **არის დიმიტრი ქუმსიშვილი,** რომელმაც თურმე, საერთოდ, არაფერი გააკეთა (ივანიშვილის შეფასებაა)? ეს არაფრისმკეთებელი ჯერ ეკონომიკის მინისტრი იყო, მერე — ფინანსთა მინისტრი, მერე ისევ ეკონომიკაში დააბრუნეს, პირველ ჯერზე არაფერი გამოუვიდა და ეგებ მეორეზე ქნას რამეო. წავიდა ეს კაცი შინ, ზის მშვიდად და ითვლის იმ ბლუჯა ლარებს, რომლებიც წაიღო.

**ზურაბ ალავიძე** სად არის, ბატონო ბიძინა? ინფრასტრუქტურის სამინისტროს გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიც რომ გადააბარეთ, კარგად ჩაატარებსო... მერე გაირკვა, რომ თურმე ისიც არაფრის მაქნისი ყოფილა. უფრო ზუსტად, კი არ გაირკვა, ივანიშვილმა თვითონ გაარკვია, თორემ რამდენჯერაც დავწერეთ, რომ უსაქმურები გყავს-თქო, იმდენჯერ ერთი ყურიდან მეორეში გაატარა. პარალელურად, „ნაციონალურ მოძრაობას" შეუქმნა სასათბურე პირობები და მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ნაციონალები არიან მისთვის მაშველი რგოლი. **რომ არა „ნაციონალური მოძრაობა", აქამდე „ქართული ოცნების" ხსენებაც აღარ იქნებოდა. არ იქნებოდა, იმიტომ, რომ ნაციონალებში იდეისა და თავისი ბინძური საქმეების გარშემო მაინც არიან გაერთიანებული, მეგობრობენ კიდეც, „ოცნების" ლიდერებს შორის კი არც მეგობრობაა, არც იდეის გარშემო გაერთიანება და ყველა პირდაღებული იმას უყურებს, რას და როდის გადმოაგდებს ივანიშვილი. და ეს ადამიანები იმისთვის ჰყავს მხოლოდ, რომ პერიოდულად ხელი შეაწმინდოს, თანამდებობიდან გაუშვას და... დაივიწყოს.** არაფრისმომცემი სახელები და სახეები, არსაიდან მოსული ხალხი ისევ არაფრისმომცემად რჩება და ყველას ავიწყდება. სამაგიეროდ, ივანიშვილი მარტივად „აპრავებს" თავის ცრუდაპირებებს და ხელს სწორედ მათკენ იშვერს: მე კი არა, მათ არ შეასრულეს და ამიტომ მოვხსენიო.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს ყველაფერი ხელს აძლევთ; იმიტომ, რომ მიწაში ჩადებული რეჟიმი ივანიშვილმა ამოიღო, გარეცხა, გაასუფთავა და ისევ იქ დასვა, საიდანაც ხალხმა გაუშვა. ნაცებმაც მშვენივრად მოირგეს მთავარი ოპოზიციური ძალის სახელი და მშვიდად ელოდებიან მომენტს, როცა ხელისუფლებაში დაბრუნებას მოახერხებენ. აი, მაშინ მართლა რევანში იქნება და არანაირი კოაბიტაცია არ მოხდება, ნაციონალები დაუნდობლად გაუსწორდებიან „ოცნებას" და, უწინარესად, ივანიშვილს.

ნაციონალების რეინკარნაციის გარდა, სწორედ ივანიშვილმა მოახერხა ის, რომ თითქმის ყველა მედიასაშუალება (1-2 გამონაკლისის გარდა) **რუსეთის გინების პოლიგონად აქცია.** ეს იმ დროს, როცა ხელისუფლებაში მოსვლამდე ერთ-ერთ მთავარ დაპირებად რუსული ბაზრის გახსნა ჰქონდა დაანონსებული. ის არ მალავდა საკუთარ კავშირებს რუსეთთან და ამბობდა, რომ შეუძლია სწორედ ამ კავშირების წყალობით მოახერხოს და მსოფლიოში უდიდესი რუსული ბაზარი ქართული პროდუქციისთვის კვლავ ღია იყოს. ივანიშვილი არც ახლაა წინააღმდეგი, რომ რუსულ ბაზარზე შეგვიშვან და **ზუსტად იცის, რომ ეს შეშვება საქართველოს ეკონომიკის მაშველი რგოლი იქნება, ამოგვასუნთქებს, მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა უცნაურად უნდა — რუსეთის გინების ფონზე, კრიტიკის ფონზე, საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ძაგებისა და რუსეთისთვის სანქციების დაწესების მხარდაჭერის ფონზე, ანუ გვინდა ყველა სიკეთე და სანაცვლოდ მაგრად უნდა ვაგინოთ.** ვერ გეტყვით, ასეთ მიდგომას რა ჰქვია: პოლიტიკური სიბეცე თუ სიბრიყვე, მაგრამ ფაქტია, რომ მას, რუსეთი კი არა, მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაც არ ჭამს.

ისე, ძალიან გვაინტერესებს, როგორ ესმის სიტყვა პასუხისმგებლობა ივანიშვილს. როგორც კი გაუჭირდება, მაშინვე დაგვენახვება ხოლმე და ამბობს: „პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებო". ერთხელ მაინც გაგვახსენეთ ეს აღებული პასუხისმგებლობა. თუ იმას გულისხმობს, რომ ვიღაცეებს (სწორედ რომ ვიღაცეებს) თანამდებობიდან ათავისუფლებს, ეს პასუხისმგებლობის აღება არ არის. ის, რომ



**გასული კვარტლის მონაცემებით, ივანიშვილის ქონებამ 270 მილიონი დოლარით მოიმატა, ანუ თვეში დაახლოებით 90 მილიონით, რაც დღეში 3 მილიონს ნიშნავს. გამოდის, რომ, როცა ხალხი ყოველდღიურად ღარიბდება, ივანიშვილის ქონება 3 მილიონით მატულობს? ვის და რის ხარჯზე? იმის ხარჯზე ხომ არა, რომ სრულიად საქართველო მის ბიზნესად იქცა და მთელი პოლიტიკური სპექტრი მისი წისქვილის დოლაბს აბრუნებს? ხომ არ აქვს ივანიშვილს პოლიტიკური ტყუილების ტაქტიკა ხელოვნების რანგში აყვანილი?!**

8 ივლისიდან რუსეთის მიმართულებით ავიაგადაზიდვები შეწყდება, სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა და **სასაცილოც აღარ არის იმის თქმა, რომ თურმე რუს ტურისტებს მოსკოვი-ერევანი-თბილისის ავიარეისით ჩამოიყვანენ. როგორ გგონიათ, ერთ დღეში რომ დაიცალა რუსი ტურისტებისგან საქართველო, ისინი აღარ დაუჯერებენ ვლადიმერ პუტინს და მაინც ჩამოვლენ საქართველოში? თუ იმის სანახავად ჩამოვლენ, მაღაზიებმა რომ დაიწყეს სარეკლამო განათებებზე „რუსეთი ოკუპანტია"-ს ანთება?** როგორ გგონიათ, რუს ტურისტებს არ უყვართ თავიანთი ქვეყანა და მის შეურაცხყოფას მშვიდად აიტანენ? გულუბრყვილობად ჩავთვლიდით ამ ყველაფერს, მაგრამ პოლიტიკური სიბეცე, იმავე ივანიშვილის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ვირეშმაკობას ჰგავს.

ისე, **გასული კვარტლის მონაცემებით, ივანიშვილის ქონებამ 270 მილიონი დოლარით მოიმატა, ანუ თვეში დაახლოებით 90 მილიონით, რაც დღეში 3 მილიონს ნიშნავს. გამოდის, რომ, როცა ხალხი ყოველდღიურად ღარიბდება, ივანიშვილის ქონება 3 მილიონით მატულობს? ვის და რის ხარჯზე? იმის ხარჯზე ხომ არა, რომ სრულიად საქართველო მის ბიზნესად იქცა და მთელი პოლიტიკური სპექტრი მისი წისქვილის დოლაბს აბრუნებს? ხომ არ აქვს ივანიშვილს პოლიტიკური ტყუილების ტაქტიკა ხელოვნების რანგში აყვანილი?!**

რეალურად, ივანიშვილმა რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლების შემდეგ აქტივები დასავლურ ბანკებში წაიღო, დასავლური გიგანტების აქციები შეიძინა და ახლა სწორედ ამ აქტივების ტყვეა. ივანიშვილმა ზუსტად იცის, რომ დასავლეთის საამებელს თუ არ გააკეთებს, მის აქტივებს გაანულებენ და მას ზუსტად ისეთივე ფასი და გავლენა ექნება საქართველოში, როგორიც დღეს ქუმსიშვილსა და ალავიძეს აქვთ. ივანიშვილი თავიდან ბოლომდე ფულზე დგას და ზუსტად იცის, რომ ფულის გარეშე არაფერს წარმოადგენს. შესაბამიად, ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს გავლენა და ფული გაზარდოს, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დააყენოს არასდროს საკუთარი ბიუჯეტი და მერე რა, თუ ერთი კაცის ამბიციებს ერი და ქვეყანა ეწირება.

მისი შემხედვარე **პოლიტიკოსები ხვდებიან, რომ დროზე უნდა მოასწრონ ფულის შოვნა, რადგან არ იციან, როდის აღარ დასჭირდება ისინი ივანიშვილს, როდის მოისვრის სანაგვეზე; იმ სანაგვეზე, რომლიდანაც ამოიყვანა და ხელისუფლებაში დადო. ამიტომ, ისინიც ყვლეფენ ხალხს და მერე მშვიდად განაგრძობენ ცხოვრებას. ასე, ხალხის ხარჯზე, ოპოზიცია და ხელისუფლება შეხმატკბილებულად მოქმედებენ და სულ არ აინტერესებთ, რა დაემართება ხალხს ხვალ** — გაიხსნება თუ არა რუსული ბაზარი, ჩამოვლენ თუ არა საქართველოში რუსი ტურისტები, ექნება თუ არა მოსახლეობას შემოსავალი? მთავარია, რომ საძოვარზე მიშვებულმა ნახირმა მშვიდად ძოვოს და ისინი კიდევ მუდმივად სათავეში, მწყემსის როლში მოგვევლინონ. მერე გაცვლიან როლებს, ოპოზიცია პოზიცია გახდება და პირიქით — ისევ დაიწყებენ თამაშს, დადგამენ სანახაობას და არ აინტერესებთ, რომ სანახაობის შემხედვარეთ პური აღარ აქვთ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე და როდემდე ვიქნებით იმის იმედად, რომ სასწაული მოხდება და გვეშველება. სასწაული ჩვენ უნდა მოვახდინოთ და ამ მატყუარებს ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ „არა". ამის გაკეთება იმაზე ძნელი იქნება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, მაგრამ ჩიტი ბრდღვნად აშკარად ღირს. მანამდე კი ისევ მოვისმენთ ტელევიზიით პასუხისმგებლობის აღებაზე განცხადებას, ისევ წავლენ და მოვლენ უსახური სახეები თანამდებობებზე, შეცვლით კი არაფერი შეიცვლება, რადგან დასავლეთში დაბანდებული კაპიტალი ხელშეუხებელი უნდა იყოს.

**მერე გაცვლიან როლებს: ოპოზიცია პოზიცია გახდება და პირიქით — ისევ დაიწყებენ თამაშს, დადგამენ სანახაობას და არ აინტერესებთ, რომ სანახაობის შემხედვარეთ პური აღარ აქვთ. ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე გაგრძელდება ასე და როდემდე ვიქნებით იმის იმედად, რომ სასწაული მოხდება და გვეშველება. სასწაული ჩვენ უნდა მოვახდინოთ და ამ მატყუარებს ერთხელ და სამუდამოდ ვუთხრათ „არა". ამის გაკეთება იმაზე ძნელი იქნება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, მაგრამ ჩიტი ბრდღვნად ღირს. მანამდე კი ისევ მოვისმენთ ტელევიზიით პასუხისმგებლობის აღებაზე განცხადებას, ისევ წავლენ და მოვლენ უსახური სახეები თანამდებობებზე, შეცვლით კი არაფერი შეიცვლება, რადგან დასავლეთში დაბანდებული კაპიტალი ხელშეუხებელი უნდა იყოს**

**ბესო ბარბაქაძე**

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო იმ მომიტინგეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებიც გამოდიან და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არავითარი პოლიტიკური აქცია ეს არ არის, რომ ეს არის წმინდა საზოგადოებრივი პროტესტი და ა.შ. კი ბატონო, ყველა ვთანხმდებით, რომ ოკუპაცია გასაპროტესტებელია, რომ ტერიტორიების დაკარგვას არც ერთი წამით არ უნდა შევეგუოთ, მაგრამ, თუკი პოლიტიკური აქცია არ არის, რატომ დგანან იქ პოლიტიკოსები?! თან ისეთი პოლიტიკოსები, რომელთა მხრიდანაც პატრიოტიზმსა და პატრიოტულ გრძნობებზე საუბარი სასაცილოა“.**

ზვიად ტომარაძე:

# რომელ ეროვნულ თვითშეგნებასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე უნდა გველაპარაკონ ადამიანები, რომლებიც პარლამენტში ლგბტ დროშას აფრიალებდნენ და ეკლესიას ლანძღავდნენ?!

**ამ დღეებში ქვეყანაში განვითარებულმა ხმაურიანმა მოვლენებმა და განსაკუთრებით იმ პოლიტიკურმა სპექტაკლმა თუ აფერამ, რომელიც 20 ივნისს სააკაშვილის კრიმინალურმა ბანდამ „ქოცებთან“ შეთანხმებით პარლამენტის შენობასთან მოაწყო, ლევან ვასაძის მიერ რამდენიმე დღით ადრე ვერის ბაღში დაწყებული ფართომასშტაბიანი ანტისოდომური მოძრაობა ჩაშალა და გადაფარა.**

თითქოს თბილისში რუსი დეპუტატის ვიზიტით შეშფოთებულმა ლიბერალებმა, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ლანძღავენ და აქილიკებენ პატრიარქს, სამღვდელოებას, დასცინიან და ჩირქს სცხებენ ყველაფერ ეროვნულს, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი „პატრიოტული“ ლოზუნგებით დარაზმა. მოგვიანებით ამ პოლიტიკურმა ისტერიკამ კიდევ უფრო დაუფარავი ხასიათი მიიღო და აქციას უცხოეთიდან დაფინანსებული ლგბტ-ების არმადაც შეუერთდა. ადამიანების ჯგუფი, რომელიც მამათმავლობის პროპაგანდას ეწევა და ტრადიციული ქართული კულტურისა თუ წეს-ჩვეულებების დისკრედიტაციას ყველაზე უხეში, დამცინავი ფორმითაც არ ერიდება, უცებ ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლ, სამშობლოს დამცველთა რიგებში აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ თბილისში გეიპრაიდის ორგანიზატორების საჯარო გამოსვლა დროშებითა და კინტოიანი მაისურებით წარმატებით შედგა. მოსახლეობამ მიიღო „ნაცბანდისა“ და მისი განაყოფი სამპროცენტიანი პოლიტიკური ხროვის დაძახილზე გამოსული ურაპატრიოტული ნაკადი და ნარკომანების, ნარკობარიგების, მამათმავლებისა და მათი დამცველი ლიბერალების მასკარადი...

**რა ბერკეტები აქვთ დღეს რეალურად ქვეყანაში არსებულ ულტრალიბერალურ ძალებს კონსერვატიული მოძრაობის ჩასახშობად და რა მიმართულებით შეიძლება განვითარდეს მოვლენები? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფოს“ დამფუძნებელი ზვიად ტომარაძე.**

**— ბატონო ზვიად, 20 ივნისს „ლიბერალების“ მიერ ინსპირირებულმა ვნებათაღელვამ და პარლამენტში შტურმით შეჭრის მცდელობამ ქვეყანაში ყველა საკითხი გადაფარა. მათ შორის ლევან ვასაძის მიერ დაწყებული ანტისოდომური მოძრაობაც, რომელსაც პირველივე დღეებში ათიათასობით მოქალაქე შეუერთდა, თუმცა პარლამენტის წინ ჩატარებულ „ანტისაოკუპაციო“ მიტინგებში ლგბტ აქტივისტებიც თავიანთი სიმბოლოებით აქტიურად მონაწილეობენ... რა მიზანს ემსახურება ეს პროცესები?**

— მას შემდეგ, რაც ლევან ვასაძემ მოუწოდა მოქალაქეებს, შეკრებილიყვნენ ვერის ბაღში, რათა არ დაეშვათ ლგბტ აღლუმის თუ პრაიდის ჩატარება, ლიბერალურმა პოლიტიკურმა ელიტამ და არა მხოლოდ პოლიტიკურმა, მოსვენება დაკარგა. ისინი პრაქტიკულად შოკში ჩავარდნენ და დაეწყოთ ისტერიკა. იგრძნეს, რომ ეს ლიბერალური დღის წესრიგი იცვლებოდა და დაიწყეს სპეცოპერაცია. „ააგდეს“ ხალხი, რომელიც გულწრფელმა პროტესტმა გამოიყვანა ქუჩაში, აიყოლიეს ახალგაზრდები და, ფაქტობრივად, სცადეს სახელმწიფო გადატრიალება. საბედნიეროდ, გადავრჩით და ამ ყველაფერს მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა, შესაძლოა, ჩაფიქრებული სხვაგვარად იყო. გარდა ამისა, **როგორც კი დაიწყეს სამართალდამცველებმა მოქმედება, ეს ე.წ. ლიდერები გაქრნენ და სპეცრაზმს ახალგაზრდები შეატოვეს.**

რაც შეეხება უშუალოდ მიზანს, როგორც გითხარით, მიზანი რამდენიმე იყო: ერთ-ერთი იყო ის, რომ როგორმე მომხდარიყო **ლევან ვასაძის** ხელმძღვანელობით დაწყებული ფართომასშტაბიანი ანტისოდომისტური მოძრაობის გადაფარვა, რომელსაც სულ უფრო მეტი ადამიანი უერთდებოდა. მათ ამ მიზანს მიაღწიეს. ეს ერთი. და მეორე: **გეიპრაიდის ჩაშლა დიდი სამოქალაქო პროტესტის შედეგად მხოლოდ ერთი კონკრეტული რაღაც უზნეობის ზეიმის ჩაშლას კი არ ნიშნავდა, არამედ კონსერვატიული ფლანგის გამოცოცხლებასა და ფართომასშტაბიანი ეროვნული მოძრაობის დაწყებას, რაც ბევრს, შესაძლოა, დასავლეთში მიმდინარე პროცესების გამოძახილად აღექვა, რაც „ლიბერალებისთვის“ საგანგაშოა. რატომ? იმიტომ, რომ, კიდევ ვიმეორებ, მათთვის ეს ნიშნავს შეუქცევადი იდეოლოგიური აღსასრულის დასაწყისს...**

**— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ეს ყველაფერი ანტიმამათმავლური მოძრაობის გადასაფარავად გაკეთდა?**

— ჯერ ერთი, **ძალიან ორგანიზებულად და სწრაფად მოხდა ყველაფერი. პლაკატები, ტრანსპარანტები, აპარატურა... წარმოუდგენლად სწრაფად გაჩნდა. რა თქმა უნდა, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია და, ვინც დაგეგმა, ძალიან კარგად იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა რუსი დეპუტატის — გავრილოვის დასმას პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში.** თუმცა „ქართული ოცნების“ ლიბერალურმა ფრთამ, რომელიც, ვფიქრობ, ამ ყველაფრის მონაწილე იყო, ერთი რამ ვერ გათვალა. მათ ეგონათ, რომ ეს მღელვარება უბრალოდ ანტილგბტ პროტესტს გადაფარავდა და დასრულდებოდა, მაგრამ პროცესებმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. რაც შეეხება სხვა მიზანს: ანტილგბტ მუხტისა და მოძრაობის გადაფარვის გარდა, მათ სურდათ და დღესაც სურთ, „პატრიოტული მოტივებით“ გააცოცხლონ გარკვეული „ლიბერალური“ სუბიექტები, რომელთა რეიტინგიც კლების რეჟიმშია.

**— გავრილოვიც სპეციალურად დასვეს პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე?**



**«ძალიან ორგანიზებულად და სწრაფად მოხდა ყველაფერი. პლაკატები, ტრანსპარანტები, აპარატურა... წარმოუდგენლად სწრაფად გაჩნდა. რა თქმა უნდა, ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია და, ვინც დაგეგმა, ძალიან კარგად იცოდა, რა რეაქცია მოჰყვებოდა რუსი დეპუტატის — გავრილოვის დასმას პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში»**

— ყოველ შემთხვევაში, ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რა მოჰყვებოდა ამ ადამიანის ხილვას პარლამენტის სპიკერის სავარძელში. გამომდინარე აქედან, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი იყო წინასწარ დაგეგმილი სპეცოპერაცია. ანუ, სავარძელში დასმა, მერე იქ ხმაურის ატეხვა ნაციონალი დეპუტატების მიერ, **სალომე სამადაშვილი** იყო, თუ არ ვცდები, **გიორგი კანდელაკი** და **აკაკი ბობოხიძე**, მერე გარეთ გამოსვლა წივილკივილით, მერე მოწოდებები მოსახლეობისადმი, რომ გამოსულიყვნენ, მერე უკვე ულტიმატუმები და პარლამენტში შეჭრისკენ წაქეზება დემონსტრანტებისა იყო თანმიმდევრული გეგმა, რომლითაც უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც ქვეყანაში ყველაფრის გადაფარვა. თუმცა, როგორც გითხარით, **ხელისუფლებამ ვერ გათვალა, რომ ამ პროცესების ავანგარდში შეიძლებოდა ჩამდგარიყო „ნაცმოძრაობის“ განსაკუთრებით რადიკალური ფრთა და ამ ფრთას უკვე ცალკე თავისი ანგარიში აქვს ივანიშვილთან...** არ მინდა, ისე გამომივიდეს, რომ თითქოს აქციაზე მისული რიგითი მოქალაქეები პროვოკატორები იყვნენ, არა, ეს ადამიანები სრულიად გულწრფელ პროტესტს გამოხატავდნენ, სრულიად სამართლიანად ითხოვდნენ ხელისუფლებისგან პასუხებს, მაგრამ უნებლიეთ აღმოჩნდნენ ნაციონალებისა და მათთან ერთად ამ პროვოკაციის ორგანიზატორი ლიბერალური ძალების მიერ მოწყობილი სპეცოპერაციის მონაწილე. მეტსაც გეტყვით, ხალხი აღმოჩნდა ამ ყველაფრის მთავარი იარაღი და ყველაზე მეტი დარტყმაც სწორედ ხალხმა მიიღო.

აქვე **მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო იმ მომიტინგეებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომლებიც გამოდიან და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არავითარი პოლიტიკური აქცია ეს არ არის, რომ ეს არის წმინდა საზოგადოებრივი პროტესტი და ა.შ.** კი, ბატონო, **ყველა ვთანხმდებით, რომ ოკუპაცია გასაპროტესტებელია, რომ ტერიტორიების დაკარგვას არც ერთი წამით არ უნდა შევეგუოთ, მაგრამ, თუკი პოლიტიკური აქცია არ არის, რატომ დგანან იქ პოლიტიკოსები?! თან ისეთი პოლიტიკოსები, რომელთა მხრიდანაც პატრიოტიზმსა და პატრიოტულ გრძნობებზე საუბარი სასაცილოა.** მაგალითად, „რესპუბლიკელები...“ რა ოკუპაცია უნდა გააპროტესტოს იმ ხალხმა, რომელიც ქართული მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის აკრძალვასა და კონსტიტუციაში ქორწინების ჩაწერას ეწინააღმდეგებოდა, პატრიარქისა და სამღვდელოების დისკრედიტაციაზე იყო დაგეშილი?! რომელ ეროვნულ თვითშეგნებასა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე უნდა გველაპარაკონ ის ადამიანები, რომლებიც პარლამენტში ლგბტ დროშას აფრიალებდნენ და ეკლესიას ლანძღავდნენ?! ან რა უნდათ იქ ლგბტ აქტივისტებს თავიანთი სიმბოლიკით, ნარკობარიგებს, „ლიბერალური“ კლუბების აქტივს, როგორიცაა „ბასიანი“, „გალერი“, „ხიდი...“ თუ კი წმინდა საზოგადოებრივი პროტესტია პატრიოტული მოტივებით და მინდა, მჯეროდეს, რომ ამ ახალგაზრდებს მართლა ეს განცდა ამოძრავებთ, მაშინ რატომ არ უჩნდებათ პროტესტი ამ ყველაფერზე?!

**— როგორ ფიქრობთ, მომავალში რა არის მოსალოდნელი, რა მიმართულებით შეიძლება, წარიმართოს პროცესები?**

— სიმართლე გითხრათ, მთლად ოპტიმისტურად ვერ ვარ განწყობილი, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ძალიან დიდი ნაწილი არის მოწამლული. მოწამლული იმ კუთხით, რომ ისინი ვერ არჩევენ ქვეყნის მთავარ ღირებულებებს თავსმოხვეული ღირებულებებისგან; ეს არის პირდაპირი შედეგი იმ ე.წ. მენტალური რევოლუციისა, რომელიც დაიწყო სააკაშვილმა თავის „რეფორმატორულ“ გუნდთან ერთად ხელისუფლებაში მოსვლისთანავე. აი, ამის შედეგია ის, რომ ვიღაცისთვის დღეს პრობლემა არ არის, პატრიოტიზმზე აკეთოს რიხიანი განცხადებები მიტინგზე და ამ მომენტში გვერდით ლგბტ დროშა უფრიალონ. **ამის შედეგია ის, რომ მე და თქვენ შეიძლება რუსეთიდან მართული ნეოფაშისტები გვეძახონ, ხოლო სამშობლოს სიყვარულზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე და სხვა მსგავს მგრძნობიარე საკითხებზე, რომლებიც რეალურად მათ სულ არ ადარდებთ, ნარკობარიგამ ილაპარაკოს... გამრუდებულია ეროვნული ცნობიერება და, რაც დრო გადის, საუბედუროდ, სულ უფრო თავდაყირა დგება ყველაფერი. ეს არის მრავალწლიანი „ლიბერალური“ დიქტატურის ლოგიკური შედეგი, რომელსაც, მოგვწონს თუ არა, ვერსად გავექცევით...**

**«თუკი ჩვეულებრივი სამოქალაქო პროტესტია, პატრიოტული მოტივებით, რა უნდათ იქ ლგბტ აქტივისტებს თავიანთი სიმბოლიკით, ნარკობარიგებს, «ლიბერალური» კლუბების აქტივს?»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თუ ყველაფერი დადგმული სპექტაკლი არ იყო, მას შემდეგ, რაც „ევროპულმა საქართველომ“ (წაიკითხე გიგა ბოკერიამ) საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი რუსი იპოვა, იქვე, მყისიერად, ბოკერიას „სასტავს“ საიდან და რატომ აღმოაჩნდათ შესაბამისი შინაარსის ბანერები, რომელთა დამზადებას საკმაო დრო სჭირდება? ვინ (რა მიზნითაც, ყველამ ვიხილეთ) ჩააბრძანა რუსი ოკუპანტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში? ის ხომ ნათელია, რომ ამას საკუთარი სურვილით ვერ იზამდა გავრილოვი?!**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა!»

**ათასების ენერგია რომ გააერთიანო, ყოვლის წამლეკავ ფიზიკურ ძალას მივიღებთ, ხოლო იმავე ათასების ტვინების გაერთიანებით — ბატის ჭკუაზე ოდნავ მეტ ჭკუას. სწორედ ამ სენტენციადქცეულ ჭეშმარიტებაზე ფიქრიდან გამომდინარე კითხვები ამეკვიატა ბოლო პერიოდში რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე მოვლენების შემხედვარეს: ისტორია მეორდება? ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს? და ა.შ. მათზე პასუხების გაცემას ქვემოთ შევეცდები. მანამდე კი იმ ტრაგიკომიკური სურათის მკაფიოდ დასანახავად, რა დღეშიც აღმოვჩნდით რამდენიმე დღის განმავლობაში რუსთაველზე „რუსეთი ოკუპანტია“-ს სკანდირების გამო, დიდი ქართველი რეჟისორის, მაესტრო რობერტ სტურუას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ მოკლე სტატუსს მოვიყვან: „ბოროტმა სულმა გაიმარჯვა, ნაცისტები ზეიმობენ, საქართველო აღარ არის!“**

ზემოთ დავწერე, ისტორია მეორდება და ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს-მეთქი, ამის შემდეგ ჯეელობა გამახსენდა...

ჩვენც, მათნაირი ყმაწვილკაცები, რომლებიც ამჟამად რუსთაველზე დგანან, მათნაირადვე გავიძახოდით: „...ჯოს! ...ჯოს! ...ჯოს!“ ჩვენც გულში მჯიღს ვიცემდით და პირობას ვდებდით, რომ ოღონდაც დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ და ბალახს შევჭამთ, ბორჯომმანდარინი გვეყოფოდა საარსებოდ... დამოუკიდებლობა (თუნდაც ფორმალური) კი მოიპოვა საქართველომ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად მასე არ ყოფილა საქმე! ჩვენი შვილებიც თითქმის ასე არიან. თითქმის, რადგანაც ჩვენგან განსხვავებით ისინი, რუსეთის „კოლონიაში“ კი არა, „დამოუკიდებელ“ საქართველოში დაიბადნენ. რუსეთი რომ ოკუპანტია, გავიგეთ, ბატონო. „...ჯოს! ...ჯოს! ...ჯოს!“ სკანდირებაც საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, ბევრი ადრენალინია, მაგრამ რა, მერე? მერე რა, რომ რუსეთი ოკუპანტია?! **დეოკუპაციისკენ მიმავალ შემდეგ ნაბიჯად რას გვთავაზობენ? რუსი ერის აღვირახსნილ შეურაცხყოფას ლოზუნგით „რუსეთის დედას შ...ცი“ (მომიტევოს მკითხველმა ამ უცენზურობისთვის, მაგრამ რა ვქნა, მხოლოდ ჩემი თვალით ნანახს გადმოგცემთ) ან მათი პრეზიდენტის უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინებას?..**

არ გვინდა რუსეთიო, რომ გაიძახიან, როდის მოვიდა რუსი ჩვენთან და გვითხრა: გინდა თუ არა ჩამეხუტეო? უფრო საწინააღმდეგო მაგალითები ხომ არ იცის ისტორიამ? ისტორია ვახსენეთ და ვნახოთ, რა უძღოდა რუსეთის დუმის დეპუტატ სერგეი გავრილოვის სკანდალურ ვიზიტს საქართველოში...

* **ინფორმაცია განსჯისთვის**:

სერგეი გავრილოვი არის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანებების საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე და გეიპროპაგანდისგან არასრულწლოვანთა დაცვის კანონის ერთ-ერთი თანაავტორი; კანონისა, რომლის ძალითაც რფ-ის ტერიტორიაზე 99 წლის განმავლობაში აკრძალულია არასრულწლოვანთა შორის გეიპროპაგანდა, ანუ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩატარდება რუსეთში ლგბტ თემის აღლუმი.

საქართველოს ოფიციოზი 2 წლის განმავლობაში ცდილობდა, მართლმადიდებლობის პარლამენტთაშორისი ასამბლეის მასპინძლობის უფლება მოეპოვებინა და მიაღწია კიდეც. სერგეი გავრილოვი ამ ასამბლეის თავმჯდომარეა და რა გასაკვირია მისი ვიზიტი?! ახლა, რაც შეეხება აშკარა „საოცრებებს“ ამ ღონისძიების მიმართ: **თუ ასეთი პირსისხლიანი იყო ბატონი გავრილოვი, პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში ჩასმა კი არა, რატომ შემოუშვეს საქართველოში?** ეს ერთი და მეორე — **თუ ყველაფერი დადგმული სპექტაკლი არ იყო, მას შემდეგ, რაც „ევროპულმა საქართველომ“ (წაიკითხე გიგა ბოკერიამ) საქართველოს პარლამენტში ოკუპანტი რუსი იპოვა, იქვე, მყისიერად, ბოკერიას „სასტავს“ საიდან და რატომ აღმოაჩნდა შესაბამისი შინაარსის ბანერები, რომელთა დამზადებას საკმაო დრო სჭირდება? ვინ (რა მიზნითაც, ყველამ ვიხილეთ) ჩააბრძანა რუსი ოკუპანტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში? ის ხომ ნათელია, რომ ამას საკუთარი სურვილით ვერ იზამდა გავრილოვი?**

მოკლედ, ქოც-ნაცებისთვის კიდევ ბევრი „ჩამჭრელი“ კითხვის დასმა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია მთავარ კითხვასთან მისაახლოებლად: **ვის აძლევდა და აძლევს ხელს ის, რაც მოხდა და ხდება საქართველოში და რაც შეიძლება კიდევ მოხდეს?** ამ კითხვას აშშ-ის ყოფილ ვიცეპრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** მრჩევლის — **მაიკლ კარპენტერის** მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ტექსტით გავცემთ პასუხს:

**„ამას წინათ რამდენიმე დღე გავატარე თბილისში. დარწმუნებული არ ვარ, რომ ხელისუფლება სრულად აცნობიერებს საქართველოს მიერ რუსეთთან ღია კარის პოლიტიკის წარმოების მოსალოდნელ შედეგებს. ასეთი რაოდენობის „ტურისტების“ (უსაფრთხოების ფედერალური სამსახურიდან) და რუსი ბიზნესმენების მიერ შესყიდული მიწების რაოდენობის გამო, ერთ მშვენიერ დღეს გაღვიძებულებმა შეიძლება აღმოაჩინონ, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების 20 კი არა, 100 პროცენტი აქვთ ოკუპირებული“.**

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ რამდენიმე სიტყვას მაინც ვიტყვი, უწინარესად, რუსთაველზე მომიტინგე ახალგაზრდების საყურადღებოდ:



**საქართველოს „კეთილმოსურნე“ მისტერ კარპენტერი (წაიკითხე, აშშ), რომელიც ახლახან, გავრილოვის სკანდალამდე რამდენიმე დღით ადრე, სტუმრობდა თბილისს, იმით არის შეშფოთებული, რომ საქართველოში ბოლო ხანს რუსი ტურისტების მომრავლების ფონზე შესამჩნევად დათბა ურთიერთობა ორ მართლმადიდებელ ერს შორის და ამიტომაც, დიდი ალბათობით, აშშ-„ქართული ოცნება“-ბიძინა ივანიშვილი-„ევროპული საქართველო“-გიგა ბოკერიას მიერ ერთობლივად დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა სპეცოპერაცია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ლიბერასტული ტელევიზიების ფლაგმანი „რუსთავი 2“, აგრეთვე, „ტვ პირველი“**

**საქართველოს „კეთილმოსურნე“ მისტერ კარპენტერი (წაიკითხე აშშ), რომელიც ახლახან, გავრილოვის სკანდალამდე რამდენიმე დღით ადრე სტუმრობდა თბილისს, იმითი არის შეშფოთებული, რომ საქართველოში ბოლო ხანს რუსი ტურისტების მომრავლების ფონზე (რუსები საქართველოში ჩამოსული ტურისტების საერთო რაოდენობის 1/3-ს შეადგენენ) შესამჩნევად დათბა ურთიერთობა ორ მართლმადიდებელ ერს შორის და ამიტომაც, დიდი ალბათობით, აშშ-„ქართული ოცნება“-ბიძინა ივანიშვილი-„ევროპული საქართველო“-გიგა ბოკერიას მიერ ერთობლივად დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა სპეცოპერაცია (ხუმრობით რომ ვთქვათ, კოდური სახელწოდებით „ოკუპანტი პარლამენტის სავარძელში“), რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ლიბერასტული ტელევიზიების ფლაგმანი „რუსთავი 2“, აგრეთვე, „ტვ პირველი“.**

ახლა მავანი იკითხავს და ერთი შეხედვით სამართლიანადაც: შეთქმულთა ჩამონათვალში რატომ არ არიან მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაცები?

რატომ და, თუ მოვლენებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ თავდაპირველად, ანუ, როდესაც „ევროპულმა საქართველომ“ **ირაკლი კობახიძის** სავარძელში ოკუპანტი სერგეი გავრილოვი აღმოაჩინა, ნაცები არსად ჩანდნენ, ისინი მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ, სააკაშვილის მოწოდების შემდეგ.

იმასაც შევახსენებ ქართველ საზოგადოებას, რომ პარლამენტის შტურმით აღებისკენ მოწოდება მიშნაცების ლიდერმა **ნიკა მელიამ** გააკეთა, რის შემდეგაც **გიგა ბოკერია** მყისვე განერიდა აქციას. ეს უფლებას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ მსგავსი რამ არ ყოფილა თავდაპირველი სცენარით გათვალისწინებული და, ქუჩის ჟარგონით თუ ვიტყვით, მიშამ გიგას აქციის ინიციატივა შეაწერა და ახლა აქცია უფრო მიშნაცების კარნახით მიმდინარეობს, ვიდრე გიგას ნაცების.

რამდენიმედღიანი პერმანენტული აქციების ფონზე ბიძინამ ჯერ პარლამენტის თავმჯდომარე გაწირა, შემდეგ მომავალი არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებაზე დათანხმდა და ახლა საზოგადოება იმის მოლოდინშია, გაწირავს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრ **გიორგი გახარიას.**

არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ქოც-ნაცები იდეოლოგიურად ერთი ლიბერასტული ხის სხვადასხვა ტოტი არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მავანთათვის ძნელი წარმოსადგენია, რა საერთო ინტერესი შეიძლება ჰქონდეთ ბიძინა ივანიშვილსა და გიგა ბოკერიას, როცა აშშ-თან ერთად მათაც „ვაბრალებ“ აქციის ორგანიზატორობას? რა და ის, რომ მათ ჰყავთ საერთო პატრონი, ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ირანთან ომის რეალური საფრთხის წინაშეა, ასეთ შემთხვევაში მას ზურგში სჭირდება რუსოფობი საქართველო, რათა ომის შემთხვევაში რუსეთის, როგორც ირანის მოკავშირის, შემოსვლა საქართველოში გამოირიცხოს.

საქართველოში მართული ქაოსის მისაღწევად თავდაპირველად ლგბტ შეირჩა, მაგრამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი მიხვდა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მაღალი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ლგბტ თემის თამაშებით მართული დესტაბილიზაცია თითქმის შეუძლებელია, პირიქით, ასეთ შემთხვევაში ანტიამერიკული განწყობების მატება თითქმის გარანტირებულია. შედეგად ლგბტ სცენარი შეიცვალა იმით, რასაც დღეს ვუყურებთ რუსთაველის გამზირზე. ახლა, რაც შეეხება ბატონ რობერტ სტურუას სკანდალურ განცხადებას: მას აბსოლუტურად ვეთანხმები, რადგან საქართველო, პირველ რიგში, ტრადიციული, ქრისტიანული ღირებულებების დამცველი, ბოლოს და ბოლოს, **ვაჟას** „სტუმარ-მასპინძლის“ ქვეყანაა და თუნდაც მხოლოდ აქედან გამომდინარეა მართებული დიდი მაესტროს განცხადება.

შე კაი კაცო, განა ჯოყოლამ არ იცოდა, რომ საკუთარი ძმის მკვლელი ზვიადაური მიიწვია სტუმრად? მიუხედავად ამისა, არ გაწირა თუნდაც მტერი, მაგრამ სტუმარი, და თავის თანამოძმეთ მიახალა: „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითამც მე ვერ ვუღალატებ“...

ამ, სამწუხაროდ, ქართველებად წოდებულმა ქოც-ნაცებმა კი რა ქნეს? ჯერ, რომ იტყვიან, კალთები დაახიეს სერგეი გავრილოვს, — სტუმრად გვეწვიეო; შემდეგ სტუმრად წვეული ჯერ აქეიფეს, ხოლო მეორე დღეს, „პახმელიაზე“, საჯიჯგნად მიუგდეს აღვირახსნილი ახალგაზრდების ბრბოს?!

როდესაც ამ ყველაფერზე კომენტარი საქართველოს ე.წ. პრეზიდენტს სთხოვეს, ამ ქალბატონმა ისეთი რაღაცები იკადრა, რომ, საფრანგეთში დაბადებულ-აღზრდილი მადამი კი არა, მიყრუებული სოფლის დედაკაციც კი არ იკადრებდა — **სალომე ზურაბიშვილის** კომენტარი, დიპლომატის განცხადება კი არა, აშარი დედაკაცის წყევლა უფრო იყო.

თუმცა თავი დავანებოთ უჯიშო ქართველებს. ლიბერასტ ქოც-ნაცებთან მორალზე, ვაჟკაცობასა და, საერთოდ, მაღალ მატერიებზე საუბარი ხომ წყლის ნაყვაა?! და რამდენიმე სიტყვა რუსეთის ოფიციალურ და უაღრესად ოპერატიულ რეაგირებაზეც ვთქვათ. რუსეთის პრეზიდენტმა უკვე აუკრძალა რუსული ავიაკომპანიებს თბილისის მიმართულებით ფრენა; ტურისტებს ურჩია, საქართველოში დასვენებისგან თავი შეიკავონ და მათაც მეორე-მესამე დღეს ათიათასობით ჯავშანი გააუქმეს. საუბარია ქართული ღვინის ხელახლა აკძალვაზე; მეტიც, 2008 წლის სტატუს კვოს აღდგენაზე, ანუ საქართველოსთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტაზე.

ალბათ, გახსოვთ, თურქეთის მიერ სირიაში რუსული გამანადგურებლის ჩამოგდების გამო თურქეთისთვის ეკონომიკური სანქციების პარალელურად როგორ გააფრთხილა ვლადიმერ პუტინმა თურქეთის პრეზიდენტი **ერდოღანი** — მხოლოდ პომიდვრებით ვერ გადარჩებითო. ანალოგიური რამ ჩვენ მიმართაც შეიძლება ითქვას — საქართველო მხოლოდ „ბორჯომით“ ვერ გადაურჩება რუსეთის რისხვას. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ რუსეთი საქართველოს არ აპატიებს ვლადიმერ პუტინის პიროვნულ შეურაცხყოფას და უმკაცრესად დასჯის. მკაცრ სასჯელში რა იგულისხმება, როცა საკუთარი თვალით ვიხილავთ, მერე დავდგეთ და ერთხმად ვიყვირეთ „რუსეთი ოკუპანტია!“.

**დავით მხეიძე**

## გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ამის შემდეგ ორი დღეც არ გასულა, უკვე ვიფიქრე, — დავავიწყდი იმ კოხტა ოფიცრებს-მეთქი, რომ ციხის დერეფნებიდან ჩოჩქოლი და კამათი მომესმა. უცებ ჩემი ნაცნობი ოფიცრის ხმაც გავიგონე: სული არ დაბერო, იცოდე, თორემ დედას გიტირებო. მერე ზედამხედველის წუწუნი გავიგონე და, ჩვენი საკნის კარიც გაიღო, ჩემი ნაცნობი ორი ოფიცერი საჭმელ-სანოვაგითა და ხილეულით დატვირთული უზარმაზარი კალათით შემოვიდნენ. საკნის შუაგულში დადგეს და მითხრეს: ეს ჩვენი მადლობის ნიშნად მიიღეო, კარგი კაცი ჩანხარ და გაგიმარჯოს. ჩვენ ჩვენი საქართველოსთვის ვზრუნავთ. ახლა ვერაფერს გიშველით, ისე კი მომავალში, ეგებ, კიდევ შევხვდეთ, ციხეში კი არა, ჰაერზე და, თუ რამე დაგჭირდა კაი საქმისთვის, რაც შეგვეძლება, დაგეხმარებითო. მითხრეს და წავიდნენ“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19-21, 2019 წ.

# გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი

## სტალინი — ქართველი მასპინძელი

**სტალინის აგარაკის აივანზე კანდიდ ჩარკვიანი, გრიგოლ კარანაძე და პეტრე შარია გამოჩნდნენ: სტალინმა სპარტაკი იკითხა. შეუძლოდ არის და ვერ გეახლებათო, — მოახსენა კანდიდ ჩარკვიანმა.**

— ეს ბიჭი, როგორც ჩანს, სერიოზულადაა ავად, თქვე დალოცვილებო, უშველეთ რამე, სანამ დროა...

— ყოველ ღონეს ვიხმართ, ამხანაგო სტალინ, — უპასუხეს ჩარკვიანმა და შარიამ.

მე უცებ ჩემი უშანგი გამახსენდა და სასწრაფოდ სიტყვა ჩავურთე:

— დახლოებით ამავე მდგომარეობაში გვყავს ერთი შესანიშნავი ადამიანი და უნიჭიერესი მსახიობი უშანგი ჩხეიძე. წლებია, უკვე სცენას ვეღარ ეკარება და უმეტესად მწოლიარე მდგომარეობაშია, სახლიდან არ გამოდის...

— რა დაემართა?

— ექიმები ამბობენ, შიზოფრენია თუ ფსიქოსტენია სჭირსო. გარკვევით ვერ დაუდგენიათ. ასე იტანჯება ეს ყოველმხრივ დაჯილდოებული პიროვნება. ყველაფერთან ერთად ეკონომიურადაც გაუჭირდა...

— როგორც ვხედავ, საქართველოში ნიჭიერები ქუჩაში გიყრიათ! აი, შენი თბილისიც, — უცებ მე მომიბრუნდა გაჯავრებული, — ალბათ, ამხანაგებსაც მიტოვებული გყავთ ის საცოდავი.

— არა, რას ბრძანებთ, დროდადრო ახლო ამხანაგები ვაკითხავთ...

— თქვენ აკითხავთ.... უფროსებს, ალბათ, არ სცალიათ. მაგათ კარგად მყოფებისთვის არა სცალიათ ხოლმე, თორემ ავადმყოფს რას გაიხსენებ, ასეა? მოიცადეთ, ორგანიზაციების საშუალებით დაეხმარეთ. აკაკი შენ არ დაივიწყო. ექიმიც არ დააკლოთ, ეგებ შემოქმედებითი ფსიქოზი დაემართა და ეშველოს რამე. როგორც აკაკიმ თქვა, შესანიშნავი ადამიანი და მსახიობია და, გახსოვდეთ, ადამიანები ქუჩაში არ ყრია, ადამიანებს უნდა გავუფრთხილდეთ.

ისეთი რისხვით თქვა ყველაფერი ეს, რომ ხმას ვერ ვიღებდით. მე კი გულში მიხაროდა: ეგებ უშანგის პრაქტიკულად და ოფიციალურად რაიმეთი დაეხმაროს-მეთქი. სტალინმა ჩიბუხი დატენა, წამით შეყოვნდა და საუბარი განაგრძო უკვე მშვიდი კილოთი:

— აუცილებლად ექიმი არ უნდა იყო, რომ კაცს გაუგო და გაგებამ კი, შესაძლებელია, ექიმზე უკეთ უმკურნალოს... თბილისის რევოლუციურ ორგანიზაციაში გვყავდა ერთი კარგი ორატორი, ამხანაგიც კარგი იყო. „გიორგის“ ფსევდონიმით მუშაობდა ჩვენთან. და, აი, მოგვივიდა ცნობა, რომ გიორგი ძველ ამხანაგთაგან აღარავის ეკარება, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს ორგანიზაციის მუშაობაში, ის კი არა, ქუჩაში შეხვედრისას თვალს გვარიდებს და გაგვირბისო. ბევრს ეგონა, ჭკუიდან შეიშალაო და მიანებეს თავი. ერთ დღეს, ვერის ხიდზე უნდა გავსულიყავი, შორიდან მოვლანდე, დავუდარაჯდი და, რომ მომიახლოვდა, უცებ ვეცი, მკლავები მაგრად შემოვხვიე, შევანჯღრიე: სად დაიკარგე შე ღმერთძაღლო-მეთქი და თვალებში ჩავაცქერდი. თან მისი ნახვით გახარებულმა გავუღიმე. იმან კი წამოიყვირა: ნუ მიღიმი და თვალებში ნუ მომშტერებიხარო, და სახე მომარიდა. — რა მოგივიდა, ბიჭო, — ამის თქმალა მოვასწარი, რომ ხელიდან გამისხლტა და გაქუსლა. „მართლა აუფრენია, მართლა ავად გამხდარა, მაგრამ მაინც, რა ეძგერა ასეთი?“ — გავიფიქრე და შემენანა. კარგი ბიჭი იყო. ორიოდე თვე თუ იყო გასული იმ შეხვედრის შემდეგ, რომ მისგან წერილი მივიღე მთელი ორგანიზაციის სახელზე, გვწერდა: „მე რა უფლება მაქვს, თქვენ გვერდით ვიყო, ნუ გაგიკვირდებათ ჩემი საქციელი, თქვენი დასანახი პირი არ მაქვს. ალბათ, გახსოვთ, რა ერთგულიც ვიყავი თქვენი და მუშათა კლასის. თქვენ ასე მიცნობდით, მაგრამ ის კი არ იცოდით, რატომ ვმუშაობდი გადამეტებულის თავდადებით. პირველობა მინდოდა. მინდოდა, მაინცდამაინც ყველაზე პირველი და გამოჩენილი ვყოფილიყავი. ასეთმა სურვილმა დამაბრმავა და ცოდვასაც გადამყარა. სუყველა გაგეცით. ასე მეგონა, ყველას თუ დაგიჭერდნენ, პირველი რევოლუციონერი მე დავრჩებოდი საქართველოში. მაშინ ასე აშკარად ვერ ვაფასებდი ჩემს ზრახვებსა და საქციელს. არ ვუმხელდი საკუთარ თავს ამ სისაძაგლეს. ახლა კი კიდეც მივხვდი და კიდეც შევაფასე. იმასაც მივხვდი, როგორ მოვტყუვდი და რა უსუსური ვყოფილვარ. ჩემი თავი მეზარება. თითოეული თქვენგანის შორიდან დანახვაც კი მზარავს. იმის ღონეც არ მქონია, თავი მოვიკლა. აი ახლა, ყველაფერი რომ შეგატყობინეთ, ჩემი ცოდვილი თავის ამბავი რომ გაგიმხილეთ, ცოტა შვებით ამოვისუნთქე. ანი ჩემს კვალს ნუღარ ეძებთ. ჩემს სახელსა და გვარს აღარსად გადაეყრებით. სოფელში წავალ, გავგლეხდები ჩემი წინაპრებივით; შევეცდები, გადავსხვაფერდე და გავქრე ხალხში. გიორგი“. აი რა ავადმყოფობა შეყროდა იმ უბედურს, პირველობის სენი. ამ სენმა სიგიჟემდე მიიყვანა, სინდისმა კი უსახელოდ გაქრობა მიუსაჯა.

— კარიერისტი ყოფილა, — მოკლედ მოჭრა მიხეილ ტიტვინიძემ. დანარჩენები ვდუმდით.

სტალინის მონაყოლმა და იგავით თქმულმა ამბავმა, არათუ დამაფიქრა და გული დამიმძიმა, შემაკრთო კიდეც.

— არა, ჩემო მიხეილ, კარიერისტს სინდისი ვინ მისცა?!

ამ დროს სტალინის წინაშე ისევ ის გენერალ-მაიორი გამოცხადდა და მოახსენა:

— ამხანაგო სტალინ, ამხანაგმა საშა ეგნატაშვილმა მცირე ნობათი გამოგიგზავნათ.

— თვითონ სად არის?

— თვითონ წყალტუბოში გაემგზავრა.

— სწორედ დროზე მომისწრო. უთხარით, ყველაფერი სუფრას დაუმატონ და ჩვენც ახლავე დავსხდებით სადილად.

ჩვენ უკვე სუფრას ვუსხედით, როდესაც თეთრხალათიანმა გოგონამ „ცოცხალი“, გორულა მახობელა პური, ნაზუქები, ხიდისთავური ყურძენი და საპობი ატმები მოიტანა.

— აბა, ვინ გამოიცნობს ამ თევზს რა ჰქვია? — გვკითხა სტალინმა.

— მურწა გახლავთ, — ვუპასუხე პირველმა.

— არა, მურწაზე არ გითხარ, აი, მის გვერდით რომ დევს, იმას რა ჰქვია?

ვაიმე, თევზს თავი მოჭრილი აქვს, რა ვუპასუხო, საიდან გავიგო რა ჯიშისაა?! თავისი ტანითა და ფერით კი ჭანარსა და კაპუეტს ჰგავს. მაინც ვთქვი:

— ეგა, ჭანარი უნდა იყოს.

— შენ რას იტყვი, პეტა?

— რაკი აკაკიმ თქვა, ჭანარი უნდა იყოს.

— შენა მიხეილ? — ტიტვინიძეს მიმართა.

— ეგა, — ჩაფიქრდა, — ეგ კაპუეტია.

მე უკვე ვიცი, რომ ეს თევზი არც ჭანარია და არც კაპუეტი, მისი სახელი ენის წვერზე მიტრიალებს.

— შენ თვითონა ხარ კაპუეტი, შენ რა გითხარი! მაშ, ვერც ერთმა ვერ გამოიცანით, არა? — დამცინავად ჩაიღიმა და უკვე თვითონ უნდა ეთქვა, რომ უცებ დავასწარი.

— ამას ხომ ლიახვის ლურჯას ეძახიან, პატივცემულო იოსებ. განსაკუთრებით შემოდგომაზე ისეთი გემოსია, კალმახს არ ჩამოუვარდება.

მან შემომხედა გაბრწყინებული თვალებით:

— შე გამჩენძაღლო, რა ყველაფერი იცი! — მიუბრუნა კანდიდს და პეტრე შარიას, — ამ გურულმა, როგორ იცის ქართლის ამბები ქართლელებზე კარგად? მერე კიდევ, კახურ სიმღერებს როგორ მღერის, აზერბაიჯანულის მსგავსი ჰანგებიც გაგვირია... საიდან ეგ ყველაფერი?

— მაგ, ამხანაგო სტალინ, ჯერ ერთი, იმერლების ჰიბრიდია, გაქუთაისელებული ვასაძეა წარმოშობით; მერე კიდევ, სვანური სისხლიც ურევია, მგონი, მეგრულიც და, ცხრამეტი წლიდან კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობს და ეს ჩვენი პატარა მიწა-წყალი ფეხით აქვს დავლილი.

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილა.

— რას იზამ, აირ-დაირია კუთხური გემო და წესი საქართველოში. ხედავ, ამხანაგი გრიგოლი იმერელი კაცია და ეს ორი დღე სულ გურჯაანს ეტანება, — იხუმრა **სოსო ცერაძემ.**

გალაღდა სუფრა, გემო მიეცა პურის ჭამასაც და სადღეგრძელოებიც გახალისდა. ეს იყო ნამდვილი ქართული, მსჯელობისა და სჯა-ბაასის, ურთიერთპატივისცემისა და მოლხენის სუფრები მთელი იმ ორი დღის განმავლობაში.

— აი, კაცო, მახობელა პურიაო... მახობელას ეს ჩვენი სპეციალისტები სარეველას ეძახიან, არა? — ირონიით თქვა.

— დიახ, სარეველას, — მივუგე.

— ჩემი აზრით, ეგ სარეველა კი არ არის, ეგ დიდი სასარგებლო რამ არის. ამ ბალახის კაკლები ჯანმრთელობისთვის დიდად სასარგებლო ცილებია. მერე კიდევ: მახობელა პური ერთი კვირაც რომ გააჩერო, ისევ ისეთი რბილი, გემრიელი დარჩება. გლეხი ტყეში სამუშაოდ ან მარილის მოსატანად რომ წავიდოდა, მაშინ უცხობდნენ მახობელ პურს და ატანდნენ... უშეჭამანდოდაც გემრიელად იჭმევა ეს პური, აბა, გასინჯეთ, — და რამდენიმე ნატეხი ჩამოგვირიგა.

— მართლა გემრიელი ყოფილა, უყველოდაც კარგად იჭმევა, — თქვა პეტრე შარიამ.

მუშკივით რბილი მახობელა მადიანად გადადიოდა ყელში და ყველა იმ პურ- ▶




**«შე გამჩენძაღლო, რა ყველაფერი იცი! — მიუბრუნა კანდიდს და პეტრე შარიას, — ამ გურულმა როგორ იცის ქართლის ამბები ქართლელებზე კარგად? მერე კიდევ, კახურ სიმღერებს როგორ მღერის, აზერბაიჯანულის მსგავსი ჰანგებიც გაგვირია... საიდან ეგ ყველაფერი? — მაგ, ამხანაგო სტალინ, ჯერ ერთი, იმერლების ჰიბრიდია, გაქუთაისელებული ვასაძეა წარმოშობით; მერე კიდევ, სვანური სისხლიც ურევია, მგონი, მეგრულიც და ცხრამეტი წლიდან კიდევ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობს და ეს ჩვენი პატარა მიწა-წყალი ფეხით აქვს დავლილი»**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**... საუბრის თემა შეიცვალა. თავისი პაწაწინა ვერცხლის სასმისით თვითონ სტალინი თამადობს, თითოეული ჩვენგანის სადღეგრძელოს სვამს, ხალისობს, ლაღობს. ჩვენც ყველანაირად ვცდილობთ, გადაჭარბებული ზრდილობითა და ოფიციალური მიმართვებით თავი არ მოვაბეზროთ, მხარი ავუბათ მის თბილ და სადა საუბრის კილოს. ამხანაგი პეტრე შარია კახელებზე ჩამოაგდებს: — მოგეხსენებათ, საქართველოში განსაკუთრებით კახელები გვყავს პატივისცემაში, ათაბაბიდან, მათაც ღირსეულად პატივში უყვართ ყოფნა და გვაინტერესებს, კახეთში თუ ყოფილხართ?**

◀ზე უფრო გვეამა, რომლებიც სუფრაზე იდო.

— გლეხი ამ პურს არ დაგანებებთ და არც უნდა დაგანებოთ. მან კარგად იცის, აგრონომებსა და სპეციალისტებზე კარგად, რომ მახობელა გემრიელიცაა და განსაკუთრებულ ძალას აძლევს. ან კი რატომ უნდა მოსპოს?!

ამხანაგმა **კანდიდ ჩარკვიანმა** უპასუხა, რომ უკვე მიღებული ჰქონდათ ზომები იმისთვის, რომ მახობელა არ განადგურებულიყო, რაზეც სტალინმა უპასუხა, — კარგადაც მოქცეულხართო.

— ან კიდევ, აი, ეს საპობი ატამი. მივუშვით თავის ნებაზე სპეციალისტები და კინაღამ გადააშენეს.

— ამაზეც უკვე მიღებული გვაქვს სათანადო ზომებიო, — უპასუხა კანდიდ ჩარკვიანმა და დასძინა: მაინც, გორულ ატამს სხვა ატამი ვერა სჯობია და, ყოველგვარ ზომებს ვღებულობთ გორის რაიონში ატმის ჯიშების შესანარჩუნებლად, გასამაგრებლად და გასაფართოებლად.

— სპეციალისტებს, ამხანაგებო, ერთი მხრივ, თქვენ უნდა ადევნოთ თვალყური და, მეორე მხრივ, უნდა დაუგდონ ყური გლეხის სიტყვას. გლეხზე კარგად მიწა და მისი მოსავალი არავინ იცის. სპეციალისტები... სპეციალისტებიც არიან და სპეციალისტებიც. ჩვენ ისინი უნდა გავარჩიოთ ერთმანეთისაგან. ის სპეციალისტი, რომელიც მხოლოდ წიგნიდან ამოდის, დიდი ნდობის ღირსი არ არის. პრაქტიკულ საქმეში თეორეტიკოს სპეციალისტებს ყოველთვის კრიტიკული თვალით უნდა შეხედოთ, თორემ რა გამოვიდა? ეგრეთ წოდებული სპეციალისტები რამდენიმე წლის წინათ, ომამდე, ოცდაათიანი წლების დასაწყისში ამტკიცებდნენ: ტრაქტორი ჩვენი სოფლისთვის არ ივარგებსო და ათასგვარი დებულება მოჰყავდათ ამ აბსურდის დასამტკიცებლად, მაგრამ ხომ გამოირკვა, ის სპეციალისტები ვინც ბრძანდებოდნენ? თურმე **რიკოვსა** და **ბუხარინს** უჭერდნენ მხარს და ჩვენი სოფლის მეურნეობის წინსვლის შეფერხებას ცდილობდნენ. ასეთი სპეციალისტები ჩვენ დავსაჯეთ და სამართლიანადაც დავსაჯეთ. მერე ინანიებდნენ ცოდვებს: არ ვიცოდით, ვერ ვითვალისწინებდით ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებსო. მე კი ვუპასუხე: თქვენ არათუ არ იცოდით თქვენი ქვეყანა, არც გიყვარდათ-მეთქი.

— ისინი კლასობრივი მტრები იყვნენ და არა სპეციალისტები, — ჩაურთო სიტყვა პეტრე შარიამ.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სპეციალისტების სახელი და დიპლომი კი ჰქონდათ, თორემ ნამდვილი სპეციალისტი, საქმის მცოდნე და ქვეყნის მოყვარული, არც გახდება კლასობრივი მტერი. მე იმას გეუბნებით: ახალკურსდამთავრებულ სპეციალისტებს რა ეკარგებათ თავიანთი ექსპერიმენტებისგან? არაფერი, ისევ და ისევ გლეხობა, ხალხი კარგავს, მშიერი რჩება. ამიტომაც თუ გინდა, კარგი სპეციალისტი გყავდეს, უმაღლესი კურსების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე წლის განმავლობაში გლეხს გვერდით უნდა მიუჯინოთ, მის გვერდით უნდა ამუშაოთ, რათა გამოცდილება და პრაქტიკული ცოდნა მიიღოს და მერე მიაწოდოს სოფელს, სოფლის მეურნეობას, იმავ გლეხს თავისი თეორიული ჭეშმარიტებები და გამოსცადოს ისინი პრაქტიკაში; რაიმე, ახალაღმოცენებული უცნობი საკითხი პრაქტიკისა და თეორიული ცოდნის ერთობლივი გამოყენებით გადაწყვიტოს, ზუსტად ისე, როგორც ეს საწარმოებში გვაქვს მიღებული. სოფლის მეურნეობაც ასე უნდა აეწყოს, თუ სპეციალისტს ამ გზით ნამდვილ კაცად გახდომა არ უნდა, ჯანდაბამდის ჰქონია გზა.

**... საუბრის თემა შეიცვალა. თავისი პაწაწინა ვერცხლის სასმისით თვითონ სტალინი თამადობს, თითოეული ჩვენგანის სადღეგრძელოს სვამს, ხალისობს, ლაღობს. ჩვენც ყველანაირად ვცდილობთ, გადაჭარბებული ზრდილობითა და ოფიციალური მიმართვებით თავი არ მოვაბეზროთ, მხარი ავუბათ მის თბილ და სადა საუბრის კილოს. ამხანაგი პეტრე შარია კახელებზე ჩამოაგდებს სიტყვას: — მოგეხსენებათ, საქართველოში განსაკუთრებით კახელები გვყავს პატივისცემაში, ათაბაბიდან, მათაც ღირსეულად პატივში უყვართ ყოფნა და გვაინტერესებს, კახეთში თუ ყოფილხართ?**

— სამწუხაროდ, არ ვყოფილვარ. რამდენჯერ არ მოვიდნომე, ისე მოეწყო საქმეები, რომ ვერ მოვხვდი კახეთში, იმერეთშიც 1905 წლის შემდეგ არ ვყოფილვარ და 1905 წლიდან კი, უმთავრესად, ბაქოში ვიმყოფებოდი.

აქ გაიმართა უკვე ჩვენი ხალხისთვის უკვე ჩვეულებაში გადაზრდილი ხუმრობები კახელებზე, ქართლელებზე, იმერლებზე, რაჭველებზე; ერთი ფაქტი გაიხსენა თავისი ცხოვრებიდან ამხანაგმა სტალინმა:

**— რესპუბლიკაც კი დააარსეს რამდენიმე კვირით, — ჩაიცინა სტალინმა, — დამარცხდა. თავისებური ხალხია ქართლელები; ქართლის ორგანიზაციას ვეუბნებოდი, რომ 1905 წლის დასაწყისში მოეწყო აჯანყება და, აი, რუსეთის ხალხთან ერთად, მის პარალელურად, აჯანყდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხი, დაიწყო გამოსვლები გურიაში, მოსკოვის აჯანყებაც, ამიერკავკასიისაც და საშინელი რეაქცია გამეფდა. უკვე ღრმად იატაკქვეშ მივძვრებით, 1906 წელია, რეაქცია მძვინვარებს და ამ დროს ქართლის კომიტეტიდან მოდიან ჩემთან და მეუბნებიან: ავჯანყდითო. რა დროს აჯაყებაა, თქვე დალოცვილიშვილებო, ვერ ხედავთ, რა ამბავია? ვინ გითხრათ, აჯანყდითო! — წამოვიყვირე. წყენით მომიგეს: 1905 წელს გვეუბნებოდი, აჯანყდითო, ახლა კი 1906 წელი იწურება. მოფიქრება, მომზადება, გააზრება ხომ უნდოდაო...**

აი, ასე, ქართლელს ნელა თუ დაძრავ ადგილიდან, მძიმედ იცის რეაგირება, მძიმემძიმედ თუ აგყვება...

შემდეგ იმ ამხანაგებს ქართლის კომიტეტიდან მოსკოვში, ბუტირკის ციხეში შევხვდი ბორკილგაყრილებს. „გამარჯობათ, გაგიმარჯოთ, როგორ ხართ?“ — შევეკითხე და, ვიფიქრე, სამდურავ სიტყვებს მეტყვიან, მე დამაბრალებენ ციხეში ჩავარდნას. თქვენც არ მომიკვდეთ. დინჯადვე მიპასუხეს: არა გვიშავს რაო. საით გიკრეს თავი? ციმბირში გვიპირებენო, მერე, როგორ არის საქმე, ძალიან გიჭირთ-მეთქი? გაჭირვებით კი გვიჭირს, მაგრამ გავუძლებთო. მოკლედ მიპასუხეს და არც ერთი სიტყვა ჩივილისა მათგან არ გამიგონია, პირიქით, აქეთ გამამხნევეს: თავს გაუფრთხილდიო, ჩვენც შენთანა ვართო. აი, თუ გამოგყვა ქართლი და ქართლელი, ბოლომდე შენთან იქნება, უსიტყვოდ აიტანს გაჭირვებას, მაგრამ მძიმედ თუ გამოგყვება.

**«თავისებური ხალხი არიან ქართლელები; ქართლის ორგანიზაციას ვეუბნებოდი, რომ 1905 წლის დასაწყისში მოეწყო აჯანყება და, აი, რუსეთის ხალხთან ერთად, მის პარალელურად, აჯანყდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხალხი, დაიწყო გამოსვლები გურიაში, მოსკოვის აჯანყებაც, ამიერკავკასიისაც და, საშინელი რეაქცია გამეფდა. უკვე ღრმად იატაკქვეშ მივძვრებით, 1906 წელია, რეაქცია მძვინვარებს და, ამ დროს ქართლის კომიტეტიდან მოდიან ჩემთან და მეუბნებიან, — ავჯანყდითო. რა დროს აჯანყებაა, თქვე დალოცვილიშვილებო, ვერ ხედავთ, რა ამბავია? ვინ გითხრათ, აჯანყდითო! — წამოვიყვირე. წყენით მომიგეს: 1905 წელს გვეუბნებოდი, აჯანყდითო, ახლა კი 1906 წელი იწურება. მოფიქრება, მომზადება, გააზრება ხომ უნდოდაო...»**



**იმერლები** სულ სხვა ხალხია. ქუთაისის ციხეში ვზივარ. დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან შეგვყარეს ციხეში — ზოგი რევოლუციონერი და ზოგი ფირალი. მცველების გარდა, დაცვის უზრუნველყოფას, მეფის მთავრობის ბრძანებით, ჯარის ერთი ასეული ემსახურებოდა ოფიცრებიანად, ამ ოფიცრებს არაფერი ესაქმებოდათ პატიმრებთან და არც უფლება ჰქონდათ, ციხის ადმინისტრაციის გარეშე რაიმე დამოკიდებულება დაემყარებინათ მათთან. მაგრამ ერთ დღეს ამახანაგები მეუბნებიან: ვიღაც ოფიცერი ჩვენთან დაახლოებას ცდილობს, თანაც იმის ძიებაშია, თქვენი „მოძღვარი“ და მოთავე ვინ არისო, ალბათ, ვიღაც ჯაშუში და გაიძვერაა და არაფერი ვუთხარით შენზეო. მე გავიფიქრე: დაპატიმრებული ვარ, ჩემი საქმე და ამბავი სასამართლოში დაწვრილებით იციან, გადასახლებაც მისჯილი მაქვს და დავინტერესდი, ვინ უნდა ყოფილიყო ის ოფიცერი და რა უნდა სდომოდა ჩემგან, რაში ვჭირდებოდი.

უცებ მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა: — აი, იქ ვისწავლე, გურულო, „ხელხავიცა“ და „ხასანბეგურაც“ და განაგრძო, — ჰოდა, ვუთხარი ამხანაგებს, მობრძანდეს ის ოფიცერი და მნახოს-მეთქი. მართლაც, მეორე დღეს ვიღაც ოფიცერი მოადგა ჩვენს საკანს, მიკითხა, გამოვეცნაურეთ ერთმანეთს, რა გნებავთ-მეთქი? ამბობენ, განათლებული კაცი ხართ, ქართველი რევოლუციონერების მოთავე და, თუ ძნელი არ იქნება, ამიხსენით თქვენი მოძღვრების მიზანი და უპირატესობაო. ჩემ



წინ დგას მშვენიერი ვაჟკაცი, ტანასხლეტილი, იმერელი და სუფთა, დაინტერესებული თვალებით მომჩერებია, დაბრძანდით-მეთქი და ვისაუბრეთ. როგორც შემეძლო, სრულად განვუმარტე, რისთვის ვიბრძოდით და თან ისიც ვიფიქრე: უცნაური კაცია, არაფრად აგდებს ოფიცრობის კარიერას კი არა, საერთოდ, თავის ოფიცრობის ჩინსა და პატივს და რევოლუციური იდეებით დაინტერესების გამო თავს საფრთხეში იგდებს... საუბარი რომ დავამთავრეთ, მითხრა: იმერეთში დასაჭერი კაცი აღარ მოიძებნებოდა, ეს განათლებული პიროვნება რომ გამოუგზავნიათ ქართლიდანო? — ეს თქვა და თავისებურად, მადიანად გაიცინა ამხანაგმა სტალინმა. პარტიის თბილისის კომიტეტში დამევალა დასავლეთ საქართველოს ორგანიზაციებში გადასვლა და ამიტომ შეგაწუხეთ-მეთქი. ოფიცერმა, გამომშვიდობებისას ბოდიში მოიხადა შეწუხებისთვის და მთხოვა: — თქვენ თუ არ გეწყინებათ, ხვალ ერთ ჩემს ამხანაგს გამოვიყოლებ, ისიც ოფიცერია. კარგი ბიჭია და ერთი იმასაც, მინდა, დაწვრილებით აუხსნათ თქვენი საქმე და მიზანი. — მობრძანდით, მობრძანდით, თქვენი მთავრობის წყალობით დრო აქ ბევრი მაქვს და მეც მიხარია წესიერ ხალხთან საუბარი-მეთქი. მართლაც მოვიდნენ მეორე დღეს ის და მისი ამხანაგი და იმ დღესაც კარგა ხანს ვიმასლაათეთ.

ამის შემდეგ, ორი დღეც არ გასულა, უკვე ვიფიქრე, დავავიწყდი იმ კოხტა ოფიცრებს-მეთქი, რომ ციხის დერეფნებიდან ჩოჩქოლი და კამათი მომესმა. უცებ ჩემი ნაცნობი ოფიცრის ხმაც მომესმა, სული არ დაბერო, იცოდე, თორემ დედას გიტირებო. მერე ზედამხედველის წუწუნი გავიგონე და, ჩვენი საკნის კარიც გაიღო, ჩემი ნაცნობი ორი ოფიცერი საჭმელ-სანოვაგით და ხილეულით დატვირთულნი უზარმაზარი კალათით შემოვიდნენ. საკნის შუაგულში დადგეს და მითხრეს, — ეს ჩვენი მადლობის ნიშნად მიიღეო, კარგი კაცი ჩანხარ და ,გაგიმარჯოს. ჩვენ ჩვენი საქართველოსთვის ვზრუნავთ. ახლა ვერაფერს გიშველით, ისე კი მომავალში, ეგებ, კიდევ შევხვდეთ ციხეში კი არა ჰაერზე და თუ რამე დაგჭირდა კაი საქმისთვის, რაც შეგვეძლება დაგეხმარებითო. მითხრეს და წავიდნენ...

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუკი გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ყველგან შევარდება, მაშინ რაღა საჭიროა სპეცრაზმი და პოლიცია?! გავაუქმოთ ეს სტრუქტურები და ბიუჯეტი ბევრ მილიონს დაზოგავს. მართალია, პოლიციელები მერე უმუშევრები დარჩებიან და ძალიან უკმაყოფილოც იქნებიან, მაგრამ არც ეგაა პრობლემა, აგერ არ არის პარლამენტის შენობა? ადგებიან და შევარდებიან ისინიც. ერთი ეგაა, აშკარად მოგვიწევს მორიგეობის დაწესება, ვინ როდის უნდა შევარდეს პარლამენტში. საჭირო იქნება მკაცრი გრაფიკი, მაგრამ, ვინმეს უგრაფიკოდ რომ მოუნდეს პარლამენტში შევარდნა, მერე რა ვქნათ?**

# გავაუქმოთ სპეცრაზმი და პოლიცია, შემდეგ კი პარლამენტის შენობაში რიგრიგობით შევვარდეთ!

**ეს ერთადერთი რეცეპტია, რომელიც უზრუნველყოფს ქართველი საზოგადოების სიმშვიდეს და რომლითაც ყველა კმაყოფილი დარჩება. აკი, ჩვენი ე.წ. დამოუკიდებლობის 30 წლის განმავლობაში სამჯერ მაინც შევვარდით პარლამენტის შენობაში სხვადასხვა მეთოდით: ხან — ტანკებით, ხან — წიხლებით, ხანაც — ვითომ ვარდებით... შევარდნის მცდელობებს კი ნუღარ მკითხავთ. წელიწადში ორჯერ მაინც ვიღაც აუცილებლად ითხოვს პარლამენტში შევარდნას და, თუ ამ მოთხოვნას არ უკმაყოფილებენ, ძალიან წყინს ხოლმე.**

როგორც ჩანს, „პარლამენტში შევარდნის“ ჩვეულება სისხლში გადაგვივიდა და დღევანდელი ახალგაზრდების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია — ისინი უნდა შევარდნენ პარლამენტში მაშინ, როცა „გაუსწორდებათ“ და ხელი არავინ არ უნდა შეუშალოს.

ვფიქრობ, მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც საზოგადოება მსჯელობს და განიხილავს, უნდა ემოქმედა თუ არა სპეცრაზმს, როდესაც მართლაც აგრესიული და ეგზალტირებული ბრბო სახელმწიფო დაწესებულებაში, კერძოდ კი, საქართველოს პარლამენტის შენობაში, შევარდნას ცდილობდა. ყველაზე კომიკური ისაა, რომ, როდესაც სვამ კითხვას: „აბა, რა უნდა ექნა სპეცრაზმს: უნდა გაწეულიყო და შეეშვა პარლამენტში ეგზალტირებული ბრბო?“ — ამაზე პასუხი არ აქვთ სპეცრაზმის მოქმედებით „აღშფოთებულებს“ და იმ წამსვე გადადიან დემაგოგიაზე, რომ სპეცრაზმმა უფლებამოსილებას გადაამეტა. თუ ამ უფლებამოსილების გადამეტების თემაზეც გაყევი კამათში, აღმოჩნდება, რომ ლაპარაკია ორიოდე კონკრეტულ შემთხვევაზე, როდესაც კონკრეტულმა პოლიციელმა რეზინის ტყვია თავის არეში დამიზნებით ესროლა მომიტინგეს. როდესაც ჩაეძიები, აღმოჩნდება, რომ ასეთი შემთხვევები ათამდეც კი არ ადის.

თუმცა, **რა უნდა ელაპარაკო ისეთ რეგვენ ადამიანებს, რომლებიც სოციალურ ქსელებში გწერენ: „მხოლოდ იმ ვიდეოებს რომ აქვეყნებ, როგორ ურტყამდნენ მომიტინგეები სპეცრაზმს, იმას რატომ არ აქვეყნებ, როგორ ურტყამდნენ სპეცრაზმელები მომიტინგეებს?“ ასეთი უტვინო კითხვების ავტორები, ძირითადად, 19-20 წლის გოგო-ბიჭები არიან, თუმცა ზოგჯერ ამ სულელურ კითხვას კარგა მოზრდილი მუტრუკიც სვამს.**

ასეა თუ ისე, ადამიანმა ნებისმიერ ასაკში უნდა იცოდეს, რომ ასეთი კითხვის დასმა ელემენტარულ ჩლუნგობაზე მიუთითებს. სპეცრაზმელი რომ ურტყამს მომიტინგეს ან იყენებს მის წინააღმდეგ გარკვეულ ძალისმიერ მეთოდს, სრულიად ბუნებრივია და ამ ფაქტის ამსახველი ვიდეოს დადების აზრს ნამდვილად ვერ ვხედავ. აი, მოქალაქე რომ ურტყამს ან რაიმეს ესვრის სპეცრაზმელებს, ნამდვილად არ არის ბუნებრივი და ჩვეულებრივი მოვლენა, შესაბამისად, ასეთი ვიდეო მართლაც საინტერესოა.

ამ ორი ფაქტის გვერდიგვერდ ერთ სიბრტყეში დაყენება იგივეა, რომ ადამიანისთვის სულერთი იყოს, პოლიციელი ადებს ბორკილს მოქალაქეს თუ პირიქით — მოქალაქე ადებს ბორკილს პოლიციელს. სპეცრაზმელი რომ ურტყამს ან ძალას იყენებს მოქალაქეზე, ეს, ყველაზე უარეს შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილების გადამეტებად და არამართლზომიერი ძალის გამოყენებად, ხოლო, მოქალაქე რომ ძალადობს სპეცრაზმელზე, ეს არის პირდაპირ საზოგადოებრივი მართლწესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ვისაც ამის ახსნა დასჭირდება, ისინი როგორღა უნდა მსჯელობდნენ სხვა, უფრო რთულ საკითხებზე და თუნდაც იმაზე, მაჟორიტარული არჩევნებია უფრო მისაღები თუ პროპორციული? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ადამიანებმა სიტყვები **„მაჟორიტარული“** და **„პროპორციული“** პირველად გუშინწინ გაიგონეს და, რეალურად რას ითხოვენ და რატომ, თვითონაც არ იციან.

თორემ, რაიმე რომ იცოდნენ ქვეყანაზე, მაშინ ისიც ეცოდინებოდათ, რომ **ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაზე თავდასხმა ისეთი ტიპის დანაშაულია, რომელიც მყისიერად ნებისმიერი საშუალებით უნდა აღიკვეთოს. მარტივად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში პოლიციასა და სპეცრაზმს, არათუ რეზინის, საბრძოლო ტყვიების გამოყენების უფლებაც აქვს და მოდით, ბარემ ისიც პირდაპირ ვუთხრათ ამ „ძაან ჰუმანურებს“, რომ ძალიან ბევრი ზედემოკრატიული ქვეყნის პოლიცია და სპეცრაზმი იზამდა კიდეც ამას ასე (მავანთათვის „ძაან“ საყვარელი ამერიკის პოლიცია გაუფრთხილებლად გესვრის, რეზინის კი არა, რკინის ტყვიას, თუ მას „მოეჩვენა, რომ თავდასხმას უპირებენ“)!**

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ბევრი უტიფარი ძალიან უაზროდ და უადგილოდ ადარებს 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებს 2007 წლის 7 ნოემბერსა და 2011 წლის 26 მაისს. ასეთი შედარებების გამკეთებლები, პირდაპირ ვამბობ, დიდად შეურაცხყოფენ 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენების მონაწილეებს. მთავარი განსხვავება სწორედ ის არის, რომ არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში არც ერთ მომიტინგეს არსად შეჭრა არ უცდია. მეტიც, თუკი 26 მაისს დემონსტრანტებს ხელში პლასტმასის მილები მაინც ეჭირათ და გარკვეულ აგრესიას მაინც ავლენდნენ, 7 ნოემბერს, ყველას გვახსოვს, რომ ხალხი დასცინოდა კიდეც ლიდერებს, რომლებიც გაიძახოდნენ: „ხიდან ფოთოლიც კი არ უნდა ჩამოვაგდოთო!“



**ყველა ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაზე თავდასხმა ისეთი ტიპის დანაშაულია, რომელიც მყისიერად ნებისმიერი საშუალებით უნდა აღიკვეთოს. მარტივად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში პოლიციასა და სპეცრაზმს, არათუ რეზინის, საბრძოლო ტყვიების გამოყენების უფლებაც აქვს და მოდით, ბარემ ისიც პირდაპირ ვუთხრათ ამ «ძაან ჰუმანურებს», რომ ძალიან ბევრი ზედემოკრატიული ქვეყნის პოლიცია და სპეცრაზმი იზამდა კიდეც ამას ასე (მავანთათვის «ძაან» საყვარელი ამერიკის პოლიცია გაუფრთხილებლად გესვრის, რეზინის კი არა, რკინის ტყვიას, თუ მას «მოეჩვენა, რომ თავდასხმას უპირებენ»)!**

სწორედ ასეთ პირობებში მოხდა მშვიდობიანი მანიფესტაციების სასტიკი დარბევა. ამ მხრივ კი 26 მაისის დარბევამ გაცილებით გადააჭარბა 7 ნოემბერისას. ის გაცილებით უფრო სასტიკი და დაუნდობელი იყო და 2 ადამიანის სიცოცხლეც ემსხვერპლა. დასავიწყებელი არც ისაა, რომ ამ ორ მოვლენას შორის იყო სხვა, შედარებით პატარა-პატარა დემონსტრაციებიც, რომლებიც მიშას პოლიტიკურმა პოლიციამ უსასტიკესად დაარბია, რომელიც ხმამაღლა სკანდირებდა „მიშა!“ „მიშა!“-ს...

მსგავსი რომ არაფერი ყოფილა 20 ივნისს, ამაზე ვინც შემოგვედავება, ის, უბრალოდ, შარზეა.

რა გამოდის? **რას ითხოვენ, აბა, ის ადამიანები, რომლებიც ზედმეტად ვითომ „ჰუმანისტურ“ პოზაში დგანან და 20 ივნისის საღამოს რაღაც საშინელებად და კატასტროფად წარმოგვიჩენენ?**

აქ შეიძლება ორი კატეგორია გამოვყოთ ადამიანებისა: პირველი — ისინი, ვისაც ყველაფერი ძალიან კარგად მოეხსენება, უბრალოდ, უტიფრები არიან და სიტუაციას ბოროტად იყენებენ (ანუ ნაციონალების ლიდერები და პარტიული აქტივი). ესენი უმეტესობაა; და მეორე — უტვინო, გამოუცდელი და ფეხის ხმას აყოლილი ბავშვები; ახალგაზრდები, რომლებსაც ჩააგონეს, რომ „პოლიცია ცუდია“ და „პროტესტი კარგია“!

სხვათა შორის, **მიტინგზე დავინახე ერთი ადამიანი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ, როცა 19 წლის იყო, შუა ზაფხულში ზამთრის პალტოთი შემხვდა ქუჩაში. რომ ვკითხე, — რატომ გაცვია პალტო-მეთქი, ამაყად მიპასუხა: ვაპროტესტებო. დამაინტერესა, რას აპროტესტებდა. პასუხი ვერ გამცა. „ზოგადადო“, — მხოლოდ ეს ჩაიბურტყუნა და წავიდა. რომ ვუსმინე 22 ივნისს მის კომენტარს, რომელიც ერთ-ერთმა ტელევიზიამ ჩამოართვა, როგორც „ახალგაზრდა მწერალს“, ზუსტად ზაფხულის ის საღამო გამახსენდა. როგორც მაშინ, ჩემმა ნაცნობმა „ახალგაზრდა მწერალმა“ ახლაც სწორედ ისევე მხოლოდ ის თქვა, რომ აპროტესტებდა, ოღონდ რას? — ამის შესახებ მისი ნალაპარაკევიდან აზრს ნამდვილად ვერ გამოიტანდი.**

მეტიც, სოციალურ ქსელებში გადავაწყდი წარმოუდგენელ ფენომენს, როდესაც ადამიანები წერენ: „ჩვენ პარლამენტის შენობაში მშვიდობიანად გვინდოდა შეჭრაო“. ვერ გეტყვით, „მშვიდობიანი შეჭრა“ „მშვიდობიანი შევარდნა“ და ა.შ. მხოლოდ ქართული საავტორო ტერმინებია თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც არსებოს მსგავსი რამ, მაგრამ ფაქტია — ამ ყოველივემ ამას წინათ ლგბტ თემის წინააღმდეგ გამართული აქციები გამახსენა, რომლის მონაწილეები ამბობდნენ, რომ ჩვენ აგრესია სულაც არ გვაქვს, უბრალოდ, გეი თუ შეგვხვდა სადმე, მშვიდობიანად გავუკოჭავთ ხელებსო.

ძალიან საინტერესო იყო ე.წ. ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის განცხადებაც: **„ჩვენ პარლამენტის შენობაში ხელებაწეული შევდიოდით“.** ღმერთო! ნუთუ რამე მნიშვნელობა აქვს, იქ, სადაც შესვლა აკრძალულია, აწეული ხელებით შეიჭრები თუ ჩაწეული ნიფხვით?!

მარტივად ვთქვათ: თქვენთან ოჯახში რომ შემოვიდეს ვიღაც უცხო მამაკაცი, ოღონდ ხელებაწეული და აგრესიის გარეშე, დაჯდეს თქვენს სავარძელში და ფეხი ფეხზე გადაიდოს და ტელევიზორის ყურება დაიწყოს, რადგან ხელები აქვს აწეული, ამიტომ არაფერს ეტყვით?

ამიტომაც ვამბობ, როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოების გარკვეულ და არც ისე პატარა ნაწილს სისხლში აქვს უკვე პარლამენტის შენობაში შევარდნის ჩვეულება. მინდა, მათ ვკითხო: კარგი, დღეს თქვენ შევარდით პარლამენტში და მოიყვანეთ სათავეში თქვენთვის სასურველი ხელისუფლება. გავიდა ცოტა დრო და ახლა მე და ჩემს მეგობრებს მოგვინდა პარლამენტში შევარდნა, რა ვქნათ? აკი, თვითონ ამბობთ, რომ სპეცრაზმმა დემონსტრანტებს არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ესროლოსო? ესე იგი, გამოდის, რომ მე და ჩემი მეგობრებიც დაუბრკოლებლად უნდა შევვარდეთ პარამენტში. მერე კიდევ სხვას მოუნდება, მერე კიდევ სხვას და ა. შ.

პრინციპში, რომ დაფიქრდეს კაცი, არ არის ცუდი გასართობი. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ეკონომიკური კუთხითაც გამართლებული იქნება. **თუკი გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ყველა ყველგან შევარდება, მაშინ რაღა საჭიროა სპეცრაზმი და პოლიცია?! გავაუქმოთ ეს სტრუქტურები და ბიუჯეტი ბევრ მილიონს დაზოგავს. მართალია, პოლიციელები მერე უმუშევრები დარჩებიან და ძალიან უკმაყოფილოც იქნებიან, მაგრამ არც ეგაა პრობლემა, აგერ არ არის პარლამენტის შენობა? ადგებიან და შევარდებიან ისინიც.**

ერთი ეგაა, აშკარად მოგვიწევს მორიგეობის დაწესება, ვინ როდის უნდა შევარდეს პარლამენტში. საჭირო იქნება მკაცრი გრაფიკი, მაგრამ, ვინმეს უგრაფიკოდ რომ მოუნდეს პარლამენტში შევარდნა, მერე რა ვქნათ? დავაყენოთ სპეცრაზმი და არ მივცეთ მათ ამის უფლება? არა, რაღაც არ გამოდის მაინც...

იქნებ სჯობს, ამ ყოველივეს შევეშვათ და ისევ იმ ტვინგახურებულ და ვითომ გულაჩუყებულ რეგვნებს ავუხსნათ, რას ნიშნავს სიტყვა „სახელმწიფო“? თუმცა, აქვს კი აზრი?

„მთავარი პრობლემა არის ის, რომ რუსეთიდან შემოსულ ტურისტულ ნაკადზე ორიენტირებული ჩვენი ტუროპერატორები, სასტუმროები ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებიან. განსაკუთრებით იზარალებს ბათუმი, სადაც ყველაფერი გათვლილი იყო რუსებზე“.

ჩას ხდება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დავით იაკობიძე:

# ჩილეს პარლამენტში მეც ჩავჯექი პინოჩეტის სავარძელში, ამიტომ უნდა ესროლათ ჩემთვის?!

**«ამ დაძაბულმა ვითარებამ, რომლის მოწმენიც ვართ, კიდევ უფრო მეტი დისტანცირება მოახდინა ჩვენსა და სოხუმს, ჩვენსა და ცხინვალს შორის, გარკვეულად განამტკიცა ამ თვითაღიარებული რეგიონების სტატუსი»**

**20 ივნისის მოვლენების შემდეგ ჩვენი პარლამენტის ზოგიერთი უფლებამოსილი დეპუტატი მყისიერად მისაღებ საპასუხო ღონისძიებებზე რომ ალაპარაკდა, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების პუნქტები უკვე მოქმედებდა.**

რუსეთის მთავრობის ვიცეპრემიერის წარმომადგენლის განცხადებით, ყველა ავიაკომპანიამ აღნიშნა საქართველოს მიმართულებით ავიარეისებზე გაყიდული ბილეთების მასობრივი დაბრუნება.

რუსეთის ტუროპერატორების ასოციაციამ დაადასტურა, რომ ამჟამად საქართველოში იმყოფება 5-7 ათასამდე ორგანიზებული ჩასული ტურისტი რუსეთიდან, დამოუკიდებლად ჩასულთა რაოდენობა კი ორ-სამჯერ მეტია.

ყველა ტუროპერატორმა შეწყვიტა საქართველოზე გათვლილი ტურების გაყიდვა, საინტერესოა, რომ ტურების ჩარჩოებში 3,5 ათას კაცს ახალ წლამდე ნაყიდი ჰქონდა საგზურები საქართველოში სამოგზაუროდ.

გასული კვირის შაბათს „აეროფლოტმა“ განაცხადა, რომ 8 ივლისიდან სრულად შეწყვეტს ავიარეისებს საქართველოს მიმართულებით. იმავეს ადასტურებს ავიაკომპანიალოუკოსტერი „პობედა“, რომელიც „აეროფლოტში“ შედის, აგრეთვე „ურალსკიე ავიალინიი“ და „ნორდავია“. „ურალსკიე ავიალინიის“ გენერალურმა დირექტორმა განაცხადა, რომ ავიაკომპანია ფრენების აკრძალვის გამო მნიშვნელოვნად დაზარალდება.

**მაგრამ, როგორც არაერთხელ ითქვა, ყველაზე მეტად საქართველოს ეკონომიკა დაზარალდება, რადგან, პრაქტიკულად, ტურისტულ ბიზნესზეა აწყობილი.**

**ამ პრობლემაზე გვესაუბრება ცნობილი ეკონომისტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი 1993-1997 წლებში, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დავით იაკობიძე.**

**— ელოდით თუ არა, ბატონო დავით, რომ რუსეთი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდა?**

— არ ველოდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ **ვლადიმერ პუტინი** არ მოექცეოდა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წამოწყებული ე.წ. სანქციების ომის გავლენის ქვეშ.

არ ველოდი იმიტომ, რომ თანამედროვე სიტუაციაში გაუგებარია, უკვე გაყიდული სერვისების პატრონებს აუკრძალო მათი რეალიზაცია. ეს ხომ მოგება-ზარალზე აგებული პროცესებია. ამ გადაწყვეტილებით ზარალდება ხალხი რუსეთშიც და საქართველოშიც. დისკომფორტზე აღარაფერს ვამბობ.

**— ექსპერტები, რომლებიც არ გვაკლია, ამ ბრძანებულების რეალიზაციის გამო საქართველოს ეკონომიკის ზარალს ხან ერთი მილიარდი დოლარით საზღვრავენ, ხან 750 მილიონით, ზოგი გვამხნევებს — გამოსავლის პოვნა ძნელი არ არის, ჩასანაცვლებელ ბაზრებს ვიპოვითო.**

— საქმე ასე მარტივად არ არის. ჯერ ერთი, სტატისტიკა მოიკოჭლებს. მეორე: მთავარი პრობლემა არის ის, რომ რუსეთიდან შემოსულ ტურისტულ ნაკადზე ორიენტირებული ჩვენი ტუროპერატორები, სასტუმროები ძალიან ცუდ დღეში აღმოჩნდებიან. განსაკუთრებით იზარალებს ბათუმი, სადაც ყველაფერი გათვლილი იყო რუსებზე. ამიტომ გასაგები და გასაზიარებელია აჭარლების მყისიერი უარყოფითი რეაქცია, უწინარეს ყოვლისა, აღებული კრედიტების დაბრუნების შეუძლებლობის გამო. საკურორტო სეზონისთვის გაწეული ხარჯი და სამუშ-



ტურისტები ძველ თბილისში

აო წყალში ჩაგვეყარა და ხელცარიელი დავრჩითო.

მდგომარეობა მართლაც მძიმეა, მაგრამ ამ ნეგატივიზმშიც შეიძლება დადებითი მუხტის პოვნა.

**— რას გულისხმობთ, ბატონო დავით?!**

— თქვენს მკითხველებს უთუოდ ახსოვთ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერის მიერ როყიოდ წარმოთქმული დებულების გამო (ეს ლიდერი ამ დღეებში კვლავ პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოჩნდა) — რუსეთში ფეკალიებიც გასაღდებაო, ღვინის შეტანა რუსეთის ტერიტორიაზე საერთოდ რომ აგვიკრძალეს. ზარალის გარდა კიდევ რა შედეგი მოიტანა ამ აკრძალვამ?

**— ღვინის ხარისხი გავაუმჯობესეთ.**

— ასეთი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ აკრძალვასაც — ტურიზმის ხარისხი გაუმჯობესდება.

**— მაგრამ ეს ბანკების კრედიტებით დაბორკილ თვითდასაქმებულებს ამჯერად ვერ უშველის.**

— გეთანხმებით, მაგრამ მე პერსპექტივაზე ვლაპარაკობ. ბანკები გაუძლებენ ამ დარტყმას. მთავარია, ლარი იდგეს მტკიცედ და, ამასთანავე, ის ზარალი, რომელსაც მცირე მეწარმეები მიიღებენ, კომპენსირებული იყოს, ვთქვათ, კრედიტების გადავადებით, რესტრუქტურიზაციით, კონკრეტული აღრიცხვიანობითა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ტურიზმზე ორიენტირებული მცირე მეწარმეებისთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენით. თუ ამ დარტყმას არ მოჰყვება სხვა დამატებითი ღონისძიებები, იგი არ არის ისეთი მომაკვდინებელი, როგორიც ერთი შეხედვით ჩანს.

თუ მიაქციეთ ყურადღება, ავიარეისების შეწყვეტაზე ლაპარაკისას მიგვანიშნეს იმ ვალებზე, რომლებიც საქართველოს ავიაკომპანიებს აქვთ. ე.ი. ლაპარაკია დაბალეფექტიან ეკონომიკურ სტრუქტურებზე, რომელთა გაჯანსაღება ისედაც ჩვენი ამოცანა იყო. ახლა ეს პრობლემა დღის წესრიგში დადგა და აუცილებლად გადასაწყვეტია. როგორ გერგილიანად მოეპყრობიან შესაბამისი სტრუქტურები ამ საკითხს, ამაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. იმავეს თქმა შეიძლება ტურიზმით დაკავებულ ორგანიზაციებზეც.

ერთ რამესაც მინდა თქვენი მკითხველების ყურადღება მივაქციო.

**ამ დაძაბულმა ვითარებამ, რომლის მოწმენიც ვართ, კიდევ უფრო მეტი დისტანცირება მოახდინა ჩვენსა და სოხუმს, ჩვენსა და ცხინვალს შორის, გარკვეულად განამტკიცა ამ თვითაღიარებული რეგიონების სტატუსი.**

მინდა გითხრათ ისიც, რომ ეკონომიკა ამ შემთხვევაში არ არის დომინანტი. მნიშვნელოვანია, მაგრამ დომინანტი არ არის.

**— დომინანტი მიზეზი (თუ შეიძლება ასეთი ტერმინის ხმარება) ის არის, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს — დუმის დეპუტატი საქართველოს პარლამენტის სპიკერის ადგილზე დაჯდა... თუ დასვეს...**

— რა არის ახლა ეს, რა მოვლენაა?! ევალებოდა სხდომის წაყვანა და დაჯდა სკამზე. სხვისი სკამიაო! რამ გამოიწვია ეს შფოთი და აურზაური?! ეს ხომ მითოლოგიზებული პრობლემაა, კაცო! ეს ხომ არის სიტყვის ფეტიში და ტვინდაბნეულობა.

**— და ჩასაფრებულობა გარკვეული ძალების, პროვოკაცია.**

— ხომ ვნახეთ, რა მოჰყვა ამას — დარბაზის ანექსია და შტურმი პარლამენტის.

**— დიახ.**

— ჰოდა, თუ გარედან შეაღწევდნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოიერიშეები, იქ დამხდურებს შეუერთდებოდნენ, დალევდნენ ჩაის და განაცხადებდნენ: ახლა ჩვენ ვართ მთავრობაც და ხელისუფლებაცო.

**— რაც 2003 ვნახეთ: „დეჟა ვიუ“.**

— სავარძელში ჩაჯდაო! ჩილეს პარლამენტში მეც ჩავჯექი პინოჩეტის სავარძელში და ავთო სილაგაძემ ფოტოსურათი გადამიღო. ამიტომ უნდა ესროლათ ჩემთვის?! *(ხუმრობს ბატონი დავითი და იგივე ტონალობაში განაგრძობს — ა.ს.)* ვაშინგტონში „ბლერ ჰაუსში“, ხომ გახსოვს, როგორ არის — ყველა პრეზიდენტის ოთახია. ნოდარ ჯავახიშვილი ლინკოლნის საწოლში იწვა... რა პრობლემაა ეს?! სიმბოლოა?! ვოვა სიხარულიძე აღმოჩნდა ისეთი პრეზიდენტის საწოლში, რომელიც მეტრი და 55 სანტიმეტრის სიმაღლისა იყო, ლოგინში ვერ ეტეოდა და ფეხები გარეთ ჰქონდა გამოყოფილი... *(ვიცინით).* აქ უფრო მნიშვნელოვანი წყალქვეშა დინებებია.

**— და მაინც ეკონომიკა, განსაკუთრებით, ზღვისპირეთის მოსახლეობის გაცუდებული ბიზნესი...**

— მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა იქ გვალვაა. წინა სამი წელიწადი უმოსავლო იყო, ზარალიანი, ახლა ეს დაემატება, გაჩნდება ახალი პრობლემები და საჭირო იქნება სახელმწიფოს ჩარევა, ღონისძიებათა სისტემის შექმნა და განხორციელება. აი ამ პროგრამით უნდა წარდგეს მოსახლეობის წინაშე მთავრობა და თანაც, რაც შეიძლება მალე. მე მგონი, მდგომარეობა ასე უფრო მალე განიმუხტება.

ყველაფერს ეშველება!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დავეთანხმოთ ბატონ დავითს — ყველაფერს ეშველება, მაგრამ ერთი პირობით: მთავრობამ სწორი ნაბიჯები უნდა გადადგას. გადადგამს კი? გვქონდეს მთავრობის იმედი?**

**ა.ს.**

ფოსტა

# დაფიქრდით, ქართველებო!

**სამწუხაროდ, არც ჩვენი ხელისუფლება და არც ოპოზიცია არ იცნობს რუსეთს — არც მის პოლიტიკურ ხელისუფლებას და არც სამხედრო ხელმძღვანელობას, გარკვეული არ არის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში.**

ცნობილია, გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი — რკინის ოტო ბისმარკი წერდა: **„არასოდეს ეომოთ რუსებს, თორემ ისინი არაპროგნოზირებადი ქმედებით გიპასუხებენ“.**



მიტინგის ლიდერები

თუ ჩვენი ძალისხმევით არ აღდგა რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, დაკარგულ ტერიტორიებს მათი ნების გარეშე ვერასდროს დავიბრუნებთ.

რაც მეტად გავლანძღავთ და გავაღიზიანებთ რუსეთს, მით უფრო მეტ ტერიტორიას დავკარგავთ, ეკონომიკურად დავძაბუნდებით, დემოგრაფიული კატასტროფა გარდაუვალი იქნება და სხვა მეზობლებიც წარმატებით იძალადებენ ჩვენზე. ვერც ამერიკა-ევროპა და ნატო ვერაფერს გვიშველის. მათი იმედი ნუ გვაქვს. რუსეთთან ჩვენი გულისთვის ურთიერთობას არავინ გაიფუჭებს.

უნდა შევიგნოთ, რომ „ჩვენ ობოლი ერი ვართ“. დაფიქრდით, ქართველებო!

ის, რაც ხდება პარლამენტის წინ, საქართველოს სირცხვილია. ეს ბაკჰანალია დააზიანებს და დააზარალებს ჩვენს სამშობლოსა და ხალხს.

გიორგი გახარია შინაგან საქმეთა კარგი მინისტრია, არ უნდა გადადგეს. ქართულმა პოლიციამ შეასრულა თავისი მისია.

სანამ იპარპაშებს „რუსთავი 2“ და გრანტიჭამია არასამთავრობოები თავიანთი ანტისახელმწიფოებრივი, უტიფარი რიტორიკით, ხოლო ხელისუფლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ და ობიექტურ გადაწყვეტილებებს არ განახორციელებს, მანამ სულ იქნება ასეთი გაუთავებელი არეულობა, უწესრიგობა, რომლებიც ქვეყნის სრულ პარალიზებას გამოიწვევს.

**ომარ მარგველაშვილი**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ უცხოელებს მართლა შესტკივათ გული, მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაში დაგვეხმარონ. თუ არ შეუძლიათ, თვითმყობადობის შენარჩუნებაში მაინც შემოგვეხიდონ. არა და არა!.. ამის ნაცვლად, თავის ლიბერასტულ ნაგავს მოაცუხცუხებენ და მათი ნების მონურად აღმსრულებელი, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს კალიებივით მოდებული რენეგატების ხელით პირში ძალით გვტენიან. იმ დალოცვილებმა ისტორიას მაინც გადახედონ: მუდმივად მაჰმადიანური სამყაროს მტრულ გარემოცვაში მარტოშთენილი, ბრძოლებში დაღლილი, ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი ეს პატარა ქრისტიანული ქვეყანა ნუთუ ამგვარ ცინიზმს იმსახურებდა, უცხოელი პარტნიორები ღვაწლს ასე უნდა გვიფასებდნენ?!**

„მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინათვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე“.
*ილია მართალი*

# ქაჯები წავლენ!



**ბიბლიის მიხედვით, წარღვნის შემდეგ უფალმა დედამიწაზე სიცოცხლის გაგრძელების დასტურად ცაზე ცისარტყელა გამოსახა და ნუთუ მკრეხელობა და უკიდურესი ცინიზმი არ არის, უფლის ეს ღვთიური საჩუქარი, სწორედ სიცოცხლისა და კაცთა მოდგმის გამრავლების საწინააღმდეგო ანომალიის — უნაყოფო ერთი და იმავე სქესის წყვილების ზეობის სიმბოლოდ განიხილებოდეს? ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა ლგბტ-ებს საკუთარი «ორსქესიანი» სიმბოლოები დედამიწაზე, მათივე ცხოვრების შინაარსობლივ ანალოგიებში ეძებნათ და ცისარტყელას ნაცვლად, ლოგოდ თუნდაც ჰიენა (იგივე აფთარი) შეერჩიათ**

**დასაწყისში მცირე ამონარიდი ჩემი რომანიდან „ლილიტის მძევალი“:
„დედამიწა ქართველებს მართლაც დედობას გვიწევს და დედა-შვილი ერთმანეთს ვეხმარებით. ჩვენი ბრძენი წინაპრები ეკლესია-მონასტრებს გეოპათოგენურ ზონებში გამიზნულად აშენებდნენ, რითაც მათი უარყოფითი ენერგიის განეიტრალებას ახდენდნენ და ამგვარი განტვირთვით დედამიწას შვებას აძლევდნენ...“
ეს მართლაც ასეა და მსგავსი გეოპათოგენური საფრთხე ქართველებმა ბოლო პერიოდშიც ავიცილეთ, როცა ჩვენმა სულიერმა მამამ თავისი ბრძნული გადაწყვეტილებით, ლგბტ-თა 17 მაისის „შაბაშს“ ოჯახის სიწმინდის დღე ჩაანაცვლა და ამით ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას მორიგი სიბილწე აარიდა. მაგრამ რა? — ერის დამაქცევართ ბელზებელისგან შეკვეთა აქვთ მიღებული და „ავსულთა ლაშქარმა“ რევანში ზაფხულისთვის გადადო...**

ამჯერად ფერადოვან სიმბოლო ცისარტყელაზე მექნება საუბარი... განა სიმბოლო მოვლენის არს? არ უნდა ესადაგებოდეს? გავიხსენოთ: **ბიბლიის მიხედვით, წარღვნის შემდეგ უფალმა დედამიწაზე სიცოცხლის გაგრძელების დასტურად, ცაზე ცისარტყელა გამოსახა და ნუთუ მკრეხელობა და უკიდურესი ცინიზმი არ არის, უფლის ეს ღვთიური საჩუქარი სწორედ სიცოცხლისა და კაცთა მოდგმის გამრავლების საწინააღმდეგო ანომალიის —უნაყოფო ერთი და იმავე სქესის წყვილების ზეობის სიმბოლოდ განიხილებოდეს? ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა ლგბტ-ებს საკუთარი „ორსქესიანი“ სიმბოლოები დედამიწაზე, მათივე ცხოვრების შინაარსობლივ ანალოგიებში ეძებნათ და, ცისარტყელას ნაცვლად, ლოგოდ თუნდაც ჰიენა (იგივე აფთარი) შეერჩიათ და აი რატომ:**

* ჰიენებიც ლგბტ-ებივით ჯოგურ (თემობრივ) ცხოვრებას ეწევიან და მათსავით ცდილობენ, სამოქმედო არეალი გაიფართოვონ;

* ჰიენებიც, მასონებისგან ფინანსურად წახალისებული ლგბტ-ებივით ჯიქურ მიმწოლები არიან, არათუ ბალახისმჭამელებს, ზოგჯერ გაცილებით ძლიერ მტაცებლებსაც (ვეფხვს, ლომს და ა.შ.) ესხმიან თავს. ლგბტ-ებიც ჩვენი საზოგადოების ზნეობრივად ჯანსაღ ნაწილს ჰიენებივით გაავთრებულნი უტევენ და ტელევიზიებში მათ დასაცავად წამყვან-სტუმარ-ომბუდსმენ-ენჯეოების გაუთავებელი კაკოფონია, მსხვერპლზე მიტანებული ჰიენების სულის გამყინავ „კისკისს“ არაფრით ჩამოუვარდება; ისიც უცნაური დამთხვევაა, რომ ჰიენები ჰერმაფროდიტები, ანუ ლგბტ-ებივით პედერასტები არიან, სქესს სეზონურად იცვლიან.

ასე რომ, ლგბტ-თა ცხოვრების ნირი ყველაზე მეტად ჰიენებისას ემთხვევა. **ცისარტყელა კაცობრიობისთვის ღვთითბოძებული უწმინდესი ზეციური საჩუქარია და მკრეხელობაა, მისი შეხედვისას ბაყაყებივით ერთმანეთზე შემსხდარი, მოკრუსუნე ჰომოსექსუალი წყვილები გვახსენდებოდეს. არადა, ძალით გვაიძულებენ!.. დედაბუნებისთვის ეს წარმოუდგენელი შეურაცხყოფაა და კაცთა მოდგმისთვის — სასჯელი.** ჩვენებურმა „კრუსუნიებმაც“ უნდა შეიგნონ, რომ **ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწაზე ზეცა სიცოცხლის საწინააღმდეგო ძალების თარეშს არასოდეს შეეგუება და ამ უზენაესი მისიის აღსრულება უფალმა ქართველ ერს ანდო, რომელსაც ეშმაკეული ძალები ხელს ვერ შეუშლიან.**

ეს მოსაზრება ყბადაღებულ „სიძულვილის ენად“ არავინ მონათლოს. მამათმავლები საქართველოშიც ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ მათ მიმართ დამოკიდებულება იუმორსა და სიბრალულს (უნაყოფობის გამო) არ გასცდენია. რა ვიფიქროთ: ეს ჩვენი მეგობარი უცხოელები სექსუმცირესობების საკითხს ახლა იმიტომ ხომ არ ამწვავებენ, რომ საზოგადოება გაღიზიანდეს, მათდამი მტრულად განეწყოს და ბოლოს ქართველები მსოფლიოს თვალში „ჰომოფობებად“ გამოგვიყვანონ? რაშია საქმე? ლგბტ-ებიც უკვე ისე არიან გაბლატავებულნი, მოწინააღმდეგეებს ცინიკურად პირში ბურთს ჩრიან და ლამისაა, ხორცი აგლეჯინონ. ეს რა, მათი მხრიდან ძალადობა არ არის? ხოლო **ძალადობის წინააღმდეგ პროტესტი „სიძულვილის ენა“ რატომაა ვითომ?** სადაა ლოგიკა? **ამ კატეგორიას ქართველი კაცი ჩვეულებრივ ეგუეობდა, მეც არას ვერჩი, მაგრამ გარედან წახალისებული მათი გაუკუღმართებული ცხოვრების წესის ასეთი აღზევება, აფიშირება და დანერგვა ყველას ზარავს; მით უფრო, მათ შორის ბევრია ისეთი, უცხოურ გრანტებზე გაწუწკებულები ჰომოსექსუალობას რომ იბრალებენ და, რაც მთავარია, გარყვნილების შხამიან შტამებს პიროვნულად მოუმწიფებელ, მოქალაქეობრივ ფასეულობებში გაუთვითცნობიერებელ თაობებში პანდემიურად ავრცელებენ.** აი, მათ კი ამის უფლება ნამდვილად არ აქვთ და არც საზოგადოებას აქვს უფლება, ამგვარ ნეგატივს გაუყუჩდეს. მგონი, **კონჩიტასაც ულიარებია, — პედერასტობა კარიერული წინსვლისთვის დავიბრალეო, მაგრამ ფაქტია, რომ, მისი მიმბაძველობით ნაწნავიანი განაზებული „კონჩიტა“ ბიჭები ნაწვიმარზე ამოყრილი სოკოებივით მოგვიმრავლდნენ.**

— მოდით, ბავშვებო, ნუ გეშინიათ, ჩვენ დაგიცავთ! — ტელეეკრანიდან ხავის გაურკვეველი სქესის ვინმე ნინო თუ ნიკა, თითქოს სტამბულის მონათა ბაზარი იყოს და სულთნის კარის საჭურისებად, ტყვე ბავშვების კასტინგი ჰქონდეს!..

ბავშვებო! — **ეს ბავშვები ჩვენი შვილები, შვილიშვილებია, მომავალში დედობით, მამობით რომ უნდა გაიხარონ, ერი ამრავლონ, სატანის ნაშიერები კი ცხოვრების გზას უმრუდებენ, ცოდვის მორევში ითრევენ, ხოლო საზოგადოებამ ეს თურმე ნორმად უნდა მიიღოს და გაჩუმდეს.**

აქ ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტის ოდესღაც სააკაშვილის კლანზე ნათქვამი ფრთიანი ფრაზა გამახსენდა: **„ქაჯები მოდიან და მიდიან!“** დიახ, ქართული მიწა ზენაარმა თვითწმენდის უნარითაც დააჯილდოვა და ჩვენი ერის მოსოდომგომორელებლად შემოთესლებული ქაჯებიც, აითესებიან და წავლენ.

აქვე უნდა დავეთანხმო ქართული მიწის ჭეშმარიტ ქომაგს, შესანიშნავ მეცნიერს, ბატონ **გელა ღლიღვაშვილს**, რომელიც ამბობს, ქართველებს ორი ალტერნატივა გვაქვს: ან დავრჩებით მგლებად (გურჯისტანი „მგლების ქვეყანას“ ნიშნავს) ან გადავიქცევით ჰერმაფროდიტ, მაწანწალა ჰიენებადო. მართალია, ბატონ გელას ეს სიტყვები კონკრეტულად ქვეყნის სივრცით პარამეტრებს მოიცავს, მაგრამ ამ აზრის ქართულ ეთნოსზე გავრცელებაც თავისუფლად შეიძლება.

**წინაპარს უთქვამს: კაი ყმა, მგელი, არწივი, — არც ერთ არ გაიწურთნებისო. ჰოდა, შეეშვან ჩვენი უცხოელი „აპეკუნები“ გურჯისტანში (მგლების ქვეყანაში) მგლების (კაი ყმების) ჰომოსექსუალებად გაწვრთნას.** ცალკე რუსი ცდილობს, ქართველი ერი იარაღით ისევ წამოაჩოქოს; ცალკე — ეს უცხოელები, რომ გლობალისტური მანიპულაციებით გადააჯიშონ, მასში მებრძოლო სული ჩაკლან და ბუტაფორიად აქციონ, — ჯანდაჯან გვეძალებიან... შედეგად კი ის მიიღეს, რომ, თუ ადრე უცხოეთს ვაფეტიშებდით, დღეს ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობის ცნობიერებაში უნდობლობის ვექტორი თანდათან დასავლეთისკენ გადაიხარა. **მათი გენიოსი ავტორების შემოქმედებით ნასაზრდოები ქართველები ლიბერასტებმა ერთბაშად თავაშვებულობის მითოლოგიური ღვთაების — ლიბერას ბაქანალიებში ამოგვაყვინთეს და, თუ ასე გაგრძელდება, საოცნებო დასავლეთზე იმ შორეული, თავდაპირველი ხიბლიდანაც შეიძლება აღარაფერი დარჩეს. ეს არის რეალობა.**

მიმოვიხედოთ: დღეს სად ვართ, ვისთან ვართ და როგორ ვართ ქართველები?

სად ვართ და ვისთან ვართ, ეს თავადაც ვერ გაგვირკვევია: კოსმონავტივით უწონადო მდგომარეობაში ვიმყოფებით, „არც მიწისა ვართ, არც ცისა“ და „ნატვრის ხის“ ელიოზივით ცის გახსნას ველოდებით, საიდანაც ანგელოზები ჩამოვლენ და მიწიერ სამოთხეებში: ნატო-ევროკავშირში შეგვიყვანენ. ვდგავართ და საჩვენოდ დაგმანული აღსავლის კარის გაღებას, წლებია, ამაოდ ველოდებით. „მაინც ვაკაკუნოთ!“ — იხტიბარს არ იტეხენ ხელისუფლებაში და ბებერ ხეს მიჭიჭინებული კოდალასავით დაჟინებით ვუკაკუნებთ და ვუკაკუნებთ...

ესტონეთის თავდაცვის მინისტრი ბატონი **იური ლუიკი** საკუთარი ქვეყნის გამოცდილებას გვიზიარებს და მეგობრულად გვირჩევს: ქართველები ნატოში მისაღებად მაქსიმალურად მოემზადეთ და, თუ დემოკრატიულობის, საბაზრო ეკონომიკისა და თავდაცვის თვალსაზრისით ალიანსის მოთხოვნებს დააკმაყოფილებთ, მიღების პრობლემა არ შეგექმნებათო; მართალია, ნატოს კარი პატარა ქვეყნებისთვის იშვიათად იღება, თანაც ამჯერად ახალი წევრის მიღების ნება თითქმის არ არსებობს, მაგრამ იმედს ნუ დაკარგავთ, მოთმინებით დაელოდეთ და, როგორც კი კარი გაიღება, იმარჯვეთო...

ეეჰ, ამის მარიფათი რომ გვქონდეს, რა გვიჭირდა. ის კი არა, მთელი ჩვენი დღე და მოსწრება სულ, ასე ვთქვათ, „შემოვარდნილების“ მოგერიების რეჟიმში ვართ: მონღოლი გინდა, არაბი, თურქი, ბიზანტიელი თუ სპარსი და აგერ, რუსიც ვერ მოგვიშორებია თორემ ნატო? ღია კარში „შესავარდნად“ სულ ტალიკ-ტალიკ მსოფლიო ჩემპიონებს ჩავასაფრებდით, ლაშა ტალახაძის თავკაცობით...

...ზემოთ წარღვნა ვახსენე და ამ „შევარდნამ“ ერთი ქართული ბიბლიური თქმულება გამახსენა: ნოემ კიდობნის კარი რომ გახსნა, ყველა ოთხფეხი სულ დაოთხილი შეჯლიგინდა და ერთადერთი ჩვენი საწყალი, ჯაფისგან ქედგადაღლეტილი ნიკორა კამეჩი გამორჩა. შიშს რა ძალა ჰქონია: თავზარდაცემულმა პირუტყვმა ერთბაშად ენა ამოიდგა და „ნოოოეეე!“ — სასოწარკვეთილმა შებღავლა. იმ კაი კაცმა კამეჩი შეიყვანა და ბოდიშიც მოუხადა, მაგრამ ნიკორას მაშინდელი სტრესი დღემდე არ განელებია და „ნოოოეეე!“ — დროდადრო საცოდავად ამოიბღავლებს ხოლმე. ჩანს, ნიკორას პატრონებიც მასავით უფხოები გამოვდექით: ვდგავართ ნატო? კართან და მორიდებით ვაკაკუნებთ. ხანგამოშვებით კარი მართლაც იღება. გახარებული მივცვივდებით, მაგრამ, საშვის ნაცვლად, ახალ-ახალ დავალებებს გვახვედრებენ. თანაც რა ნიჭიერად იგონებენ?! საბედნიეროდ, შუათითი ჯერ არ უჩვენებიათ და არა მგონია, ეს ნატოს მისიებში აქტიურად ჩართული ჩვენი მამაცი, სისხლდანთხეული ჯარისკაცების ხათრით იყოს: ალბათ, ელოდებიან, მთელმა ერმა ნარკუშა „გირჩელებივით“ ჩავიხადოთ და „ტანგები“ დავანახვოთ. ეს ისე, — მცირე ლირიკული გადახვევაა...

მესამე კითხვა: **როგორ ვართ?**

როგორ და ჯერჯერობით ყველაფერი დეგრადაციისკენ მიდის... **თითქოს** ▶

**მიზიდულების ძალა და ხიბლი აქვს ქრისტეს კვართის მფლობელ მისტიკურ მიწას და ნაირნაირი სოროსული ნაგავის არამკითხე ექსპორტიორებსაც ნუ გაუკვირდებათ, თუ საქართველოში მათი გლობალისტური ცნობიერებისთვის მიუწვდომელ, ამგვარ პარადოქსებსაც წააწყდებიან. მეტეხის ხიდზე ჯალალედინისგან მოწყვეტილი ასი ათასი ქართველის ამბავიც გაისიგრძეგანონ, წმინდა ხატებზე ფეხის დაბიჯებას, მოწამებრივი სიკვდილი რომ ამჯობინეს და ვგონებ, ქართულ ფენომენზეც ცოტა სხვაგვარად დაფიქრდებიან.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აფრიკის რომელიღაც „ჭ“ კლასის ტომი ვიყოთ, ჯერ კიდევ ნაცების ხელისუფლებამ მძლავრი სამეცნიერო და შემოქმედებითი კავშირები გააუქმა, ამათ კი სამი დამოუკიდებელი სფერო: განათლება, კულტურა და სპორტი „პროკრუსტეს სარეცელზე“ დაახეიბრეს და ერთ ნაჭუჭში ჩატენეს.** ქართველები უკვე საკვებმომპოვებელ, უცხოელების ხელებში მაცქერალ მათხოვრებად ვიქეცით. წვრილშვილიან, გაჭირვებულ ოჯახში გავიზარდე და **ამგვარი სიღატაკე და ღრმა კლასობრივი დიფერენციაცია, ჩვენს ქვეყანაში რომ ჩამოყალიბდა, შორეულ ბავშვობაში ინდურ ფილმებში თუ მინახავს: მთელი ქვეყნის დოვლათი ერთი მუჭა მაფიოზური კლანების ხელში მოექცა, დანარჩენი მოსახლეობა შიმშილით სულს ღაფავს, ნაგვის ბუნკერებთან უპერსპექტივობით ხელჩაქნეული, დამშეული ადამიანების რიგი დგას და გამკითხავი არავინაა.** შესაბამისად, გაიზარდა კრიმინალიც (დამშეულ საზოგადოებაში „პურიტანიზმს“ ვერავის მოსთხოვ). საინტერესოა, ვის მიზნებშია, ჩვენი ბარაქიანი მიწის პატრონი ერის იმ დონემდე დამცონარება-დაგლახავება, რომ მშიერი ადამიანები ერთმანეთს პირში ძაღლებივით სუნავდნენ, — რა ჭამეო. ამ ტენდენციით, **ეს მიწა ვის რჩება? პასუხი: ყველას, გარდა მისი კანონიერი მფლობელის — ქართველი ერისა. დამოუკიდებელი განვითარების ყველანაირი ორიენტირი დავკარგეთ და ვკარგავთ მომავალსაც: ნარკოტიკი, აზარტული თამაშები, ვირტუალური სამყარო, გარყვნილება, გულგრილობა, სისასტიკე — აი, ის პრიორიტეტები და „მაღალი იდეალები“, რომლებშიც ქვეყნის მომავალი ხურდავდება.** მიაქციეთ ყურადღება: ღიმილის ქვეყანაში, ურთიერთკეთილგანწყობასთან ერთად, ღიმილიც უკვალოდ გაქრა, მათ ადგილას ღვარძლი დაითესა და გაბატონდა. ხალხი გაოგნებული და გაწბილებულია: ამგვარ დემოკრატიულ ოაზისს გვახარბებდნენ, ამას ვესწრაფვოდითო?!

**თუ უცხოელებს მართლა შესტკივათ გული, მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებაში დაგვეხმარონ. თუ არ შეუძლიათ, თვითმყოფადობის შენარჩუნებაში მაინც შემოგვეხიდონ. არა და არა!.. ამის ნაცვლად, თავის ლიბერასტულ ნაგავს მოაცუხცუხებენ და მათი ნების მონურად აღმსრულებელი, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებს კალიებივით მოდებული რენეგატების ხელით პირში ძალით გვტენიან. იმ დალოცვილებმა ისტორიას მაინც გადახედონ: მუდმივად მაჰმადიანური სამყაროს მტრულ გარემოცვაში მარტოშთენილი, ბრძოლებში დაღლილი, ღვთისა და კაცობრიობის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი ეს პატარა ქრისტიანული ქვეყანა ნუთუ ამგვარ ცინიზმს იმსახურებდა, უცხოელი პარტნიორები ღვაწლს ასე უნდა გვიფასებდნენ?!**

ლიბერასტებმა თავისნაირები უკვე ისე „ააგულავეს“, რომ აგერ პატიოსანი მამის — განსვენებულ **ანზორ გვარამიას** შვილს მანიაკური ახირება აქვს, სიტყვის თავისუფლების საფარქვეშ „რუსთავი 2“-ის ეთერიდან ყოველდღე აქლემივით დუჟს ღვრის, ხალხს თავს აზიზღებს და სახეზეც აწერია, რომ ეს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს; თვალებსაც ამიტომ ბლიტავს ხოლმე მზეს მიფიცხებული ქამელეონივით. ენერგოვამპირების თემას აქ აღარ განვავრცობ, მხოლოდ მცირე ამონარიდს შემოგთავაზებთ ჩემი წერილიდან „მონსტრების კორპორაცია“ („ლიტერატურული საქართველო“, 2016.X) და დასკვნები თვითონ გამოიტანეთ:

**„კარმული მედიცინის მიხედვით, ენერგოვამპირები დედამიწაზე თვითგანადგურების კოდით მოვიდნენ; გადაკეტილი აქვთ სულიერი ენერგიის მიმღები სამივე არხი (სიყვარული, ბედნიერება და სიბრძნე), რის გამოც, იძულებული არიან, დეფიციტი საზოგადოებიდან პირატულად მიტაცებული ენერგიით შეივსონ. გაუკუღმართებულია მათი სექსუალური ცხოვრებაც... ენერგოვამპირები ნარკოდამოკიდებულებს ემსგავსებიან და სულიერი შიმშილის დასაკმაყოფილებლად მუდმივად მზარდი წყაროების ძიებაში არიან. ინტრიგა, შფოთი, სკანდალი და ა.შ. ვამპირებს ახალ-ახალი სასიცოცხლო ენერგიით ავსებთ... გარშემოც თავისნაირებს იკრებენ, ხოლო ქვეყნის სათავეში მოქცეულები ყოვლისდამანგრეველ მონსტრებად იქცევიან, თუმცა, სამყაროსეული კანონებით, სასტიკადაც ისჯებიან (ნერონი, ჰიტლერი, კალიგულა...)“.** ანამნეზი, ალბათ, გეცნოთ: „რუსთავი 2“-ის სათავეში მოქცეული ჩვენი „ვამპირუკასთვის“ ერთიმეორეზე გულისამრევი პერფორმანსების თხზვა სასიცოცხლოდ აუცილებელი ყოფილა, მაგრამ აქვე საგულისხმოა ფატალურობის კლიშეც — ბოლო პერიოდში გვარამიაც სამგლე გოჭივითაა ატეხილი...



საუბედუროდ, ვამპირიზმმა მანძილი არ იცის და თვალს მიფარებული **ადეიშვილ-კეზერაშვილის** დაუსჯელობით მოგვრილი მწარე ფიქრები ისევე გვცლის სულიერი ენერგიისგან და გვფიტავს, როგორც, ვთქვათ, **ბოკერიასა** და მისი მეტად უცნაურად აჟიტირებული თანამეცხედრის ყურება.

ყველაფერი წარმავალია და ვამპირების ბოგინიც.

ადიდებულ მდინარეს, როგორც წესი, ბალასტიც მოჰყვება ხოლმე და ადუღებისას წყალიც ჭუჭყს ზედაპირზე იგდებს: მოქაფავ და დაიწმინდება. „რუსთავორელი“ ავსულებიც, ალბათ, ადრე თუ გვიან, მოახტებიან სააკაშვილის ნახმარ ცოცხებს და მოუსავლეთში გადაქაჯდებიან. ისტორიის უგრძეს გზა-შარაზე ქართველებს ამის მეტი რა გვინახავ? და რა გამოგვიცდია...

ასევე დროებითია ჩვენი ერის გადაკეთების მცდელობაც, რადგან არ გამოუვათ... ქართველი „საახალწლო ბასილას“ ცომივით დამყოლი როდია, თავის ქეიფზე რომ გადაზილ-გადმოზილონ და უნდათ, ხელს გამოაბამენ, უნდათ — სხვა რამ ორგანოს. ქართველი ერი არც ლერწამია, როგორც უნდათ, ისე რომ მოდრიკონ, მუხის ჯიშისაა და ტოტემადაც მუხა აქვს — უდრეკი, წმინდა მცენარე (მძლავრი „მუმლი მუხასა“ გავიხსენოთ). სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენ, რომ სვანურ ფოლკლორში ჩვენი გვარიც გამძლეობით სწორედ მუხასაა შედარებული: „ჯიჰრა მიჯვრა ხერგიანარ“ (ხერგიანები მუხის „მიჯვრები“ — საყრდენი ბოძებია).

ერთიცაა: **ინკვიზიციის, ფაშიზმის, კუ-კლუქს-კლანის, აპარტეიდის და ა. შ. ისტორიული ქვეყნებიდან მოსულებმა ქართველებს ამ გადაკეთებ-გადმოკეთებით რა უნდა გვასწავლონ: ზნეობა? ეთნოუმცირესობებთან ურთიერთობა? რელიგიური შემწყნარებლობა? უფროს-უმცროსობა? სტუმარმასპინძლობა? ერთადერთი, რაც ქართველებმა დღემდე ვერ ვისწავლეთ, მტერ-მოყვრის გარჩევაა და რას გვაიძულებენ? — ათასწლოვანი უნიკალური, ჯანსაღი ტრადიციების მოშლას? მართლმადიდებლობის შეზღუდვასა და სექტების „აბლატავებას“? ნაცების დამნაშავე რეჟიმთან ბოლომდე კოაბიტაციურ ჩახუტებას? ნაცი ჯალათებისთვის სასჯელის შემსუბუქებას? გრანტიჭამია ენჯეოების ხელშეუხებლობას? ისედაც განლეული, შვეიცარიული ყველივით დასვრეტილ-დაფხავებული ქართული მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას? სასწავლო დაწესებულებებიდან სულიერების გამოძევებას? ჩვენივე დევნილებით და უმუშევრებით გადავსებულ ქვეყანაში დამატებით ახლა კიდევ უამრავი უცხოლტოლვილის მიღება-დაბინავება-დასაქმებას? სექსუმცირესობებზე განსაკუთრებულ ზრუნვასა და მთელი ქვეყნის „გაცისფერებას“?** ბავშვთა გარყვნა-გაუკუღმართებას?.. ხარჯი-ხარჯია და მამაცხონებულებს ამ ყველაფრისთვის ბარემ კუბოზე დასადები „ვენოკიც“ მოეყოლებინათ!.. რაო, ამის გარეშე ნატოსა და ევროკავშირში ვერ მიგიღებთო?..

„სტუმარმასპინძლობამ“ ერთი ამბავი გამახსენა. ეს საუკუნეების წინათ იყო:

ამერიკის პირველდამპყრობი თეთრკანიანი ავანტიურისტები ინდიელებმა ღვთის წარმოგზავნილებად მიიჩნიეს, ზედ გადაჰყვნენ, „ფეხქვეშ მარგალიტი დაუფინეს“, მათ კი აბუჩად აიგდეს: პურის ნაჭრებზე მდოგვი სქლად წაუსვეს და გემზე სტუმრად მიწვეულ ბელადებს ღლიცინით ჩამოურიგეს. ინდიელებმა სტუმარმასპინძლობის ჩვეულ ტრადიციას არ უღალატეს, სამსალას სიტყვის უთქმელად ბოლომდე შეექცნენ და ამით „ველურებმა“ ევროპელებს მაღალი კულტურის მასტერკლასი ჩაუტარეს... სულ მალე კოლონიზატორებმა ამერიკის კონტინენტზე მილიონობით მკვიდრი მოსახლეობა უმოწყალოდ გაჟლიტეს, ნაწილსაც რეზერვაციებში ამოჰხადეს სული და ინდიელთა იმ მეტად თავისებური, დედაბუნების წიაღიდან ამოზრდილი მაღალი ცივილიზაციიდან ევროპელმა დამპყრობლებმა აღარაფერი დატოვეს, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩათ.

დღეს მსოფლიოში თითქმის იგივე ხდება, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, უფრო ცივილიზებულად და უსისხლოდ: თოფსა და ზარბაზანს ამჯერად უმძლავრესი ფსიქოტრონული იარაღი ჩაენაცვლა. ბოლო ჟამია და სატანა მძლავრობს; მისმა ემისრებმა ჩვენი ქვეყანა საცდელ ლაბორატორიად აქციეს და „ქონდაქარებადაც“ ისევ მოღალატე, სკალპელმომარჯვებული ქართველები შეარჩიეს...

**ჩვენი მიზანი „ნაცმოძრაობის“ გადარჩენაა! — ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გვამცნეს გლობალისტების მიერ დაქირავებულმა და ნაცებთან კოაბიტირებულმა „ხალხის რჩეულებმა“ შეპირებული სამართლიანობის ნაცვლად, დასავლეთის ზეწოლისა თუ სხვა რამ მიზეზით, მორგში შესვენებულ ნაცგვამებს აყროლებულ პირში სული უბერეს, გააცოცხლეს და ისევ ვამპირჯალათებად მოგვიტრიალეს.** პოლიტიკურ ქარბორბალაში მოყოლილი დაბნეული **ივანიშვილიც** (შორიდან ასე ჩანს), სამწუხაროდ, კოაბიტაციის ხიბლიდან ვერა და ვერ გამოდის და მოსამართლეთა არჩევის საკითხშიც ჯიუტად რატომღაც ისევ „პირველ ჩვენებას“ აწვება, შავზე ამბობს თეთრიაო! რის გამოც, ვისაც არ ეზარება, ამ უდავოდ დიდი ქველმოქმედი „მეოცნებე“ კაცის ლანძღვა-თათხვაშია, უფრო კი — სახალხო აუტოდაფესგან სწორედ მისი წყალობით თავდახსნილი ნაცები, ასევე, მის „კარმუშკას“ ნაჩვევი ხალხი და და კიდევ ისინი, ვინც, შესაძლოა, დღემდე ერთი თეთრითაც არავის დახმარებია. ესაა შეშლილობისა და უმადურობის ნაზავი...

რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მსოფლიოს ცივსისხლიანმა მბრძანებლებმა ბატონი ბიძინა ნაცების გადამრჩენად გამოიყენეს და მიატოვეს, მაგრამ ამასთანავე, ცოცხალი თავით ვერ ელევიან და ბოლომდე არც შეელევიან ქართველი ერის მთავარ სასიცოცხლო არტერიაზე მიძაგრებულ მონსტრ სააკაშვილსა და სამთავრობო სავარძლებში ისევ თბილად მოყუჩებულ მის სულიერ მეწყვილეებს (ბოკერიებს, უგულავებს...), სანამ ქვეყნის დაუძლურებული სხეულიდან ენერგიას ბოლომდე არ გამოწოვენ. დაუსჯელობით თავგასული სააკაშვილიც ქარისგან აფრიალებული ყანის საფრთხობელასავით ღრეჯით ხან საიდან გამოგვიცეკვდება, ხან — საიდან და წლებია, ამგვარ ტრაგიკომიკურ ფარსში გვაცხოვრებენ.

ამ ჯაჯგურ-ჯანჯღარში ქართველები ეთნიკურად ისე დავილიეთ და დავიშრიტეთ, ბრძოლისთვის ძალა ვეღარ მოგვიკრებია და უკვე **დემოგრაფიული უფსკრულისკენ მივექანებით, მაგრამ გლობალისტურ ორომტრიალში თავბრუდახვეულ მსოფლიოს ჩვენი ერის „იყო და არა იყო რა“ არსებობა, ალბათ, ერთი დღის ხსოვნადაც არ გაჰყვება...**

**ეს ასეა, მაგრამ, ნუთუ, კაცობრიობის თანამედროვე არქიტექტორები ბოლო დროს მოჭარბებული ბუნებრივი კატაკლიზმების მიზეზებსაც ვერ აცნობიერებენ? აკი ღმერთმა სხვა ძუძუმწოვრებისგან განსხვავებით ადამის მოდგმა ორ ფეხზე იმიტომაც წამოაყენა, რომ ზოგჯერ ზემოთაც აგვეხედა და მისი არსებობა გაგვეცნობიერებინა? ანდა, ეს ახალი ყაიდის სექსუალური „კომპრაჩიკოსები“ ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულან, ქრისტიანული ქვეყნებიდან სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა რატომ გადადის ისლამის რჯულზე?** იქნებ, მათი მამაკაცური საწყისი ლიბერასტების დაძალებული ანდროგენური „აჯაფსანდალისგან“ თავდაღწევას ამ სახით ცდილობს? შესაძლოა, ექსტრემალი ახალგაზრდებისთვის ეს ერთგვარი „ადრენალინიც“ იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც თვალშისაცემი ნაწილი ისლამს მიელტვის...

ჩვენთან კი ზოგჯერ პირიქით ხდება — საქართველოში არაბთა ბატონობისას თბილისში მოხვედრილმა მუსლიმმა ჭაბუკმა აბომ თავისი სარწმუნოება დააგდო და მართლმადიდებლობა, არათუ მიიღო, ქრისტეს რჯულისთვის თავიც გაწირა — მოწამებრივად აღესრულა.

აი, ეს მიზიდულობის ძალა და ხიბლი აქვს ქრისტეს კვართის მფლობელ მისტიკურ მიწას და ნაირნაირი სოროსული ნაგავის არამკითხე ექსპორტიორებსაც ნუ გაუკვირდებათ, თუ საქართველოში მათი გლობალისტური ცნობიერებისთვის მიუწვდომელ, ამგვარ პარადოქსებსაც წააწყდებიან. მეტეხის ხიდზე ჯალალედინისგან მოწყვეტილი ასი ათასი ქართველის ამბავიც გაისიგრძეგანონ, წმინდა ხატებზე ფეხის დაბიჯებას, მოწამებრივი სიკვდილი რომ ამჯობინეს და ვგონებ, ქართულ ფენომენზეც ცოტა სხვაგვარად დაფიქრდებიან.

იმ დღეებში თურმე წითლად დიოდა მდინარე მტკვარი...

**მირონ ხერგიანი**

**კოლონიზატორებმა ამერიკის კონტინენტზე მილიონობით მკვიდრი მოსახლეობა უმოწყალოდ გაჟლიტეს, ნაწილსაც რეზერვაციებში ამოჰხადეს სული — ინდიელთა იმ მეტად თავისებური, დედაბუნების წიაღიდან ამოზრდილი მაღალი ცივილიზაციიდან, ევროპელმა დამპყრობლებმა აღარაფერი დატოვეს, მაგრამ ეს ყველაფერი, როგორც იტყვიან, ხახვივით შერჩათ. დღეს მსოფლიოში თითქმის იგივე ხდება, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, უფრო ცივილიზებულად და უსისხლოდ: თოფსა და ზარბაზანს ამჯერად უმძლავრესი ფსიქოტრონული იარაღი ჩაენაცვლა. ბოლო ჟამია და სატანა მძლავრობს; მისმა ემისრებმა ჩვენი ქვეყანა საცდელ ლაბორატორიად აქციეს და «ქონდაქარებადაც» ისევ მოღალატე, სკალპელმომარჯვებული ქართველები შეარჩიეს**

საკითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ჩვენი მევენახე — წვრილი იყოს, გინდ მსხვილი — ვალდებულია, იმეცადინოს სხვა და სხვა დარგში: ვენახსაც უნდა უვლიდეს, ღვინოსაც უნდა აყენებდეს და პატრონობდეს, ვაჭრობასაც უნდა აწარმოებდეს, ყველაფერს უფულოდ, უცოდნოთ, მამაპაპურად, შემთხვევისა დაგვარად“.

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ერთობაშია საიდუმლო ამ ბედნიერებისა»

**მკითხველმა იცის, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ დარჩენილა არც ერთი სფერო, არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლებზეც თავისი თვალსაზრისი არ გამოეთქვა ნიკო ნიკოლაძეს. რამდენადაც მეღვინეობის განვითარება საქართველოში დღესაც აქტუალური თემაა, შემოგთავაზებთ 1921 წელს „სახალხო კალენდარში“ დაბეჭდილ წერილს „ჩვენი მეღვინეობის ნაკლი და მომავალი“, რომელშიც ნიკო ნიკოლაძე საუბრობს იმ გზებსა და საშუალებებზე, რომლებიც მევენახეობას საქართველოში სოფლის მეურნეობის წარმატებულ დარგად აქცევს.**

ნივთიერი მტკიცებულებები და არგუმენტები, რომ საქართველო მართლაც ღვინის ქვეყანაა, საკმაოდ ბევრია: ხრამის დიდ გორაზე ნაპოვნი ნეოლითური ხანის ქვევრის ტიპის ჭურჭელი, კულტურული ვაზის ნამარხი წიპწები, თიხის საღვინე ჭურჭლის ფრაგმენტებში დალექილი ღვინის მჟავა და კულტურული ვაზის მტვერი, ველურ და აბორიგენულ ჯიშთა მრავალფეროვნება არა მარტო წარსულში, ღვინის უნიკალური ჭურჭელი — ქვევრი და ქვევრის ღვინის დაყენების დღემდე შემორჩენილი უძველესი ტექნოლოგიები, მევენახ-მეღვინეობასთან დაკავშირებული მრავალი სიტყვა ქართულ ენაში, მათ შორის — „ღვინო“, რომელიც ევროპის ხალხთა ენაში ქართული ენიდან გავრცელდა.

უკვე არავინ დავობს იმაზე, რომ საქართველოში ადამიანისა და ვაზის ურთიერთობა VI ათასწლეულიდან — ნეოლითის ხანიდან დაიწყო. კულტურული ვაზისა და ღვინის უძველესი კვალი აღმოჩენილია ნეოლოთური ხანის ნამოსახლარებში (შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, ხრამის დიდი გორა, არუხლოს გორა, ხიზანაანთ გორა და სხვ.).

საქართველოში ღვინის არსებობაზე წერილობითი ცნობები დაცულია ბერძნულ, სპარსულ და ქართულ წყაროებში. ქსენოფონტე (ძვ.წ. V ს.) წერს, რომ კოლხების ღვინო „სურნელოვანი და საამო“ იყო. სტრაბონის (ძვ.წ. I ს.) ცნობით, იბერიაში ყურძენი ფართოდ გავრცელებული ყოფილა და ვაზის ისეთი მოსავალი მოდიოდა, მოსახლეობას მისი სრულად მოხმარება არ შეეძლო. პროკოფი კესარიელი (VI) გვიამბობს: „მესხები შრომის მოყვარენი არიან, მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყანაშიო.

რაც შეეხება ქართული ღვინის შემდგომ განვითარებას, XIX საუკუნე ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ქართული ღვინის ისტორიაში — ალექსანდრე ჭავჭავაძის მონდომებით ქართული ღვინო დაუახლოვდა ევროპულ ღვინოს. ამავე პერიოდში სოფელ რუისპირში გერმანელმა ლენცმა შექმნა ღვინის მარანი და გააშენა ვაზის ქართული და უცხოური ჯიშები. როდესაც თბილისის გარეუბნებში გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ, მათ ქვეყანაში ვაზის უცხოური ჯიშები შემოიტანეს.

ზოგიერთი ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, რომლებიც დღეს დიდი პოპულარობით სარგებლობს, ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მზადდებოდა ჭავჭავაძის მამულში. 90-იანი წლების დასაწყისში უკვე რეგულარულად გამოდიოდა ღვინოები: „წინანდალი“, „მუკუზანი“, „ნაფარეული“ და „თელიანი“. XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართული ღვინო ივანე მუხრან-ბატონის მარნიდან უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთ გადიოდა.

XIX საუკუნის შუა წლებიდან ქართული ვაზის ჯიშების მეცნიერული შესწავლა დაიწყო. 70-იან წლებში პარიზსა და ლონდონში გამოცემულ აღწერებში პირველად გამოჩნდა ქართული ვაზის ჯიშების დახასიათება.

საქართველომ ძალზე მძიმედ გადაიტანა ნაცრისა და ჭრაქის დაავადებები, რომლებიც XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან გავრცელდა და დააზარალა დასავლეთ საქართველოს ვენახების უდიდესი ნაწილი, მას თან დაერთო ფილოქსერაც, რასაც მოჰყვა ფილოქსერაგამძლე ამერიკული ჯიშის — იზაბელას გაშენება, რომელმაც სამეგრელოში მაღლარი ვენახების 75% დაიკავა. მეღვინეობა ძირითადად რაოდენობაზე გახდა ორიენტირებული და ასეთმა დამოკიდებულებამ წლების მანძილზე ძალიან შეცვალა ქართული ღვინო.

უკვე XX საუკუნის დასასრულიდან ქართული ღვინო გამუდმებით ვითარდება, ჩამოყალიბდა ასევე ბიო და ბიოდინამიკური მეურნეობაც. ქართველმა მეღვინეებმა შეაღწიეს ევროპის, ამერიკისა და აზიის ბაზრებზე და საკმაოდ წარმატებულადაც.

პრობლემების მიუხედავად, დღეს ქართულ ღვინოს აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი და წინაპირობა, რომ დაიკავოს ერთ-ერთი საპატიო ადგილი მსოფლიო ღვინის ბაზარზე. ამას, პირველ რიგში, განაპირობებს ადგილობრივი უნიკალური ჯიშები, მეორე ის, რომ საქართველოს ისტორიული ფაქტების საფუძველზე დაუმკვიდრდა ღვინის სამშობლოს ტიტული, რაც ქართულ ღვინოს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის უცხოელისთვის; და მესამე — ეს არის ტრადიციული მეღვინეობა, რაც ქვევრში ღვინის დადუღებასა და დავარგებას გულისხმობს. ეს ტექნოლოგია უნიკალურია და არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე და რადგან **„საქართველო იმ ბედნიერ მხარეების რიცხვშია, რომელთ ბუნება ვენახის ზრდას და ნაყოფიერებას ხელს უწყობს“,** ქართველი მეღვინეები ვარაუდობენ, რომ ქართული ღვინო თანამედროვე ღვინის სამყაროში საპატიო ადგილს დაიკავებს.

...თუ, რა თქმა უნდა, ჩვენს **მევენახეს, „რომელსაც ჩინებული, შეუდარებელი ყურძენი მოჰყავს, ჩამოაცილებთ ყველა სხვა დარდს, რომლის მოგერიების იარაღი მას აკლია“...**

**„ერთობაშია საიდუმლო ამ ბედნიერებისაო“,** — ამბობს ნიკო ნიკოლაძე.

## ნიკო ნიკოლაძე
## ჩვენი მეღვინეობის ნაკლი და მომავალი



უძველესი მეღვინეობის კერა საქართველოში, აღმოჩენა მარნეულში

**«ამ დროინდელ ევროპიულ ღვინოს და სარდაფს შეეფერება მარტო დიდი მევენახეობა, რომელიც მარტო დიდ მიწათმფლობელობას მისდევს და კაპიტალისტურ მრეწველობას შეადგენს»**

ღვინო ძვირფას საქონლათ მიტომ გახდა, რომ მისი მომცემი ვაზი მარტო იშვიათ ადგილზე ხარობს, ყურძნის ჭამა კი და ღვინის სმა მთელ დედამიწის პირზეა გავრცელებული. **საქართველო იმ ბედნიერ მხარეების რიცხვშია, რომელთ ბუნება ვენახის ზრდას და ნაყოფიერებას ხელს უწყობს.** აქ ვაზის შენება ნოეს აქეთ-და ალბათ ნოემდინაც — ხალხის ხელობათაა ნაქცევი. ათასი მოდგმის მეოხებამ გააჩინა ჩვენში ვაზის წარჩინებული ჯიშები და საგანგებო ღირსების ღვინოები შეჰქმნა, რომელთა ქება და სახელი ყოველგან მოფენილია. მაგრამ, **თუმც იმ იშვიათ ქვეყნებს შორის, სადაც ვაზი ხარობს, საქართველოს საუკეთესო მდებარეობა და ბუნება რგებია, თუმც ქართველებს მევენახეობა სხვებზე უფრო ადრე დაუწყიათ, და წინაპრული გამოცდილება სხვებზე მეტი მიუძღვისთ, ჩვენი მეღვინეობა, ყველა სხვა ხალხისას ჩამორჩა. ასე გასინჯეთ იმისთანაებისასაც, ვისაც ჰავა, ნიადაგი და ერის წარსული სრულიადაც არ შეფეროდა ამ ხელობას.** მთელ საქართველოში ომის წინ ორმოცი ათასი დესიატინა ვენახი ძლივს მოიძეოდა. სამხრეთ რუსეთში კი, სადაც ზამთრობით მიწა ერთი ადლის სიღრმეზე იყინება და ზაფხულში ვაზს არავითარი მთის ქედი არ იცავს მყინვარე ოკეანის სუსხიდან, ნიავ დროს მშვენიერათ მუშავდებოდა 89,979 დეს. ვენახი! პაწია ბოლგირიასაც ჩვენზე მეტი ვენახი გააჩნდა, სახელდობრ 54,928 დესიატინა, რუმინიას — 78,589 დეს. და უნგრეთს — 320,355. ყველა ამ ქვეყნებში — როგორც რუსეთში — ვენახის შენება და ღვინის ყენება ბევრად უფრო ძნელი და სახიფათოა, ვინემ ჩვენში, მარტო მით კი არა, რომ ჩვენ დაცული ვართ ჩრდილოეთის ქარიშხალიდამ: ჩვენში მზე უფრო მხურვალეა, ვაზს უფრო მეტი მზიანი დღე ერგება წელიწადში და სხვ. ეს ყველაფერი, მოგეხსენებათ ღვინოს ღირსებასა და სიმაგრეს უმატებს. მიუხედავათ ყველა ამ უპირატესობისა, სხვა ქვეყნებში, საცა ვენახი ნაძალადევია, მაშინ როცა ჩვენში ვაზი ველურათაც იზრდება, ვენახების რიცხვი, სივრცე და მოსავალი სწრაფათ მატულობს, ისე, რომ სულ მოკლე ხანში მათი რაოდენობა ზოგან ერთი ორად იქცა, ზოგან ქეც გასამკეცდა, ჩვენში კი მათ ზრდა რა ხანია აღარ ეტყობა.

ამ სამწუხარო განსხვავების მიზეზი განსაკუთრებით ისაა, რომ უცხოეთში ღვინო უფრო ადვილათ იგზავნება და საღდება, ვინემ ჩვენში. იქ ღვინის ყენება, მოვლა, შენახვა და ყიდვა ამ საუკუნეში შესამჩნევად გაუმჯობესდა. ღვინო გახდა უცვლელ საქონლათ, რომლის გადაზიდ-გადმოზიდვა უნაკლულოდ სწარმოებს ზამთარ-ზაფხულში, როგორც გრილ, ისე ცხელ ამინდში და რომელიც წლობით ინახება ყოველგვარ გარემოებაში. ამ სიმტკიცეს და თვისებას ღვინო იძენს მარტო მით, რომ მას, გამოწურვის შემდეგ არა ნაკლებ სამი წლის განმავლობისა, ინახავენ ისეთ სარდაფში, სადაც ნიადაგ უცვლელი ტემპერატურა დგას დღე და ღამ, ზამთარ ზაფხულს, არა უმეტეს თორმეტის და არა ნაკლებ ათი გრადუსის სითბოსი. ამგვარ სარდაფში ღვინოს სუფთად ინახავენ დიდრონ ჭურჭლებში (რეზერვუარებში, ან ბოჩკებში), თავის დროზე ერთიდან მეორეში გადასხმით თხლეს გამოსაცვლელათ. უშველებელი ჭურჭელი ანიჭებს ღვინოს ტიპიურ ერთფეროვნებას და ერ- ▶



**„როგორც მევენახეს, ჩვენს კაცს ტოლი არა ყავს! მას ჩინებული, შეუდარებელი ყურძენი მოჰყავს. ჩამოაცილეთ მას ყველა სხვა დარდი, რომლის მოგერიების იარაღი მას აკლია, მოაწყვეთ რიგიანი ყურძნის ტეხა და წნეხვა, ღვინის ყენება და მოვლა, მისი ზიდვა და ყიდვა, და ნახავთ რომ ამნაირი შრომის განაწილება — წყარო ყოველი წარმოებისა — ისეთივე ფრთებს შეასხამს ჩვენს მევენახეობას, როგორიც დღეს იტალიელ, ფრანგულ და ესპანურ მეღვინეობას ამშვენებენ“.**

საქითხავი აი ეს არის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სრულიად ადვილათ შეიძლება ჩვენს წვრილ მიწად-მფლობელობის ქვეყანაში გლეხურ მევენახეობასაც მივცეთ ხელში ის ნაცადი იარაღი, რომელმაც გამარჯვება და ბედნიერება მიანიჭა ევროპიულ მეღვინეობას — სარდაფი, ღვინის შემნახავი მევენახის უზარალოთ და სასარგებლოთ





◀ თგემოვნებას, რომელიც მუდმივ მყიდველს უმრავლებს და გასავალს უფართოებს. რაგინდ დიდი იყოს ჩვენებური ჭური, ის ამნაირი რეზერვუარის და სარდაფის მაგივრობას ვერ იქმს, რადგან ჭური მიწაში უნდა იქნეს ჩაფლული და ტემპერატურა სხვანაირია. განსხვავება სითბოისა ყელსა და ძირს შუა მით უმეტესია, რაც დიდია ჭური; მცირეოდენ განსხვავებასაც ტემპერეტურისას ის შედეგი მოსდევს, რომ ღვინო ჭურში ნიადაგ მოძრაობს, ტრიალობს, ადის და ჩადის, რაც მის მწიფებას ხელს უშლის და ხან კიდეც ჭანგვას აჩქარებს.

ისეთი სარდაფის კეთება, რომელშიაც ტემპერატურა მუდამ ერთი და იგივეა, აუარებელ ხარჯს თხოულობს და ისე ძვირათ ჯდება, რომ მარტო ძლიერ შემძლე მევენახეს, დიდძალი ღვინის პატრონს ხელს აძლევს მისი შეძენა და პატრონობა. სამი წლის ვადით დიდ-ძალი ღვინის გაუსაღებლათ შენახვა მარტო მილიონერს შეუძლია, და არა საშვალ, მით ნაკლებ წვრილფეხ მევენახეს. თანამედროვე ევროპიული სარდაფი იმოდენა ფული ჯდება, არა თუ აშენების და მოწყობის დროს, თვით ყოველწლიურათაც, მის შესანახავათ და მოსავლელათ, რომ თუ შიგ ასი-ათას ვედროებით არ ინახება ღვინო, მისი პატრონი ზარალის მეტს ვერას ნახავს. იმხელა ქონება ჩვენში აბა ვისა აქვს, რომ სამასი ათასიოდ ვედრო ღვინო სამი წლით ინახოს ძვირფას სარდაფში, მამასისხლის ფასად? **ამ დროინდელ ევროპიულ ღვინოს და სარდაფს შეეფერება მარტო დიდი მევენახეობა, რომელიც მარტო დიდ მიწათმფლობელობას მისდევს და კაპიტალისტურ მრეწველობას შეადგენს.**

**ჩვენს საქართველოში, სადაც არც ვრცელი მიწათმფლობელობა არსებობს, არც მსხვილი მევენახეობა, არც დიდი კაპიტალი მოიძიება, სრულიად უიმედოთ ჩაითვლება მეღვინეობის ევროპიულ დონემდე აწევა.** საუფლისწულო მამულმა მოახერხა ეს ცდა, რადგანაც მას ამისთვის საკმაო ვენახებიც გააჩნდა და თანხის შოვნაც შეეძლო, ყველამ იცის, რამხელა გასავალი მოემატა ამით საუფლისწულო ღვინოებს და რამოდენათ სახეირო გამოდგა ეს დასაწყისი, მისი მიბაძვა ჯერ ჩვენში არავის უცდია, გარდა ორიოდე პაროდიისა, რომელნიც 170 მხედველობაში მისაღებიც არ არიან. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქო მარტო მეფეებს და მილიონერებს შეეძლოთ მეღვინეობის წესიერათ მოწყობა, ნუ დავივიწყებთ, რომ ერი მეფეებზე და კაპიტალზე ბევრათ უფრო ძლიერია, როცა მას ერთობა და თაოსნობა აბადია. რაც უწინ მარტო ლაფიტების და როტშილდების მონოპოლიას შეადგენდა, დღეს ევროპაში — და თვით აფრიკაშიც — სააქციო საზოგადოების და კოოპერატივის ხელობათ გადაიქცა. **სრულიად ადვილათ შეიძლება ჩვენს წვრილ მიწად-მფლობელობის ქვეყანაში გლეხურ მევენახეობასაც მივცეთ ხელში ის ნაცადი იარაღი, რომელმაც გამარჯვება და ბედნიერება მიანიჭა ევროპიულ მეღვინეობას — სარდაფი, ღვინის შემნახავი მევენახის უზარალოთ და სასარგებლოთ.** ამისთვის საკმაოა ისეთი საზოგადოება ან კოოპერატივი დავაარსოთ, რომელიც საშუალებას შეკრებს აიშენოს და მორთოს ამ დროინდელი სარდაფი ისეთ მოდიდო ქალაქში, სადაც შესაძლოა კლდეში გვირაბის შეყვანა. იქ ხარჯი ბევრათ ნაკლები იქნება, რადგანაც მონატეხი ქვა შენობებისთვის გასაღდება. თუ სარდაფი რიგიანათ გაკეთდა და მომარაგდა, სარდაფის პატრონი ადვილათ იშოვის ბანკს, რომელიც თანხას ანდობს და სესხს გასცემს სარდაფში შეტანილ ღვინოზე, იმოდენს, რაც ტკბილი ან მაჭარი ღირს დაყენების დროს იმ მაზრაში. მევენახე თითქო ყიდდეს თავის ტკბილს, ან ყურძენს, ბაზრის ფასებში. სარდაფის პატრონი ღვინოს უვლის სამი წლის განმავლობაში თანამედროვე ტექნიკის და მეცნიერებისამებრ, თავის ხარჯს და ამაგს ღვინოსათვის, აგრეთვე, როგორც მასზე გაცემულ სესხის სარგებელს. სამი წლის შემდეგ სარდაფიდამ გამოდის ტკბილი კი არა, არამედ დამწიფებული ღვინო, რომლის ღირებულება სამჯერ-ოთხჯერ მაინც აღემატება გაცემულ სესხს. სარდაფის პატრონი, ამხანაგობა, ან მისი მოზიარე ბანკი, ან სხვა რომელიმე სავაჭრო თუ სატრანსპორტო საზოგადოება, ასაღებს ამ მშვენიერ ძველ ღვინოს ისეთ ქვეყნებში სადაც მისი ფასი იციან. ეს ფასი ყველას ისტუმრებს: ვაჭარს, ტრანსპორტს, მომვლელს, მსესხებელს და მევენახესაც, რომელსაც შესაფერი წილი მოგებისა ეძლევა ზედმეტად უკვე წინეთ მიღებული სესხისა. ღვინის ღირებულების მომატება, შედეგი მეცნიერულად ღვინის შენახვისა, სარგებლობას აძლევს ამნაირათ მთელ რიგს წარმოებისას, მრეწველობის რამდენიმე დარგს, ესე იგი ამდიდრებს და აძლიერებს მთელ მხარეს.

**მარტო სარდაფში შენახულ ღვინოს შეუძლია აიტანოს შორი მგზავრობა. ჩვენებური ისე არსად გაიგზავნება, თუ სპირტით არ მოვნათლეთ. სპირტ-ნარევი ღვინო მარტო ჩვენშივე და რუსეთში საღდებოდა.** ომის შემდეგ რუსეთი დიდ ბაზარს მისთვის ველარ წარმოადგენს: იმ ჯურის ხალხი, ვისაც იქ ესმოდა „ყურძნის წვენის გემოვნება“, ან გაწყდა, ან გალატაკდა, დაგვრჩა შინაურობის გარდა, მარტო ევროპის ბაზარი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც თვითონ ღვინო არ მოჰყავთ, სახელდობრ გერმანია, დანია, შვეცია, ნორვეგია, ამერიკა და სხვ. იქ ომამდის და ომის განმავლობაში მეტათ გავრცელებული იყო ფრანგულ ღვინოების ხმარება. აი ჩვენი მეღვინეობის ასპარეზი მომავლისათვის. აქ კი მარტო ისეთი ღვინო გავა, რომელიც სარდაფში ევროპიულათ დაყენებული იქნება. ეს მეტად დიდი და უხვი ბაზარია.

დღეს ჩვენი მევენახე — წვრილი იყოს, გინდ მსხვილი — ვალდებულია, იმეცადინოს სხვა და სხვა დარგში: ვენახსაც უნდა უვლიდეს, ღვინოსაც უნდა აყენებდეს და პატრონობდეს, ვაჭრობასაც უნდა აწარმოებდეს, ყველაფერს უფულოდ, უცოდნოთ, მამაპაპურად, შემთხვევისა დაგვარად.

ევროპიული მეღვინეობა და ამხანაგური სარდაფი მას ანთავისუფლებს ყოველი გასაჭირიდამ და სტოვებს მარტო მევენახეთ, რაც მის ძალ-ღონეს, გამოცდილებას, მოდგმას და ჩვეულებას შეეფერება. **როგორც მევენახეს, ჩვენს კაცს ტოლი არა ყავს! მას ჩინებული, შეუდარებელი ყურძენი მოჰყავს. ჩამოაცილეთ მას ყველა სხვა დარდი, რომლის მოგერიების იარაღი მას აკლია, მოაწყვეთ რიგიანი ყურძნის ტეხა და წნეხვა, ღვინის ყენება და მოვლა. მისი ზიდვა და ყიდვა, და ნახავთ რომ ამნაირი შრომის განაწილება — წყარო ყოველი წარმოებისა — ისეთივე ფრთებს შეასხამს ჩვენს მევენახეობას, როგორიც დღეს იტალიელ, ფრანგულ და ესპანურ მეღვინეობას ამშვენებენ. აი, მაშინ დაიწყებს ჩვენშიაც ზრდას ვენახების რაოდენობა და სივრცე, ამიტომ რომ მევენახეს ბედი გაადვილდება და გაუმჯობესდება და ვაზის მოვლა ჩვენში უფრო მომცემი და მომგები გახდება, ვინემ ყოველი სხვა დარგი მიწათმოქმედებისა და მრეწველობისა. ერთობაშია საიდუმლო ამ ბედნიერებისა.**




ტურისტები სიამოვნებით უსინჯავენ გემოს ქართულ ღვინოს

**«სპირტ-ნარევი ღვინო მარტო ჩვენშივე და რუსეთში საღდებოდა. ომის შემდეგ რუსეთი დიდ ბაზარს მისთვის ველარ წარმოადგენს: იმ ჯურის ხალხი, ვისაც იქ ესმოდა «ყურძნის წვენის გემოვნება», ან გაწყდა, ან გალატაკდა, დაგვრჩა შინაურობის გარდა, მარტო ევროპის ბაზარი, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთაც თვითონ ღვინო არ მოჰყავთ, სახელდობრ გერმანია, დანია, შვეცია, ნორვეგია, ამერიკა და სხვ. იქ ომამდის და ომის განმავლობაში მეტათ გავრცელებული იყო ფრანგულ ღვინოების ხმარება. აი ჩვენი მეღვინეობის ასპარეზი მომავლისათვის. აქ კი მარტო ისეთი ღვინო გავა, რომელიც სარდაფში ევროპიულათ დაყენებული იქნება. ეს მეტად დიდი და უხვი ბაზარია»**

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსიქოლოგებმა იციან: რაც უფრო ძლიერია ტრავმა, მით ნაკლებად ვლინდება ის — ბავშვი თითქოს „ყინავს“ მისთვის მომაკვდინებლად სახიფათო განცდებს, მაგრამ თვით ეს განცდა არ ქრება და „გაისვრის“ შემდგომ — ნებისმიერ ასაკსა და ნებისმიერ მომენტში, მაშინ, როცა მშობლებს ყველაზე ნაკლებად ემახსოვრებათ საბავშვო ბაღში ჩატარებული გასინჯვა. და კიდევ — ბავშვში იწყება ცნობიერების სექსუალიზაცია და ნაადრევი ფიქსაცია ინტიმურ სფეროზე, რაც შემდგომ იწვევს ნევროზების, შიშების, პერვერსიის განვითარებას, მას უყალიბდება მავნე ჩვევები და დეფორმაციას განიცდის მორალურ-ფასეულობითი საფუძვლები.**

# როგორ აპირებენ ჩვენი ბავშვების გახრწნას და ქვეყნის გადაგვარებას

## ტელეარხ «პალიტრანიუსზე» უკვე გადის ბავშვებისთვის მაბეზღარობის შემსწავლელი სარეკლამო კლიპები ბავშვთა უფლებების სწავლების ნიღბით

**დასასრული. დასაწყისი იხ. №22, 2019 წ.**

** აი ჩამონათვალი მოწინააღმდეგის იარაღების ძირითადი სახეობებისა, მათი გამოყენების მიზნები და შედეგები, იმ შემთხვევაში, თუ უსიტყვოდ დავთანხმდებით ჩვენს განადგურებას.**

### 1. იუვენალური იუსტიცია

**ოფიციალური ვერსია**

ბავშვების დაცვა ძალადობისგან. კარგი პირობების შექმნა იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც მშობლები არ ჰყავთ.

**ჭეშმარიტი მიზნები**

განადგურება ოჯახისა, როგორც მოსახლეობის აღწარმოების პირობისა, როგორც უნიკალური სოციალური ინსტიტუტისა, რომლის სპეციფიკური ფუნქცია არის ბავშვების გაჩენა, თაობების და, საერთო ჯამში, მოსახლეობის აღწარმოება. ოჯახის, როგორც ჯანმრთელი საზოგადოების საფუძვლის დანგრევა.

**შედეგი**

ოჯახებისთვის ბავშვების ჩამორთმევა მათი ჯანმრთელობისთვის სახიფათო პირობების არსებობის საბაბით. მშობლების უფლებების შელახვა და მშობლების ფაქტობრივი დისკრედიტაცია ბავშვების თვალში. ბავშვების გამოგონილი უფლებების იურიდიულად გამყარება მშობლების უფლებების მიმართ. ბავშვებით ვაჭრობა. მოსახლეობის შემცირება.

### 2. ჰომოსექსუალიზმისა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების ლეგალიზაცია

**ოფიციალური ვერსია**

ტოლერანტული საზოგადოების შექმნა. სოციალური უმცირესობის მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

**ჭეშმარიტი მიზნები**

ტრადიციული ოჯახისა და ოჯახური ფასეულობების განადგურება. ოჯახის, როგორც პატარა ეკლესიის მოსპობა. ტრადიციული რელიგიური კონფესიების, როგორც საზოგადოების ზნეობრივი ბურჯების, განადგურება.

**შედეგი**

შექმნა ერთიანი ეკუმენისტური ეკლესიისა, რომელიც ადამიანს წააქეზებს მომაკვდინებელი ცოდვების ჩადენისკენ. ადამიანების სქესობრივი იდენტიფიკაციის წაშლა. პლანეტის მოსახლეობის შემცირება. შექმნა უსულგულო მონების საზოგადოებისა, რომელიც მზად იქნება, ემსახუროს თავის ბატონებს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესრულების შესაძლებლობების სანაცვლოდ.

### 3. ბავშვების სექსუალური განათლება

**ოფიციალური ვერსია**

ბავშვების განათლება მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

**ჭეშმარიტი მიზნები**

ბავშვებისა და მოზარდების გახრწნა უსაფრთხო სექსის თავსმოხვეული პრაქტიკის მეშვეობით. ადამიანების რეპროდუქტიულ ჯანმრთელობაზე კონტროლის დაყარება. ქალების სტერილიზაცია. აბორტები. უნაყოფობა. პორნოინდუსტრიის შექმნა-განვითარება. პროსტიტუცია. ჰომოსექსუალიზმი. პედოფილია.

**შედეგი**

ზნეობის სრული დეგრადაცია. მოსახლეობის შემცირება.

### 4. იძულებითი ვაქცინაცია

**ოფიციალური ვერსია**

ადამიანების გაკურნება მომაკვდინებელი დაავადებების ეპიდემიისგან.

**ჭეშმარიტი მიზნები**

წამლების გაყიდვის ინდუსტრიის შექმნა. ადამიანების გასაკონტროლებელი სისტემის შექმნა სამედიცინო დაწესებულებების მეშვეობით. პლანეტის „ზედმეტი“ მოსახლეობის განადგურება. ტერიტორიების გასუფთავება, რათა „ელიტამ“ მშვიდად იცხოვროს.

**დასახული შედეგი**

დედამიწის მოსახლეობის შემცირება 1 მლრდ-მდე.

### 5. განათლების რეფორმა

**ოფიციალური ვერსია**

განათლების სისტემის განახლება და გაუმჯობესება.

**ჭეშმარიტი მიზნები**

არსებული განათლების სისტემის შეცვლა სუსტი დასავლური სტანდარტების მიხედვით. არა მეცნიერი-თანამშრომლებისა ან კვალიფიციური მუშაკების, არამედ კარგად განსწავლული მუშების აღზრდა. სპეციალისტების განათლება უცხოეთში მუშაობის მიზნით.

**შედეგი**

ქვეყნის გადაქცევა დასავლეთის არა მხოლოდ ნედლეულის, არამედ ინტელექტუალურ დანამატადაც.

### 6. უნივერსალური ელექტრონული ბარათი

**ოფიციალური ვერსია**

ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება თავიანთ უფლებებზე, აგრეთვე, უნაღდო ანგარიშსწორების განვითარებისთვის ხელის შეწყობა.

**ჭეშმარიტი მიზნები**

ეროვნული სახელმწიფოების თანდათანობითი დემონტაჟი და სახელისუფლო ორგანოების უფლებამოსილებების გადაცემა ზენაციონალური კომერციული სტრუქტურებისთვის, რომლებიც ჩვენი უფლებების დაცვის ნაცვლად გარკვეული საფასურის სანაცვლოდ მოგვემსახურებიან ელექტრონული ფორმით. ადამიანების პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად და სულიერად დამონება. ადამიანების გაკონტროლების მექანიზმის შექმნა ერთი მმართველისთვის — სატანისთვის.

**შედეგი**

ადამიანის ტოტალური თვალთვალი მისი ნებართვის გარეშე და მისი თავისუფლების შეზღუდვა. ადამიანის დამოკიდებულება მმართველი სისტემის მისთვის უცნობ პირებზე მომზადება ადამიანის ორგანიზმში ელექტრონული „ჩიპებით“ (მართების) ტოტალურად ჩასადგმელად.



### გინეკოლოგიური გასინჯვა

ჩვენი ბავშვების გასახრწნელად შემუშავებული კიდევ ერთი პროექტია გინეკოლოგიური შემოწმება. საგანმანათლებლო დაწესებულებაში „დისპანზერიზაციის“ საბაბით დაიწყება „გამსინჯველთა“ ექსპანსია: სკოლები და საბავშვო ბაღები ჩაერთვებიან გინეკოლოგიურ კამპანიაში. ის ექიმები, რომლებსაც ფულის გამო სინდისი არ დაუკარგავთ, პატიოსნად ამბობენ, რომ ასეთი გასინჯვით არაფრის დადგენა არ შეიძლება, მაგრამ ლობისტები შეუპოვრად ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ 3 წლის გოგონების შეხებით, უკაცრავად, გასინჯვით, შეიძლება ქვეყანაში ქალური დაავადებების დამარცხება; მეტიც, გეგმავენ ანდროპოლოგიურ გასინჯვებსაც (ბიჭების რეპროდუქციული ორგანოს შეხების გასინჯვა).

სინამდვილეში ასეთი გასინჯვების მიზანი არის ბავშვის ინტიმურ ზონაში უცხო ადამიანის შეღწევაზე ტაბუს მსხვრევა, სირცხვილის განადგურება. სირცხვილი — ეს არის ერის თავდაცვის ბირთვი და მისი დანგრევა ცვლის ზნეობრივ საფუძვლებსა და ქცევის სტრატეგიას. ეს არის დემოგრაფიული კორექციის სტრატეგია და დასავლური გრანტებით შემოტანილ გახრწნის ყველა პროგრამაში პირველი გაკვეთილი ყოველთვის ეძღვნება სირცხვილის მსხვრევას. ასეთი გასინჯვების შესახებ მშობლები ან, საერთოდ, არ არიან ინფორმირებულები, ან — ნაწილობრივ („ხელი მოაწერეთ, რომ თანახმა ხართ ბავშვის დისპანზერიზაციაზე“), მაგრამ ისინი არ უნდა მოტყუვდნენ: გინეკოლოგის მიერ გასინჯულმა ბავშვმა შეიძლება არ გამოავლინოს ფსიქიკური ტრავმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ტრავმირებული არ არის. ფსიქოლოგებმა იციან: **რაც უფრო ძლიერია ტრავმა, მით ნაკლებად ვლინდება ის — ბავშვი თითქოს „ყინავს“ მისთვის მომაკვდინებლად სახიფათო განცდებს, მაგრამ თვით ეს განცდა არ ქრება და „გაისვრის“ შემდგომ — ნებისმიერ ასაკსა და ნებისმიერ მომენტში, მაშინ, როცა მშობლებს ყველაზე ნაკლებად ემახსოვრებათ საბავშვო ბაღში ჩატარებული გასინჯვა. და კიდევ — ბავშვში იწყება ცნობიერების სექსუალიზაცია და ნაადრევი ფიქსაცია ინტიმურ სფეროზე, რაც შემდგომ იწვევს ნევროზების, შიშების, პერვერსიის განვითარებას, მას უყალიბდება მავნე ჩვევები და დეფორმაციას განიცდის მორალურ-ფასეულობითი საფუძვლები.**

ზოგიერთ ქვეყანაში მშობლები ძალიან შეწუხებულნი არიან უამრავი ანკეტისგან, რომლებიც, პერსონალური მონაცემების შესახებ კანონის დარღვევით თავს დაატყდა მათ შვილებს სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.

ერთ-ერთ ასეთ ანკეტაში, რომელიც საბავშვო ბაღში დაარიგეს, ე.წ. შესავალი კითხვების — „ბავშვის უფლებებზე რომელი საერთაშორისო დოკუმენტია თქვენთვის ცნობილი?“ „თვლით თუ არა საჭიროდ ქვეყანაში ბავშვის უფლებებისა და ღირსების დაცვას?“ „ბავშვის რომელი უფლებების დაცვა უნდა დაიკისროს სკოლამდელმა საგანმანათლებლო ორგანიზაციამ?“ — შემდეგ იჭრებიან საზოგადოებრივი მორალის სფეროში: „თქვენი ჯგუფის ბავშვების ოჯახებში ბავშვის რომელი უფლება ირღვევა ყველაზე ხშირად?“

ასე ვთქვათ, **ენატანიობა, მაბეზღარობა, როგორც თაობების დამაკავშირებელი ნაციონალური იდეა, სტანდარტია ბავშვების უფლებების მასობრივი სწავლებისა, რომელშიც მონაწილეობაზე უარის თქმა, როგორც მაგალითად, ესტონეთში, ბავშვის წართმევით ისჯება.**

**ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ჰომოსექსუალიზმისა და ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების ლეგალიზაციის ჭეშმარიტი მიზნებია: ტრადიციული ოჯახისა და ოჯახური ფასეულობების განადგურება; ოჯახის, როგორც პატარა ეკლესიის, მოსპობა; ტრადიციული რელიგიური კონფესიების, როგორც საზოგადოების ზნეობრივი ბურჯების, განადგურება. შედეგი: შექმნა ერთიანი ეკუმენისტური ეკლესიისა, რომელიც ადამიანს წააქეზებს მომაკვდინებელი ცოდვების ჩადენისკენ; ადამიანების სქესობრივი იდენტიფიკაციის წაშლა; პლანეტის მოსახლეობის შემცირება; შექმნა უსულგულო მონების საზოგადოებისა, რომელიც მზად იქნება, ემსახუროს თავის ბატონებს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესრულების შესაძლებლობების სანაცვლოდ**

**ენატანიობა, მაბეზღარობა, როგორც თაობების დამაკავშირებელი ნაციონალური იდეა, სტანდარტია ბავშვების უფლებების მასობრივი სწავლებისა, რომელშიც მონაწილეობაზე უარის თქმა, როგორც მაგალითად, ესტონეთში, ბავშვის წართმევით ისჯება**

**P.S.** **რამდენიმე დღის წინათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უცხოეთიდან დაფინანსებულ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ახალი „ეროვნული“ სასწავლო გეგმა დაამტკიცა და სისტემაში ლიბერალური რეფორმების მორიგი ტალღა დაიწყო. ამ ცვლილებით ხელისუფლებას გადამწყვეტ ფაზაში შეჰყავს დასავლეთიდან ნაკარნახევი „ლიბერალური“ გეგმა, რომელიც ახალგაზრდებში ტრადიციული ფასეულობებისადმი დამოკიდებულების ძირეულად შეცვლასა და მის ნაცვლად თანამედროვე დასავლური ფსევდოლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას გულისხმობს. ამ პროცესის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საგანი „მე და საზოგადოება“, სკოლებში მწვავე საზოგადოებრივი პროტესტისა და უკმაყოფილების მიუხედავად, მაინც დანერგა. როგორც ჩანს, „დემოკრატიული“ დასავლეთი, ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი რიგი ვალდებულებების კვალდაკვალ, ხელისუფლებისგან მეტს ელის და ახალგაზრდების ცნობიერებაში „ძირეული მენტალური რევოლუციის“ მოსახდენად უფრო აქტიურ მოქმედებებს ითხოვს.**

გაიგებენ კი ქართველები ოდესმე იმ განათლებული ქართველი მამულიშვილების ღაღადს, რომელთათვისაც სამშობლოა ყველაზე მთავარი?! ეჭვი მეპარება, რადგან ბრძენმა ილია მართალმა, საუკუნე-ნახევრის წინათ რომ დაახასიათა თავისი თანამემამულენი, ასეთი თვისებები დაინახა მათში: „მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე...“

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნარღვნა

დასასრული. დასაწყისი იხ. №22, 2019 წ.

**ამას წინათ ერთ-ერთ ბილწ სატელევიზიო არხზე ლგბტ თემის შაბაშის საღამო იყო. როგორ იმუქრებოდნენ ეს მახინჯები: ბევრნი ვართ და გეშინოდეთ ჩვენიო. ჩვენ ყველგან ვართ, ცხოვრების ყველა სფეროშიო, არავის არაფერს შეგარჩენთო.**

ხალხო, თუ წარღვნა ჯერ კიდევ არ დაწყებულა, გავხსნათ ფსიქიატრიული საავადმყოფოები, იქნებ თავიდან ავიცილოთ ის უბედურება, რომელიც კარს მოგვდგომია... ეეჰ, ძველი ჩვეულებისამებრ, კვლავ რაღაცის იმედი მაქვს, მაგრამ, მგონი, ტყუილად. იმის შემდეგ, რაც შუალედური არჩევნებისას ვიხილე ზუგდიდში, რა სახელმწიფოებრივი გონიერების არსებობაზე უნდა იფიქრო კაცმა. ძალიან კარგია, რომ **ჭინკების შემოსევამ სწორი გზიდან ვერ გადაახვევინა ზუგდიდელებს, მაგრამ ამ ოხერი ჭინკების პარპაში როგორ დაუშვა სახელმწიფომ? ჭინკების ტელევიზიის ე. წ. ჟურნალისტები ტერორისტებივით რომ იქცეოდნენ, რატომ ხელი არ შეუბრუნა ვინმემ?** კარგი, პოლიცია შეშინებულია, ძალოვანებს გვეძახიან და ხულიგანს ხელი თუ გადავუგრიხე, ძალის გადამეტებად ჩამითვლიან და დამსჯიანო, — ფიქრობს და გაოგნებული უყურებს „პოლიტიკოსთა“ „ბეზპრედელს“. ხალხს რაღა მოუვიდა? ზუგდიდელები ქებულმა კოლხურმა ზრდილობამ გააჩერათ თუ რაღაც უარესი დაემართათ, რომ თელავიდან თუ ჩოხატაურიდან ჩამოსული ჭკუისდამრიგებლები, რომლებიც ასწავლიდნენ, ვინ აერჩიათ თავიანთი ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელად, პანღურით არ გამოაძევეს იქიდან?! მერე ის ჰოლანდიელი ქალი დაგვემუქრა, იარაღს ავიღებ, კარდაკარ ჩამოვივლი და ლაშქარს დავძრავ თბილისისკენო. წარღვნა უკვე დაწყებულია, ალბათ, ან სადაცაა, დაიწყება!

ვავა ჩქიმ დო სკან ცოდა!

ქვეყანა, რომლის პარლამენტი კონსტიტუციაში ჩაწერს, ჩვენი მიზანი ნატოსა და ევროკავშირში შესვლაო, სახელმწიფო აღარ არის უკვე, ხოლო, თუ საკანონმდებლო აქტი მიიღო იმის თაობაზე, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაცააო, მაშინ ქვეყანა ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკურ საავადმყოფოს ემგვანება.

ქვეყანაში, სადაც ლაჩრები სამაგალითო ვაჟკაცებად მიაჩნიათ, მამათმავლები ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანები ჰგონიათ, ვინც ოცდაცამეტივე ქართული ასო იცის, გენიალურ მწერლად აღიარებენ, სულელის ტელეპრუტუნზე იცინიან (მართალია, ფონოგრამის ხელშეწყობით, მაგრამ მაინც), წერა-კითხვის მცირე მცოდნე, მაგრამ ენაწაგდებული კაცები და ქალები პოლიტიკოსებად და ექსპერტებად უზით, თუ ძალიან ოპტიმისტები არ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ წარღვნა უკვე დაწყებულია.

ამიტომაა, რომ აღარავის ესმის ორიოდე მართალი გაზეთისა თუ ტელეარხის განწირული ძახილი, თხოვნა თუ მუდარა: გამოფხიზლდი, გონიერო საქართველოვ, და დროზე გაატანე გამდინარე წყალს ყველა უწმინდურება და ბოროტება; დაიჯერე, რომ ჩვენ ბევრნი ვართ, მაგრამ გათითოკაცებულნი, უზნეო-უწმინდურები ცოტანი არიან, მაგრამ გრანტიყლაპიობით გაერთიანებულნი, და ბევრი ჩანან ამიტომ; გქონდეთ უფლის იმედი და არ გეშინოდეთ სატანისა. მაშინ ღმერთი თქვენთან იქნება.

გაიგებენ კი ქართველები ოდესმე იმ განათლებული ქართველი მამულიშვილების ღაღადს, რომელთათვისაც სამშობლოა ყველაზე მთავარი?! ეჭვი მეპარება, რადგან ბრძენმა ილია მართალმა, საუკუნენახევრის წინათ რომ დაახასიათა თავისი თანამემამულენი, ასეთი თვისებები დაინახა მათში: **„მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე...“** აბა, როგორ გინდა, გააგებინო ამნაირებს, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე. საქართველოს ერთმა ყოფილმა ძალიან უფროსმა, მსოფლიოს პოლიტიკური არქიტექტურის „დიდმა მაესტრომ“ აკი გვითხრა ერთხელ: თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარიაო.

ახლა ამ ჩვენი თანამემამულეების ერთ, მანქურთად ქცეულ ნაწილს დღენიადაგ ჩასჩიჩინებენ და აიძულებენ, გაიმეორონ: „რუსეთი აგრესორია, დასავლეთი ჩვენი მეგობარია და გადამრჩენელი“. ამიტომ გაჰკივიან ჩვენი ქვეყნის სახელით ეს ოხრები: „ჩვენი არჩევანი ევროპაა. ევროპაშია ჩვენი ხსნა! მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“.

მე ევროპის პოლიტიკურ ელიტას ისტორიის ანაბანას ვერ ვასწავლი, მაგრამ წიგნიერმა ქართველმა ხომ უნდა იცოდეს ეს? თუ, რა თქმა უნდა, მანქურთი არ არის ან მწვანე დოლარებზე არ აქვს გაყიდული სინდის-ნამუსი და, საერთოდ, ადამიანობა. ასე რომ, თანამემამულენო, დროულად მოვიცილოთ შხამიანი მკბენარები, ათასგვარი უზნეობის გამავრცელებელი ორგანიზაციები, ფაროსანასავით რომ მოსდებიან ჩვენს (და სხვათა) ეროვნულ სხეულს, თორემ წარღვნა კარს არის მომდგარი!

გადარჩენა რა გგონიათ, ჩვენ მიერ ჩვენივე სიბრიყვით მოყვანილო ლიდერებო? ის, რომ ქართულ კულტურასა და ადათ-წესებზე ხელის აღებას გვთხოვენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, რომლებსაც კოლონიზატორებად ხმამაღლა არავინ მოიხსენიებს.

არადა, **არავის უკადრებია ჩვენთვის, ქართული კულტურა ძალადობრივი კულტურააო. დასავლეთმა კი გვაკადრა და ბატონკაცურადაც გვიბრძანა: მამათმავლებს, ლესბოსელებსა და სხვა გაუკუღმართებული ფსიქიკის ადამიანებზე აუგი არაფერი დაგცდეთ, თორემო...**

თორემ რა, ქალბატონო ფედერიკა, ბატონო ბუკიკიო თუ ბატონო იუნკერო? **დავით გურამიშვილმა** სამი საუკუნის წინათ რა გვითხრა, თუ იცით? არ იცით და ახლა გაიგონეთ: **„ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო “**-ო. გაიგონეთ და, თუ დაიხსომებთ, იქნებ გეშველოთ რამე და **ოსვალდ შპენგლერის** ნაწინასწარმეტყველები ევროპის დაისი ევროპის აისმა შეცვალოს. ღმერთი მაღალი და ყოვლად ძლიერია!

ჩვენთვის კი, ფედერიკა ძალუა, პედარასტი, ყოველთვის პედარასტი იქნება. ჭკუისდასარიგებლები ახლო-მახლო მოიკითხეთ. ვის ასწავლით გულმოწყალებასა და ტოლერანტობას, როცა ცოტა ხნის წინათ (ისტორიისთვის „ცოტა ხნის წინათ“) კოცონზე წვავდით ადამიანებს განსხვავებული მეცნიერული აზრისთვის! სამასი წლის წინათ კი არა, აგერ, გუშინწინ, გაზის კამერებში წვავდნენ ათასობით ადამიანს შუაგულ ევროპაში, განსხვავებული ეროვნული კუთვნილების გამო, ჩვენში კი მეფის ბრძანებით სიკვდილით დასჯა რვა საუკუნის წინათ აიკრძალა.

მე ევროპის პოლიტიკურ ელიტას ისტორიის ანაბანას ვერ ვასწავლი, მაგრამ წიგნიერმა ქართველმა ხომ უნდა იცოდეს ეს? თუ, რა თქმა უნდა, მანქურთი არ არის ან მწვანე დოლარებზე არ აქვს გაყიდული სინდის-ნამუსი და, საერთოდ, ადამიანობა.

ასე რომ, **თანამემამულენო, დროულად მოვიცილოთ შხამიანი მკბენარები, ათასგვარი უზნეობის გამავრცელებელი ორგანიზაციები, ფაროსანასავით რომ მოსდებია ჩვენს (და სხვათა) ეროვნულ სხეულს, თორემ წარღვნა კარს არის მომდგარი!**

**ზურაბ ცუცქირიძე**

ქვეყანა, რომლის პარლამენტი კონსტიტუციაში ჩაწერს, ჩვენი მიზანი ნატოსა და ევროკავშირში შესვლაო, სახელმწიფო აღარ არის უკვე, ხოლო, თუ საკანონმდებლო აქტი მიიღო იმის თაობაზე, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაცააო, მაშინ ქვეყანა ერთ დიდ ფსიქიატრიულ კლინიკურ საავადმყოფოს ემგვანება. ქვეყანაში, სადაც ლაჩრები სამაგალითო ვაჟკაცებად მიაჩნიათ, მამათმავლები ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანები ჰგონიათ, ვინც ოცდაცამეტივე ქართული ასო იცის, გენიალურ მწერლად აღიარებენ, სულელის ტელეპრუტუნზე იცინიან (მართალია, ფონოგრამის ხელშეწყობით, მაგრამ მაინც), წერა-კითხვის მცირე მცოდნე, მაგრამ ენაწაგდებული კაცები და ქალები პოლიტიკოსებად და ექსპერტებად უზით, თუ ძალიან ოპტიმისტები არ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ წარღვნა უკვე დაწყებულია

საინტერესო ფაქტები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მხოლოდ 3-4 წლის ადამიანის ტვინს შეუძლია ყველაფრის ათვისება, რასაც შესთავაზებენ. თუ ამ წლოვანების ბავშვს საცხოვრებლად გადაიყვანენ სხვა ქვეყანაში, სადაც ლაპარაკობენ ამ ბავშვის მშობლიური ენისგან განსხვავებულ ენაზე, ის გაიზრდება ბილინგვად — ადამიანად, რომელიც თავისუფლად ილაპარაკებს და იფიქრებს ორ ენაზე. თუ მშობლებს შეეძლებათ, 3 წლის ბავშვს შეასწავლონ ყველა მეცნიერება (და ამისთვის ექნებათ ფინანსური შესაძლებლობა და ტექნიკური აღჭურვილობა), მაშინ დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თანამედროვე გაგებით, გენიოსი იქნება.**

# 7 განსაკუთრებული ფაქტი ადამიანის ტვინსა და სხეულზე, რომლებიც, შესაძლოა, არ იცოდით

მეცნიერთა განცხადებით, თანამედროვე ადამიანი თავისი ტვინის მხოლოდ 8-10 პროცენტს იყენებს. ადამიანებს, რომლებიც თავიანთი ტვინის შესაძლებლობების 15 პროცენტსა და ცოტა მეტს იყენებენ, გენიოსებად მიიჩნევენ. ადამიანის ორგანიზმსა და ტვინში ბევრი შესაძლებლობაა დამალული, რომელთა შესახებაც ამ წერილშია საუბარი.



## 1. მშობიარობის პროცესს ჯანმრთელობის დაუზიანებლად ან სიცოცხლისთვის საფრთხის შეუქმნელად შეიძლება გაუძლოს ადამიანმა, რომელიც 1 დღისაც არ არის.

მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ, თუ ზრდასრულ ადამიანს მოვაქცევთ ისეთი ფიზიოლოგიური ზემოქმედებისა და ტანჯვის ქვეშ, როგორსაც განიცდის ახალშობილი მშობიარობის პროცესში, ამ ყველაფერს გაუძლებდა მხოლოდ 10 წუთს, შემდეგ კი მოკვდებოდა უამრავი ტრავმის, წნევის ცვალებადობისა და გულის გაჩერების შედეგად.

საქმე ის არის, რომ ბავშვს, რომელიც უნდა დაიბადოს, ძალიან მოქნილი ძვლები, ხრტილები და ქსოვილები აქვს, მას ჯერ კიდევ არ აქვს ტკივილისა და შიშის განცდა.



## 2. 3-4 წლის ადამიანის ტვინს თითქმის ყველაფრის ათვისება და შესწავლა შეუძლია.

**ბორის აკუნინის (გრიგოლ ჩხარტიშვილის)** რომან „კლასგარეშე საკითხავში“ მთავარი გმირი არის 7 წლის ბიჭი, სახელად მითრიდატე, რომელიც არა მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეა, არამედ ათვისებული აქვს თითქმის ყველა ძირითადი მეცნიერება და აქვს ანალიზის უნარი. ეს პერსონაჟი ბავშვობიდან საკუთარ თავს ეპყრობოდა, როგორც... ზრდასრულს — წაიკითხა და შეისწავლა საოჯახო ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი.

დაგინახავთ, ალბათ, რა იოლად იყენებს თანამედროვე ორი წლის ბავშვი სმარტფონს თუ პლანშეტს, არადა, ზოგიერთ მშობელსა და ბებია-ბაბუას კომპიუტერთან დაჯდომისაც კი ეშინია.

საქმე ის არის, რომ მხოლოდ 3-4 წლის ადამიანის ტვინს შეუძლია აითვისოს ყველაფერი, რასაც მას შესთავაზებენ. თუ ამ წლოვანების ბავშვს საცხოვრებლად გადაიყვანენ სხვა ქვეყანაში, სადაც ლაპარაკობენ ამ ბავშვის მშობლიური ენისგან განსხვავებულ ენაზე, ის გაიზრდება ბილინგვად — ადამიანად, რომელიც თავისუფლად ილაპარაკებს და იფიქრებს ორ ენაზე.

თუ მშობლებს შეეძლებათ, 3 წლის ბავშვს შეასწავლონ ყველა მეცნიერება (და ამისთვის ექნებათ ფინანსური შესაძლებლობა და ტექნიკური აღჭურვილობა), მაშინ დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, თანამედროვე გაგებით, გენიოსი იქნება.



## 3. წონასწორობის დაცვა შეიძლება თითქმის ყველა სიტუაციაში, თუ სიმძიმის ძალას უკანა ფეხზე გადავიტანთ.

ავტობუსის მკვეთრი მოხვევის მომენტში უმრავლესობა ადამიანებისა არასდროს შეტორტმანდებოდა და დაეჯახებოდა სხვა მგზავრებს, რომ იცოდეს წონასწორობის ერთი საიდუმლო: თუ სხეულის წონას გადავიტანთ უკანა ფეხზე, მაშინ არ დავბარბაცდებით და დავეცემით.

ბევრს, ვინც არ არის ჩახედული იოგაში, ზოგიერთი ასანა (პოზა, სავარჯიშო) რთული და შეუსრულებელი ეჩვენება. არადა, ეს ასანები ადამიანის სხეულის სწორედ ამ უნარზეა დაფუძნებული.



## 4. ბავშვის ტვინი მხოლოდ მაშინ არის მზად სკოლაში სწავლისთვის, როცა ბავშვს შეეძლება ხელისგულით შეეხოს საპირისპირო მხარეზე ყურს.

ბევრ ქვეყანაში ოფიციალურად არ არის დადგენილი წლოვანება, როცა ბავშვმა უნდა დაიწყოს სკოლაში სიარული და პირველ კლასში მერხზე დაჯდეს 5 წლის ან 8 წლის ბავშვის გვერდით. ეს ხდება იმიტომ, რომ, ამ ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების აზრით, ყველა ბავშვის განვითარება ინდივიდუალურია. შემუშავებულია ტესტი: **თუ ბავშვი შეძლებს, მაგალითად, მარჯვენა ხელისგულით შეეხოს მარცხენა ყურს, მაშინ ის მზად არის, სკოლაში იაროს კვირაში 5 დღეს და დაიტვირთოს ფიზიკურად და ინტელექტუალურად. თუ ბავშვი ამას ვერ შეძლებს, მაშინ მისთვის სახიფათოა სკოლაში სიარული.**



## 5. ხშირი ტირილი სახის კანს აბერებს

ტირილის მომენტში ადამიანის სახის 43 კუნთი იძაბება. სიცილის მომენტში კი — 17, მაგრამ, ამასთანავე, ენდორფინები — ბედნიერების ჰორმონები — მთელ სხეულს აიძულებს, მოდუნდეს.

ამრიგად, ზუსტია მტკიცება იმის შესახებ, რომ სიცილი ახანგრძლივებს სიცოცხლეს და გვაიძულებს, უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურებოდეთ; მტირალები კი განწირულნი არიან სახის კანის დაბერებისა და ნაოჭების გაჩენისთვის. თუმცა ისიც, რომ არასოდეს იტირო, ვნებს ჯანმრთელობას, რადგან ადამიანს სჭირდება კათარზისული განწმენდა.



## 6. ფილტვების სრული ფართობი ჩოგბურთის კორტის ტოლია

ძუძუმწოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული ორგანო ფილტვებია. ის მნიშვნელობის მხრივ, ალბათ, მხოლოდ ტვინს თუ ჩამორჩება. სისხლში ჟანგბადის ეფექტიანი მიწოდების უზრუნველსაყოფად ფილტვები უამრავ დატოტვილ დერეფანს ქმნის. ფილტვები დასერილია უამრავი მიკროსკოპული კაპილარით და, თუ მათ ზედაპირს გავზომავთ, მივიღებთ დაახლოებით ჩოგბურთის კორტის ფართობს.



## 7. ადამიანს შეიძლება 2-ჯერ ამოუვიდეს სიბრძნის კბილი

ცნობილია შემთხვევა, როცა ბავშვს ტრავმის შედეგად დაკარგული სიბრძნის კბილები ხელახლა ამოუკიდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მართალია, ისეთი არა, როგორც ქვეწარმავლებს, მაგრამ ადამიანს რეგენერაციის უნარი იმაზე მეტი აქვს, ვიდრე ბევრს წარმოუდგენია.

ადამიანებს ქსოვილების რეგენერაციის დიდი უნარი რომ არ გვქონდეთ, ჭრილობებისა და ნაკაწრებისგან დავიღუპებოდით.

**მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ, თუ ზრდასრულ ადამიანს მოვაქცევთ ისეთი ფიზიოლოგიური ზემოქმედებისა და ტანჯვის ქვეშ, როგორსაც განიცდის ახალშობილი მშობიარობის პროცესში, ამ ყველაფერს გაუძლებდა მხოლოდ 10 წუთს, შემდეგ კი მოკვდებოდა უამრავი ტრავმის, წნევის ცვალებადობისა და გულის გაჩერების შედეგად**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**კავაი ლეონარდი ნამდვილ სუპერვარსკვლავად მაშინ იქცა, როდესაც შეაჩერა თვით კალათბურთის მეფედ წოდებული ლებრონ ჯეიმსი, რომელიც იმხანად „მაიამი ჰიტის“ ღირსებას იცავდა. მან ერთ წელიწადში მოიპოვა საუკეთესო დამცველისა და ყველაზე ფასეული მოთამაშის ტიტულები და დადგა ჰაკიმ ოლაიჯიუვანისა და მაიკლ ჯორდანის გვერდით, ახლა მას ხშირად შეადარებენ ლებრონ ჯეიმს. მსგავსება მართლაც არის: ორივე უნივერსალია, ათლეტური; ორივე კარგია, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში და ნებისმიერ გუნდს, რომელშიც ითამაშებენ, ძალიან ძლიერ ძალად აქცევენ.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კავაი ლეონარდმა მეფე ლებრონიც კი დაჩრდილა

**„გოლდენ სტეიტი“ — ეს რა თაღლითობაა! ბარემ დახურეთ ეს ენ-ბი-ეი (ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია, რომელშიც გაერთიანებული არიან აშშ-ისა და კანადის კლუბები)! 5 ოლსტარი (ოლსტარი — ასოციაციის საუკეთესო კალათბურთელებიდან ერთ-ერთი. დასავლეთისა და აღმოსავლეთის კონფერენციების საუკეთესო კალათბურთელებისგან შექმნილი 2 გუნდი ერთმანეთს ხვდება ვარსკვლავების ან ოლსტარზის მატჩში) ერთ გუნდში — თქვენ ხომ არ გაგიჟდით? „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ სეზონის დაწყებამდე ჩემპიონია“ — ასეთი იყო წამყვანი სპორტული გაზეთებისა და კალათბურთის გულშემატკივრების უმრავლესობის შეფასებები 10 თვის წინათ, როდესაც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ბოლო 5 სუპერფინალის მონაწილემ და 5-გზის ჩემპიონმა (1956, 1975, 2015, 2017, 2018) „გოლდენ სტეიტ უორიორზმა“ არ იკმარა ბოლო წლების საუკეთესო კალათბურთელები (ოლსტარსი) — კევინ დიურანტი, სტეფ კარი, კლეი ტომპსონი, დრეიმონდ გრინი და კიდევ ერთი „ოლსტარი“, პრობლემური, ტრავმირებული, მაგრამ მაინც „ოლსტარი“ დაიმატა — დემარკუს ოლდრიჯი“.**

„გოლდენ სტეიტმა“ შექმნა გუნდი, რომლის შეჩერებასაც ვერავინ შეძლებდა — **ვერც ლებრონ ჯეიმსი, ვერც ჯეიმს ჰარდენი და კრის პოლი,** ვერც — **კავაი ლეონარდი,** რომელიც ამ სეზონში გადავიდა კანადურ „ტორონტო რეპტორსში“. ასე ეგონა ყველას შარშან, სეზონის დასაწყისში.

„გოლდენ სტეიტი“ გადატეხილია, დანგრეულია. მისი ვარსკვლავები ტკივილისგან ღმუიან“. „გოლდენ სტეიტმა“ მეექვსე მატჩი და, შესაბამისად, ფინალი წააგო (2:4) მუდმივ ლუზერ „ტორონტოსთან“ — აი ასეთი იყო მედიასაშუალებების შეფასებები, ორიოდე კვირის წინათ დასრულებულ ენ-ბი-ეის 2018-2019 წლების სეზონის შემდეგ.

ეს ჯადოქრობა — ისტორიაში საუკეთესო გუნდად მიჩნეული „გოლდენ სტეიტ უორიორსის“ დამარცხება საფინალო სერიაში — ჩაიდინა **კავაი ენტონი ლეონარდმა,** რომელსაც 29 ივნისს 28 წელი შეუსრულდება.

სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ფინალური სერია ტრავმის გამო გამოტოვა „გოლდენ სტეიტის“ ლიდერმა, შარშანდელი და შარშანწინდელი გათამაშებების MVP-მ (ყველაზე ფასეული მოთამაშე) კევინ დიურანტმა (ითამაშა მხოლოდ 10 წთ), აგრეთვე, კიდევ ერთმა ლიდერმა კლეი ტომპსონმა. მაგრამ ეს არ აკნინებს კავაი ლეონარდის ბრწყინვალე თამაშს, ის პლეი-ოფების საფინალო სერიაში საშუალოდ 31,3 ქულას აგროვებდა, თამაშიდან ჩააგდო ნასროლი ბურთების 57%, სამქულიანების — 46,5%; საჯარიმო სროლებიდან კი — 89,1%.

ჟურნალისტების აზრით, ყველაზე საოცარი იყო ის, რომ „ტორონტოს“ გამარჯვების შემდეგ კავაიმ იცეკვა და კიდევ — კავაი იღიმოდა...

**კავაი ლეონარდი NBA-ს იდუმალებით მოსილი მოთამაშეა — ის უმალავს თავის პირად ცხოვრებას ჟურნალისტებს. შარშან, ზაფხულში, როდესაც მორიდებულმა ვარსკვლავმა „სან ანტონიო“ (ამ გუნდთან ერთად 2013-2014 წლების სეზონში პირველად მოიპოვა NBA-ს ჩემპიონობა) დატოვა და „ტორონტო რეპტორსში“ გადავიდა (სხვათა შორის, ვრცელდება ინფორმაცია, რომ კავაი „ტორონტოდანაც“ წავა), ბევრი ფიქრობდა, რომ კანადური კლუბი სერიოზულ წარმატებას ვერ მიაღწევდა. კავაი პრესასთან ურთიერთობას გაურბოდა, თუმცა განაგრძნობდა თავისი საქმის კეთებას.**



კავაი ლეონარდი (უკანა პლანზე) და ლებრონ ჯეიმსი

კავაი 5-შვილიანი ოჯახის უმცროსი წევრია. ჰყავს 4 და. კავაის მამას, მარკს, ჰქონდა თავისი ავტოსამრეცხაო, სადაც 2008 წელს მოკლეს. მკვლელი აქამდე ნაპოვნი არ არის.

კავაი ლეონარდი ნამდვილ სუპერვარსკვლავად მაშინ იქცა, როდესაც შეაჩერა თვით კალათბურთის მეფედ წოდებული ლებრონ ჯეიმსი, რომელიც იმხანად „მაიამი ჰიტის“ ღირსებას იცავდა. მან ერთ წელიწადში მოიპოვა საუკეთესო დამცველისა და ყველაზე ფასეული მოთამაშის ტიტულები და დადგა **ჰაკიმ ოლაიჯიუვონისა** და **მაიკლ ჯორდანის** გვერდით, ახლა მას ხშირად ადარებენ **ლებრონ ჯეიმსს.** მსგავსება მართლაც არის: ორივე უნივერსალია, ათლეტური, ორივე კარგია, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში, და ნებისმიერ გუნდს, რომელშიც ითამაშებენ, ძალიან ძლიერ ძალად აქცევენ. ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდს“ დაჰპირდა ჩემპიონობას და სიტყვა შეასრულა, კავაი არავის არაფერს დაჰპირებია, მაგრამ კანადას პირველად ისტორიაში ჩემპიონობა მოუპოვა. „გოლდენ სტეიტის“ დამარცხების შემდეგ კავაი ლეონარდი ჩვეულებრივ მივიდა პრესკონფერენციაზე. მის სახეზე სიხარულის არანაირი კვალი არ ჩანდა. ჩემპიონის მაისურა და შამპანურის შხეფებისგან დასაცავად სამთო-სათხილამურო სპორტის განკუთვნილი სათვალე რომ არა, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ამ კაცმა უნიკალური რამ გააკეთა.

„რეპტორსის“ ჩემპიონობა ნამდვილად არ გააგიჟებს ლეონარდს. როგორც ჩანს, მას აქვს გეგმა, რომლის განხორციელებასაც აპირებს. სხვათა შორის პრესკონფერენციაზე კავაიმ თითქმის დაადასტურა, რომ დატოვებს „ტორონტო რეპტორს“. აი რა უპასუხა მან ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ ხედავს ის გუნდის განვითარებას და მასში მონაწილეობას:

„ისინი შეძლებენ, განვითარდნენ, ათვლის წერტილი კი ეს გამარჯვება იქნება“. როგორც ჩანს, კანადაში ლეონარდის გამოსვლა დასრულდა. რობოტმა თავისი საქმე გააკეთა, რობოტს შეუძლია, სხვა გუნდში გადავიდეს და მოაპოვებინოს ჩემპიონობა.

კავაიმ ფინალურ სერიებში 561 ქულა დააგროვა. ეს მეექვსე შედეგია ლებრონ ჯეიმსის (612 ქულა), ჰაკიმ ოლაიჯიუვონის (594), ორჯერ მაიკლ ჯორდანის (591 და 587) და კევინ დიურანტის (563) შემდეგ. კავაი ლეონარდი ოცნებობდა, ყოფილიყო NBA-ს მთავარი გმირი და ის არის NBA-ს მთავარი გმირი.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**












**ლებრონ ჯეიმსი «კლივლენდს» დაჰპირდა ჩემპიონობას და სიტყვა შეასრულა, კავაი არავის არაფერს დაჰპირებია, მაგრამ კანადას პირველად ისტორიაში ჩემპიონობა მოუპოვა. «გოლდენ სტეიტის» დამარცხების შემდეგ კავაი ლეონარდი ჩვეულებრივ მივიდა პრესკონფერენციაზე. მის სახეზე სიხარულის არანაირი კვალი არ ჩანდა. ჩემპიონის მაისურა და შამპანურის შხეფებისგან დასაცავად სამთო-სათხილამურო სპორტის განკუთვნილი სათვალე რომ არა, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ამ კაცმა უნიკალური რამ გააკეთა**



# ჩაო, ევრო!

## იტალია ევროს პარალელური ვალუტის შემოსაღებად ემზადება



**იტალიის პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე კლაუდიო ბორგიმ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა გამოსახულება ე.წ. mini-BOT-ის — ევროს პარალელური ნაციონალური ვალუტისა.**

BOT — ეს არის აბრევიატურა Buoni Ordinari del Tesoro-სი, რომელიც ასე ითარგმნება: „ხაზინის ჩვეულებრივი ობლიგაცია“. Mini ნიშნავს, რომ მათი ნომინალი გაცილებით ნაკლებია ჩვეულებრივ ობლიგაციაზე — სულ 100 ევრო. იტალიის პარალელური ვალუტა სერიოზული საფრთხეა ევროპის ცენტრალური ბანკისთვის, რომელმაც განაცხადა, რომ, თუკი ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის იტალია, გავა ევროზონიდან და გამოაცხადებს დეფოლტს ევროპის ცენტრალური ბანკის წინაშე, სუვერენული ვალის კრიზისი აუცილებლად ჰპოვებს გამოძახილს ესპანეთსა და პორტუგალიაში.




# დაახლოებისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი

## დიმიტრი მედვედევმა და სერგეი რუმასმა რუსეთისა და ბელარუსის დაახლოების გზები შეათანხმეს



**21 ივნისს მინსკში გაიმართა მოლაპარაკებები რუსეთისა და ბელარუსის პრემიერმინისტრებს — დიმიტრი მედვედევსა და სერგეი რუმასს — შორის. ეს იყო სამოკავშირეო სახელმწიფოს ფარგლებში ინტეგრაციის თემის საფინალო რაუნდი ორი ქვეყნის პრეზიდენტებისთვის შეთანხმებული წინადადებების წარდგენის წინ.**

ვლადიმერ პუტინი მინსკს 30 ივნისს ეწვევა, ევროპული თამაშების დახურვაზე.

რუსეთი და ბელარუსი სამოკავშირეო სახელმწიფოს, უკვე 20 წელიწადია, ქმნიან. ასეთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შესახებ შეთანხმებას 1999 წელს მოაწერეს ხელი. ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა, მათ შორის, ერთიანი ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა, ერთიანი ვალუტა, აგრეთვე, საემისიო ცენტრისა და საერთო საბაჟო სამსახურის შექმნა.

შეხვედრის შედეგების შეჯამებისას დიმიტრი მედვედევმა განაცხადა: „ინტეგრაციულ თემატიკაზე ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, დავიწყეთ ლაპარაკი, თუმცა ეს სწრაფად არ მომხდარა“. მისი თქმით, დარჩა საკითხების პატარა ნაწილი, რომლებზეც პოლიტიკურ-იურიდიული მიზეზების გამო აუცილებელია დამატებითი კონსულტაციების გამართვა. სერგეი რუმასმა დააზუსტა, რომ „გადაუწყვეტელია 2-3 საკითხი“, თუმცა არ უთქვამს, რომლები. როგორც ჩანს, ამ საკითხებს პრეზიდენტები განიხილავენ.

# ევროსაბჭოს გადაწყვეტილებით, რუსეთი დააბრუნეს საპარლამენტო ასამბლეაში

## ვინ დაუჭირა მხარი რუსეთს?



Vote on Resolution

Assembly's voting results

118 In favour | 62 Against | 10 Abstention

All participants in the vote

Order by: Member | Country | Political group | Voting choice

| | | |
|---|---|---|
| Ms Boriana ÅBERG | SE | EPP/CD |
| Ms Thorhildur Sunna ÆVARSDÓTTIR | IS | SOC |
| Ms Ulviyye AGHAYEVA | AZ | FDG |

**24 ივნისს ცხრასაათიანი დებატებისა და განხილვის შემდეგ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია, რომლითაც რუსეთის დელეგაციას ორგანიზაციაში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა.**

რეზოლუციის ტექსტის თანახმად, ასამბლეასა და მის ორგანოებში წევრთა ხმის მიცემის, საუბრისა და წარმომადგენლობის უფლება არ უნდა იყოს შეჩერებული. დოკუმენტის სახელწოდებაა „ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში უფლებამოსილებისა და ხმის მიცემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გაძლიერება“. მისი ავტორია რეგლამენტის კომიტეტის ხელმძღვანელი, ბელგიელი სოციალისტი დეპუტატი პეტრა დე სუტერი.

საქართველოსა და უკრაინის დელეგაციებმა სრული შემადგენლობით რეზოლუციის წინააღმდეგ მისცეს ხმა. დოკუმენტის წინააღმდეგ ასევე ხმა მისცეს პოლონეთის, ლიეტუვის, ლატვიის, დიდი ბრიტანეთის, ესტონეთისა და შვედეთის დელეგაციების წევრთა უმრავლესობამ. რეზოლუციას სრული შემადგენლობით მხარი დაუჭირეს საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციებმა, აგრეთვე, ავსტრიის, აზერბაიჯანის, კვიპროსის, ესპანეთის, ისლანდიის, ირლანდიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, სერბეთის, სან მარინოსა და თურქეთის დელეგაციებმა.

რუსეთის დაბრუნებას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მხარი დაუჭირა სომხეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ჩეხეთის, მოლდოვის, რუმინეთის, დანიის, გერმანიის, ნიდერლანდების, ფინეთის, ხორვატიის დელეგაციების წევრთა ნაწილმა.

საბოლოო ჯამში, რეზოლუციას ასამბლეის 118-მა წევრმა მისცა ხმა, წინააღმდეგი 62 დელეგატი იყო, 10-მა კი თავი შეიკავა.

# მადლობა საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ მამუკა ბახტაძეს!



**2019 წლის 9 მაისს გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დროს სამამულო ომის მონაწილეებს გამარჯვების დღე საქართველოს პრემიერმინისტრმა მიულოცა და აღუთქვა, რომ დაეხმარებოდა მათ საყოველთაო დაზღვევის სრული პაკეტის აღდგენაში (პოლიკლინიკებში); ასევე, მატერიალური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიზნით პენსიის მომატების საქმეში.**

ენა ვერ აღწერს იმ ზღვა სიხარულს, რაც განიცადეს ვეტერანებმა. მათ სჯერათ, რომ ბატონი მამუკა დაპირებას აუცილებლად შეასრულებს და გულწრფელ პატივისცემას გამოხატავენ პრემიერმინისტრის მიმართ მეტად მნიშვნელოვანი დახმარებისთვის.

**უღრმესი პატივისცემით,**
**სამამულო ომის მონაწილეთა სახელით**
**შოთა ბუაძე,**
**იოსებ ტუხაშვილი,**
**გიორგი ნონიკაშვილი**

# მეტროპოლიტენი 1 ივლისიდან 06:00-დან 23:00 საათამდე იმუშავებს



თბილისის მერმა კახაკალაძემ განაცხადა, რომ პირველი ივლისიდან მეტროპოლიტენში ახალი კაბელების საინსტალაციო სამუშაოები დაიწყება, რის გამოც მეტროპოლიტენი 06:00-დან 23:00 საათამდე იმუშავებს. კალაძის განცხადებით, სამუშაოები 2020 წლის ივლისში დამთავრდება.

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22




ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894